

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ევროპეისტიკის დეპარტამენტი

**თამილა დილავეროვა**

**იგავ-არაკები კულტურათშორის დისკურსში და მათი**

**ლინგვოკულტურული თავისებურებები**

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

**დისერტაცია**

სპეციალობა: ლინგვისტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნინო დვალიძე

ბათუმი

2017

## შინაარსი

შესავალი -----	3
<b>თავი I. იგავ-არაკის წარმოშობის მიზეზები, მათი განვითარების ეტაპები და ქანრული თავისებურებები</b>	
1.1 ენის და კულტურის ურთიერთკავშირი, როგორც ლინგვოკულტუროლოგიის შესწავლის საგანი -----	8
1.2 იგავ-არაკის, როგორც ქანრის, გაჩენის და განვითარების ეტაპები -----	15
1.3 იგავ-არაკის ქანრული მახასიათებლები -----	25
1.4 იგავ-არაკების აღმზრდელობითი ფუნქცია და მათი გამოყენებით სწავლების უპირატესობები -----	32
<b>თავი II. იგავ-არაკის, როგორც ტექსტის, სტრუქტურულ-სემანტიკური და ლინგვოკულტურული თავისებურებანი სხვადასხვა ხალხის კულტურებში</b>	
2.1. იესოს იგავები და მათი თავისებურებები -----	38
2.2 იგავ-არაკის, როგორც ტექსტის, სტრუქტურული თავისებურებები -----	46
2.3 იგავარაკული სიმბოლიკა სხვადასხვა ხალხის კულტურებში და ლინგვოკულ- ტურული თავისებურებანი -----	56
2.4 იგავ-არაკების ლექსიკური თავისებურებანი -----	75
<b>თავი III. უახლესი ინტერნეტიგავები და მათი პრაგმატიკულ-სემანტიკური თავისებურებები</b>	
3.1 კლასიკურ იგავ-არაკთა თანამედროვე ტრანსფორმაციები -----	92
3.2 უახლესი დროის იგავ-არაკები და მათი პრაგმატიკულ-სემანტიკური თავისე- ბურებები -----	111
ზოგადი დასკვნები -----	119
გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა -----	124
გამოყენებული მასობრივი საშუალებები -----	130

## შესავალი

ენა, ადამიანი და მათი ურთიერთკავშირი თანამედროვე ლინგვისტიკის, კერძოდ, ლინგვოკულტუროლოგიის, კომუნიკაციური ლინგვისტიკის და სხვა არაერთი მეცნიერების კვლევის მთავარი საგანია.

ადამიანი სწორედ იმიტომ მოექცა ამ მეცნიერებების ცენტრში, რომ ის არის ენის აქტიური მატარებელი. სწორედ ადამიანი აცოცხლებს ენას და აქცევს მას ცოცხალ და აქტიურ ობიექტად.

ჩვენთვის, გლობალიზაციის ეპოქის ადამიანებისთვის, დაუბრკოლებელი კულტურათშორისი კომუნიკაცია განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. ამა თუ იმ ენის ფლობა ნიშნავს არამხოლოდ ენის გრამატიკის და ლექსიკის ფლობას, არამედ მისი მატარებელი ხალხის კულტურული და ეროვნული თავისებურებების ცოდნასაც.

ერის კულტურული თავისებურებები მკაფიოდ ჩანს მის კულტურულ ძეგლებში, მხატვრულ ლიტერატურაში, ზღაპრებსა და სამოსშიც კი. კულტურული წარმოდგენების, ეთნომენტალობის შენახვასა და ტრანსლაციაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხალხური ტექსტები, რომელთა შორისაც იგავ-არაკებს ერთ-ერთი პირველი ადგილთაგანი უჭირავს. ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილია სხვადასხვა იგავ-არაკის ინტერპრეტაციაში, მნიშვნელოვანია მსოფლიოს ენობრივ სურათში ლინგვოკულტურული გაერთიანებების, ნაციონალური თავისებურებების, მათი კულტურული სტერეოტიპების შესასწავლად.

იგავ-არაკი ალევორიული მოთხრობაა, რომლის მოქმედი პირებიც ცხოველებია და მათ ადამიანთა თვისებები მიეწერება. იგავი ხშირად ზნეობრივ-დამრიგებლური დასკვნით მთავრდება და შესაძლოა ლექსად, პროზად ან შერეული ფორმით დაიწეროს. იგავ-არაკში პერსონაჟი აწყდება დილემას, ან იღებს რთულ გადაწყვეტილებას. მისი მთავარი მახასიათებელია, მკითხველს აჩვენოს გზა, თუ როგორ უნდა მოიქცეს იგი, არიგებს მას. სწორედ დიდაქტიკური ფუნქციაა იგავების ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება.

იგავარაკულ ჟანრს და იგავარაკულ მწერლობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. მისი სათავეები მითოლოგიას უკავშირდება. საუკუნეების განმავლობაში იგავ-არაკები სასამართლო პროცესშიც გამოიყენებოდა სამართლის ნორმის უკეთესად გაგების მიზნით, განსაკუთრებით მაშინ, როცა საჭირო იყო რთული პრობლემების გადაწყვეტა.

იგავ-არაკის ჩანასახები სასულიერო მწერლობის ადრეულ ნიმუშებშიც ვლინდება. ისო ქრისტე იგავებით საუბრობდა. ის იყენებდა ყოველდღიურ, ყოფით მოვლენებს, რათა გამოეხატა ცათა სასუფეველის საიდუმლოებანი, ლოცვის ბუნება. მისი იგავები ზნეობრივ-დამრიგებლურია.

იგავ-არაკების ფართოდ გამოყენება, მათი სიყვარული და პატივისცემა ყველა ხალხში გვხვდება. თანამედროვე სამყაროში რამდენიმე საუკუნის იგავ-არაკების გამოყენება, რა თქმა უნდა, ნიშნავს იმას, რომ ეს ჟანრი უკვდავია და ერგება ყველა ეპოქას, ყველა ერს და განვითარების ყველა საფეხურს. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის იგავ-არაკები, რომლებიც ინტერნეტსამყაროში ვრცელდება და ტრანსფორმირებული, ე.წ. ანტიიგავების“ სახით გვევლინება (ტერმინი შეიქმნა ანტიანდაზის კვალდაკვალ და ჩვენეულია (თ. დ.)).

იგავ-არაკებში ასახულია სხვადასხვა ხალხის სიბრძნე. ისინი შინაარსით და ფუნქციით საკმაოდ მრავალფეროვანია. მათს შესწავლას ყველა ერში დიდი ყურადღება ექცევა. უაღრესად აქტუალურია იგავ-არაკების სიმბოლიკის შესწავლა სხვადასხვა კულტურაში, რადგანაც განხვავებული ხალხი ფაქტებს და მოვლენებს სხვადასხვანაირად აღიქვამს. ასევე აქტუალურია იგავ-არაკების ლექსიკისა და სტრუქტურის კვლევა, მათი სემანტიკურ-პრაგმატიკული შედარებითი ანალიზი და გენეზისის შესწავლა სხვადასხვა კულტურაში.

დღემდე იგავ-არაკის ტექსტი ძირითადად შეისწავლებოდა ლიტერატურათმცოდნეობის ასპექტში, რის გამოც მკვლევართა ყურადღების მიღმა რჩებოდა მისი ლინგვისტიკური თავისებურებები. ერთი შეხედვით, იგავარაკული ტექსტები მარტივია, მაგრამ მათში წარმოდგენილი ინფორმაცია საყურადღებოა. ისინი ნამდვილად იმსახურებენ ღრმა, საგულდაგულო კვლევას მათში არსებული

ღრმა ეთნოკულტურული ინფორმაციის გამო, რომელიც კონცენტრირებულია მინიმალურ მოცულობაში.

თანამედროვე ეტაპზე ინტერნეტსამყაროში გაჩნდა იგავ-არაკები, რომლებიც თემატიკით და რადიკალურად განსხვავებული ლექსიკით აღძრავს კვლევის ინტერესს.

ზემოთ აღნიშნული საკითხების შესწავლა განაპირობებს **თემის აქტუალურობას**.

ჩვენი ნაშრომის **მიზანია**, გამოვიკვლიოთ სხვადასხვა კულტურის და ეპოქის იგავ-არაკები, შესწავლოთ მათი სტრუქტურა, სტილი და სიმბოლიკა ღნიშნული კომპლექსური მიზნის მისაღწევად. საამისოდ დავისახეთ შემდეგი **ამოცანები**:

1. იგავ-არაკების წარმოშობის მიზეზების და გენეზისის შესწავლა;
2. იგავ-არაკების სტრუქტურის კვლევა;
3. იგავ-არაკების ლექსიკური თავისებურებების კვლევა;
4. თანამედროვე იგავ-არაკების თემატიკის შესწავლა;
5. იგავარაკული სიმბოლიკის და ეთნოკულტურული მახასიათებლების შესწავლა-შედარება სხვადასხვა ავტორის და ეპოქის მიხედვით.

**ნაშრომის მეთოდოლოგიური საფუძველი განპირობებულია** დასახული მიზნებით და ამოცანებით. ნაშრომში გამოყენებულია შედარებით-შეპირისპირებითი, სემანტიკურ-პრაგმატიკული ანალიზის, ლინგვისტური დაკვირვების და აღწერის მეთოდები.

ნაშრომის **თეორიული ღირებულება** განისაზღვრება იმით, რომ იგი შეიცავს კულტუროლოგიისთვის, ლიტერატურათცოდნეობისა და ლინგვოკულტუროლოგიისთვის საჭირო დაკვირვებებს და დასკვნებს.

კვლევის **პრაქტიკული ღირებულება** ისაა, რომ ნაკვლევი მასალა შეიძლება გამოვიყენოთ ინგლისური ენის ტექსტის ლინგვისტიკის, კოგნიტური ლინგვისტიკის, დისკურსის ანალიზის სემანტიკის და სტილისტიკის სწავლების დროს.

ნაშრომის ემპირიული მასალაა ერთი მხრივ იესოს ქრისტეს, მეორე მხრივ, ეზოპეს, სულხან-საბას, ი. კრილოვის,ჯ. თერბერის, ჯ. ეიდის, რ. დოდსლის, ო. გოლდსმიტის, ზ. გამსახურდიას, ჯ. ფექის იგავ-არაკები. განხილულია ეზოპეს იგავ-არაკების თანამედროვე ვერსიები, რომლებიც შექმნილია ანონიმური ავტორების მიერ და აქტიურად ვრცელდება ინტერნეტსამყაროში. **ნაშრომის სიახლეს** განაპირობებს შემდეგი საკითხები: იგავარაკული სიმბოლიკის კლასიფიცირება სხვადასხვა ავტორისა და კულტურის მიხედვით, იგავ-არაკების სტრუქტურული, სემანტიკურ-პრაგმატიკული და შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი, თანამედროვე იგავ-არაკების შესწავლა და მათი შედარება უფრო ადრეული ეპოქის იგავებთან. ნაშრომის მნიშვნელოვანი სიახლეა ზ. გამსახურდიას, ჯ. ეიდის, ჯ.თერბერის და ჯ. ფექის იგავ-არაკების სიმბოლიკის, ლექსიკური შემადგენლობის და თემატიკის კვლევა. ეს იმ საკითხთა ჩამონათვალია, რომელთა კომპლექსური კვლევა ჯერ არ განხორციელებულა. ამდენად, წარმოდგენილი ნაშრომი **სიახლეს** წარმოადგენს.

**ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა:** წინამდებარე ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა განპირობებულია დასახული მიზნებით და ამოცანებით. ნაშრომი შედგება შესავლის, 3 თავის, 10 პარაგრაფის და ზოგადი დასკვნისაგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის სია და ინტერნეტრესურსების ნუსხა.

**შესავალში** დასაბუთებულია საკვლევი პრობლემის არჩევის მართებულობა, ასევე ხაზგასმულია კვლევის აქტუალურობა, სიახლე, მიზნები და ამოცანები, ასევე მოცემულია ინფორმაცია ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ბაზის შესახებ.

**პირველი თავი, „იგავ-არაკის წარმოშობის მიზეზები, მათი განვითარების ეტაპები და მათი ჟანრული თავისებურებები“** ოთხი პარაგრაფისგან შედგება. მასში საუბარია ენის და კულტურის ურთიერთკავშირის, როგორც ლინგოკულტუროლოგიის შესწავლის საგნის, იგავ-არაკების წარმოშობის მიზეზების, მათი ჟანრული თავისებურებებისა და დიდაქტიკური ფუნქციის შესახებ. ამ

უკანასკნელის გამო ენიჭება მათ უპირატესობა, რეკომენდებულია მათი გამოყენება სწავლების დროს.

ნაშრომის მეორე თავი, „იგავ-არაკის, როგორც ტექსტის, სტრუქტურულ-სემანტიკური და ლინგვოკულტურული თავისებურებანი სხვადასხვა ხალხის კულტურებში,“ 4 პარაგრაფისგან შედგება, მასში განხილულია იესოს იგავების თავისებურებები, იგავ-არაკის ტექსტის სტრუქტურა, ლექსიკური თავისებურებები, სხვადასხვა ავტორის და კულტურის წარმომადგენლის მიერ გამოყენებული სიმბოლოები, მოცემულია ამ სიმბოლიკის შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი.

ნაშრომის მესამე თავი - „უახლესი ინტერნეტიგავები და მათი პრაგმატიკულ-სემანტიკური თავისებურებები“ ორი პარაგრაფისგან შედგება. პირველ პარაგრაფში განხილულია ეზოპეს იგავების გათანამედროვეება. ასევე შესწავლილია ის ლექსიკური ცვლილებები, რომლებიც ამ ტრანსფორმაციას მოჰყვა. ამავე თავში საუბარია უახლეს ქართულ და ინგლისურ იგავ-არაკებზე, რომლებმაც ინტერნეტსივრცე დაიპყრო.

დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია კვლევის თეორიული განზოგადება.

## თავი I. იგავ-არაკის წარმოშობის მიზეზები, მათი განვითარების ეტაპები და მათი ჟანრული თავისებურებები

### 1.1. ენისა და კულტურის ურთიერთკავშირი, როგორც ლინგვოკულტუროლოგიის შესწავლის საგანი

ენა, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს, მხოლოდ მეტყველებას, ის გულისხმობს ადამიანის ფიქრებს, განზრახვებს, მიზნებს. ენა ის ფენომენია, რომელიც არ არსებობს ადამიანის გარეშე.

„ენისა და პიროვნების ურთიერთმიმართება ღრმა ფსიქოლოგიურ საფუძველს ემყარება. ენას ადამიანური წარმოშობა აქვს და ადამიანის გარეშე არ არსებობს, არ მოიაზრება. არ არსებობს არაფერი ენაში, რომ ადამიანის მიერ არ იყოს თქმული, მის მიერ არ იყოს წარმოქმნილი“ (უზნაძე, 1947:166). მაშასადამე, ადამიანი უნდა შევისწავლოთ ენასთან მჭიდრო კავშირში და პირიქით – ლინგვისტურ მოვლენათა ანალიზი უნდა ემყარებოდეს ენის მიმართებას ადამიანის ფენომენტთან (მასლოვა, 2001: 6).

ენა უაღრესად რთული და მრავალგანზომილებიანი ფენომენია. მისი განხილვა შესაძლებელია სხვადასხვა თვალსაზრისით:

1. ინდივიდის ენა;
2. ენა, როგორც ენათა ოჯახის წევრი;
3. ენა, როგორც სტრუქტურა;
4. ენა, როგორც სისტემა;
5. ენა, როგორც ტიპი და სპეციფიკა;
6. ენა, როგორც კომპიუტერი;
7. ენა, როგორც კონცეპტუალური და ღირებულებითი სივრცე. (თავიდაშვილი, 2014:14)



„ენა ინდივიდისა და ერის რთული კოგნიტური ქმედების შედეგია. იგი სისტემატარის და ანტისისტემატარის ქმედებაც და ამ ქმედების პროდუქტიც, სულიც და მატერიაც, სტიქიურად განვითარებადი ობიექტიც და მოწესრიგებული, თვითრეგულირებადი ფენომენიც. შეუძლებელია ენის არსში წვდომა თითოეული დასახელებული ასპექტის გათვალისწინების გარეშე. ფაქტობრივად, ენა წარმოადგენს კულტურის პროდუქტს, მის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს და, ამასთან, მისი არსებობის განმსაზღვრელ უმთავრეს წინაპირობას, როგორც კულტურული კოდების ფორმირების განმაპირობებელი ფაქტორი“ (მასლოვა, 2001: 6).

რ. ამირეჯიბი აღნიშნავს: „ენა ეროვნული და კულტურული იდენტობის ერთ-ერთი ძირითადი მარკერია“ (ამირეჯიბი, 2003:2)

კულტურის და ენის ურთიერთდამოკიდებულების და კერძოდ, ენის მნიშვნელობის შესახებ ნ. ჭავჭავაძე წერს: „ენა წარმოადგენს არა მარტო ექსპრესიის, კომუნიკაციის, სოციალიზაციის და ა. შ. საშუალებას, ის ამავე დროს ერის ერთ-ერთ კონსტრუქციულ ნიშანს წარმოადგენს, ზეინდივიდუალური ღირებულების ნიშანს, რომლისთვისაც პატრიოტები სწირავენ სიცოცხლეს, ყოველ შემთხვევაში, მზად არიან გასწირონ ის, ანუ მზად არიან გახდნენ კულტურის სუბიექტები, გამოვიდნენ თავისი ფსიქოფიზიკური ინდივიდუალობის საზღვრებს გარეთ“ (ჭავჭავაძე, 1984: 146).

„ენა ყოველთვის აღიქმებოდა, როგორც ამა თუ იმ ეთნოსის სპეციფიკის ყველაზე მკაფიოდ განმსაზღვრელი ფაქტორი. პრიმორდიალისტებს (ი.გ. ფრიხტე, ი.გ. ჰერდერი) შეუძლებლად მიაჩნიათ ეთნიკური თვითმყოფადობის შენარჩუნება ეთნოსთან ტრადიციულად დაკავშირებული ენის გარეშე. მაგალითისათვის ასახელებენ ერთდროულად გამქრალ ენებსა და ეთნოსებს (რომაელები, შუმერები და ა.შ.)“ (ფიშმანი 2005: 116–119).

რა არის „კულტურა“ და რატომ უკავშირდება ის ენას ასე მჭიდროდ? კულტურა (ლათ. cultura - მიწათმოქმედება/მიწის დამუშავება/აღზრდა/ პატივისცემა) არის ადამიანური საქმიანობის სფერო დაკავშირებული ადამიანის თვითგამორკვევასთან, მისი სუბიექტურობის გამოვლენასთან. ზუსტად ამიტომ ნებისმიერ კულტურას აქვს დამატებითი დახასიათება, რადგანაც დაკავშირებულია როგორც ადამიანის

შემოქმედებასთან, ასევე ყოველდღიურ პრაქტიკასთან, კომუნიკაციასთან, მისი ყოველდღიური ცხოვრების ასახვასა და განზოგადებასთან. ე.ი. კულტურა არის ადამიანის სულიერი და მატერიალური ანარეკლი, ის, რაც მან შექმნა, ის რაც მას გარს აკრავს დაბადებიდან (ბუნების თავისებურებები, კლიმატი, ადამიანები). ყოველ ერს აქვს თავისი წარმოდგენა გარესამყაროზე, სამყაროს მისეული ხედვა და გაგება, ქცევის ნორმები და ეტიკეტი, თავისი კულტურა აქვს. ეს ეთნიკური თავისებურებები ყველაზე უფრო ვლინდება კულტურის ძეგლებში, კინოში, ხელოვნებაში, მხატვრულ ნაწარმოებებში, ზეპირსიტყვიერებაში, სიმღერებში, ლეგენდებში, ზღაპრებში, ერთი სიტყვით, ყველაფერში, რაც მიეკუთვნება სულიერ კულტურას.

მ. ჯაშის განმარტებით, „კულტურა ადამიანისა და საზოგადოების მოქმედების ფორმათა ერთობლიობაა, რომელიც ვლინდება ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში. ის გამოხატავს ადამიანის სოციალიზაციისა და საზოგადოების ჰუმანიზაციის დონეს. სულიერი კულტურა მოიცავს ადამიანის სულიერი მოღვაწეობის ძირითად ელემენტებს, სამყაროსადმი შემეცნებითს, ემოციურ და პრაქტიკულ-ღირებულებითს დამოკიდებულებას. შემეცნებითი მოღვაწეობის ფორმები გამოხატავს ადამიანთა სოციალურ-კულტურულ ორიენტირებს. კულტუროლოგიის სტრუქტურალისტური მიმართულების წარმომადგენლები: კ. ლევი-სტროსი და მ. ფუკო კულტურას განიხილავენ ენის დონეზე, როგორც ადამიანთა შორის კომუნიკაციის, ინფორმაციის გადაცემის საშუალებას თანამედროვე ლინგვისტიკაში, რომელიც ორიენტირებულია კომუნიკაციურ ლინგვისტიკაზე, ტექსტი განიხილება, როგორც უმაღლესი დინამიკური კომუნიკაციური ერთეული, რომლის საშუალებითაც წარმოებს სამეტყველო მოღვაწეობა“ (ჯაში, 2010:1).

„უდავოა, რომ ენები და კულტურები მრავალფეროვანია. სამყაროს, რომელიც მუდმივად ერთნაირად გვეძლევა, სხვადასხვაგვარად აღიქვამენ სხვადასხვა ენის მატარებელნი. ეროვნულ-კულტურული კომპონენტი ასახავს სამყაროს ენობრივ სურათს, რაც წარმოადგენს მოცემული ენობრივი კოლექტივის აზროვნებაში სამყაროს შესახებ ისტორიულად ჩამოყალიბებულ შეხედულებათა ერთობლიობას,

სინამდვილის კონცეპტუალიზაციის ერთგვარ ხერხს. ყოველი ბუნებრივი ენა ასახავს სამყაროს ორგანიზაციის და აღქმის გარკვეულ საშუალებას. მასში არსებული შეხედულებები ყალიბდება ერთგვარ სისტემად, ერთგვარ კოლექტიურ ფილოსოფიად, რომელიც საზიაროა მთელი ჯგუფისათვის. მოცემული ენისთვის დამახასიათებელი სამყაროს კონცეპტუალიზაციის ხერხი ნაწილობრივ უნივერსალური და ნაწილობრივ თავისებურია. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკეები ოდნავ განსხვავებულად უყურებენ სამყაროს, თავის ენობრივ პრიზმაში ატარებენ მას“ (ამირეჯიბი, 2004:6).

სამყაროს ენობრივი სურათის ცნება ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის იდეებიდან მოდის: „ადამიანები ენის დახმარებით ქმნიან თავიანთ განსაკუთრებულ სამყაროს, რომელიც განსხვავდება იმ სამყაროსგან, რაც მათ ირგვლივ არის. სამყაროს სურათი სხვადასხვა ადამიანს შეიძლება განსხვავებული ჰქონდეს. მაგალითად, განსხვავებული ეპოქის წარმომადგენლებს, განსხვავებულ სოციალურ და ასაკობრივ ჯგუფს და ა. შ. ადამიანებს, რომლებიც ლაპარაკობენ სხვადასხვა ენაზე, შეიძლება ჰქონდეთ რაღაც პირობებში მსგავსი სამყაროს სურათები, და პირიქით, ვინც ერთ ენაზე ლაპარაკობს - სხვადასხვა სურათი“ (მასლოვა, 2001:28).

საერთოდ, ეთნოკულტურის, ენისა და ეთნოსის ურთიერთობის პრობლემის შესწავლაზე გავლენას ახდენს ჰუმბოლდტის ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური იდეები. ერის მსოფლხედვის ჩამოყალიბებაში ჰუმბოლდტი უდიდეს როლს ანიჭებდა ენას. იგი ხაზს უსვამდა სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხთა მიერ სამყაროს სხვადასხვაგვარ აღქმას. ამ ნააზრევზე დაყრდნობით გაჩნდა ისეთი დისციპლინები, როგორებიცაა: ეთნოფსიქოლოგია, ფსიქოლინგვისტიკა, კოგნიტური ფსიქოლოგია, სოციოლინგვისტიკა, კოგნიტური ლინგვისტიკა, ეთნოლინგვისტიკა. ამათ საფუძველზე კი უფრო მეტი ინტერდისციპლინური სინთეზი ხდება და ვიღებთ ეთნოფსიქოლინგვისტიკას, ეთნოსემანტიკას, ეთნოფრაზეოლოგიას და ლინგვოკულტუროლოგიას.

თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთ წამყვან მიზნად სწორედ ენის მეშვეობით კულტურის შესწავლა იქცა. კულტუროლოგიური ლინგვისტიკა ანუ

ლინგოკულტუროლოგია ენას კულტურის ფენომენად და ეროვნული მენტალიტეტის გამოხატულებად მიიჩნევს და განიხილავს მას ადამიანთან, მის აზროვნებასთან, ფსიქიკასა და სულიერებასთან მჭიდრო კავშირში.

არნ. ჩიქობავა წერდა: „ძირითად ამოცანად რჩება ენის შესწავლა სათანადო ისტორიულ სინამდვილესთან, კერძოდ, კულტურის ისტორიასთან კავშირში, ერთი მხრივ, აზრის კატეგორიასთან და აზროვნების ისტორიასთან მიმართებაში, მეორე მხრივ აკლია? " (ჩიქობავა, 1967:6).

ს. ომიაძე აღნიშნავს, რომ „ლინგოკულტუროლოგია შეისწავლის კულტურისა და ენის ურთიერთქმედებას სინქრონიასა და დიაქრონიაში, თვით კულტურა კი განიხილება, როგორც ენის უმაღლესი ფორმა, როგორც აზროვნების საზრისულ კონცეპტთა სისტემა და აზროვნების სტრუქტურათა წარმომქმნელი“ (ომიაძე, 2006:7).

ამირეჯიბის აზრით, ამ დარგის აღმოცენება რამდენიმე მიზეზითაა განპირობებული. პირველია მსოფლიო პრობლემათა გლობალიზაცია, უმნიშვნელოვანეს საკითხთა გადაწყვეტისას სხვადასხვა ხალხის ქცევისა და ურთიერთობების სპეციფიკური და უნივერსალური მახასიათებლების გათვალისწინების აუცილებლობა კულტურათშორისი გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად. მეორეა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განვითარების პროცესის ობიექტური ინტეგრაციული ტენდენცია. მესამე კი ლინგვისტური ცოდნის გამოყენებითი მხარეა, ანუ ის, რომ ენა კოლექტიური ცოდნის კონცენტრირებული აღქმის საშუალებაა, რაც დაფიქსირებულია ლექსიკურ ერთეულებში.

მაშინ, როცა თანამედროვე სამყარო გლობალიზაციის გზას ადგას, კულტურათშორისი ურთიერთობა უდავოდ წარმოადგენს განვითარების საფუძველს, მას აქვს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა. „ენის შესწავლა მხოლოდ მისი სტრუქტურების სრულყოფილად დაუფლებას როდი ნიშნავს, ის, უპირველეს ყოვლისა, განსხვავებული კულტურული ცნობიერების და ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობის დაფასებასა და პატივისცემას გულისხმობს. უცხო ენის შემსწავლელმა უნდა აითვისოს არა მარტო ამა თუ იმ თემატიკისათვის საჭირო ლექსიკური მარაგი და ესა თუ ის გრამატიკული მასალა, არამედ უცხო კულტურული

ინფორმაციების ათვისების საფუძველზე ამ სტრუქტურების შესაბამის სიტუაციებში გამოყენებაშიც უნდა დაოსტატდეს“ (აქუზარდია, 2015:1) ყოველი ერი სამყაროს აღიქვამს თავისებურად. განსხვავდება მათი ფონური ცოდნა, მათი მენტალიტეტი, მათი ენობრივი სურათი და ა.შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ენა და კულტურა მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. სხვადასხვა კულტურული ერთობლიობის კვლევისას, მათი ენობრივი შეგნების, სახეების შედარება დღესდღეობით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

საინტერესო აღმოჩნდა კულტურის ანალიზის აისბერგის მოდელის განხილვა, როგორც კულტურის ანალიზის ერთ-ერთი უდავოდ საინტერესო ხედვა.

„აისბერგის მოდელის მიხედვით, კულტურას აქვს თავისი ხილვადი მხარე: არქიტექტურა, ხელოვნება, სამზარეულო, მუსიკა, ენა და ა.შ., ხოლო კულტურის ფუნდამენტური ნაწილის დანახვა შედარებით რთულია. უხილავია იმ ადამიანების ისტორია, რომლებიც ერთ კულტურას ქმნიან, ის ნორმები, ფასეულობები და შეხედულებები სივრცის, ბუნების და დროის შესახებ, რომლებსაც ერთი კულტურის წარმომადგენლები იზიარებენ. აისბერგის მოდელის მიხედვით, კულტურის ხილვადი ელემენტები უხილავი ნაწილის გამოხატულებაა. ეს მოდელი გვთავაზობს სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს შორის წარმოშობილი გაუგებრობების მიზეზების ახსნას. ჩვენ შესაძლოა ვიცნობდეთ აისბერგის ხილულ ელემენტებს ამა თუ იმ კულტურასთან შეხვედრის საწყის ეტაპზე, მაგრამ ვერ შევიცნობთ აისბერგის ფუნდამენტის ელემენტებს, რომლებისგანაც ხილული ნაწილი მომდინარეობს (წყარო №1).

სწორედ უდიდესი როლი კულტურული წარმოდგენების შეფასებებისა და ქცევის ნორმების შენახვაში (რომლებიც ჩამოყალიბდა მსოფლიოს ნაციონალური ენის სურათი ჩარჩოებში), კონსტრუირებასა და ტრანსლაციაში, ეკუთვნის ხალხურ ტექსტებს, მათ შორის კი უპირველესია იგავ-არაკები. ინფორმაცია, მოცემული სხვადასხვა იგავარაკულ ინტერპრეტაციაში, მსოფლიოს ენობრივი სურათის ნაციონალური კომპონენტის ანალიზისას უმნიშვნელოვანესია.

იგავ-არაკების ინტერპრეტაციების ნაციონალური სპეციფიკა ვლინდება ლექსიკის, გრამატიკის, და კომუნიკაციური ქცევის დონეზეც, რომელიც ახასიათებს იგავ-არაკების პერსონაჟებს. იგავ-არაკების გაპიროვნებული პერსონაჟები, რომლებიც განასახიერებენ ადამიანის სხვადასხვა მანკიერებასა და სათნოებას, არის სტერეოტიპური ქცევის მოდელი გარკვეული ერისათვის და ის ამჟღავნებს შესაბამისი ეთნოლინგვოკულტურული საზოგადოების წარმომადგენლების ნაციონალური მენტალიტეტისა და ხასიათის სპეციფიკას.

რადგანაც ჩვენი შესწავლის საგანია იგავ-არაკები და მათი ლინგვოკულტურული თავისებურებები, წინამდებარე ნაშრომი იგავ-არაკებს იკვლევს სხვადასხვა კულტურაში, სხვადასხვა ავტორთან და სხვადასხვა ეპოქაში. ზემოთ მიმოხილული მასალა საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ იმაზე, რამდენად ბევრ კოგნიტურ პროცესთან, კულტურულ თავისებურებასთან და რამდენი დისკურსის შემადგენელ ელემენტთან გვიხდება შეხება იგავ-არაკების შესწავლის დროს. აქ საქმე გვაქვს, პირველ რიგში, ავტორების უსაზღვროდ ღრმა აზროვნებასა და ცოდნასთან, ასევე იმ იმ კულტურულ თავისებურებებთან, რომლებიც ასეთ მცირე მოცულობის ტექტებში დევს, ხშირად იმპლიციტურადაც კი, მაგრამ ისე, რომ იწვევს ინტერესს და იმსახურებს საფუძვლიან შესწავლას.

## 1.2 იგავ-არაკის, როგორც ჟანრის გაჩენის და განვითარების ეტაპები

*„იგავი, არაკი, ზღაპარი, იმისთანა სახეა, კანია აზრისა, რომელიც საჭკუოდ და საზნეო ჭეშმარიტებას ზედმიწევნით გვიხატავს ხორგშესხმულად, ჭკუას გვასწავლის, გვარიგებს, ზნეს გვიწვრთნის, ავსა და კარგს გვანიშნებს ერთმანეთში გასარჩევად. თუ ორბელიანისებური ზღაპარი, არაკი, ამას არ სჩადის, განზრახვად, საგნად სწორედ ეს უნდა ჰქონდეს.“*

**ილია ჭავჭავაძე**

პირველყოფილ ადამიანს ორი კითხვა აწუხებდა: პირველი, როგორ არის მოწყობილი სამყარო და მეორე, როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი ამ სამყაროში. პირველ კითხვას პასუხი გასცა მითით, მეორეს კი არაკით. „მითთან ერთად არაკი წარმოადგენს სიტყვიერი ხელოვნების ერთ-ერთ უძველეს სააზროვნო ფორმას“ (გასპაროვი, 1971:70).

იგავ-არაკი წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს ლიტერატურულ ჟანრთაგანს და დგას ისეთი ზეპირსიტყვიერი ნიმუშების გვერდით, როგორებიცაა: **თქმა, მითი, გადმოცემა**. ამ ჟანრის ნაწარმოებები გვხვდება სხვადასხვა ხალხის უძველეს ლიტერატურულ ძეგლებში, რომლებიც მოიცავენ არა მხოლოდ იმ ჟანრებს, რომლებიც გაჩნდა დამწერლობასთან ერთად, არამედ პირველ რიგში მათ, რომელიც აღმოცენდა ხალხურ ზეპირსიტყვიერების შემოქმედებაში და ხანგრძლივად აგრძელებდა არსებობას ზეპირსიტყვიერად. იგავის წარმოქმნის ზუსტი თარიღის დადგენა წარმოუდგენელია, რადგანაც ის გაჩნდა დამწერლობაზე ბევრად უფრო ადრე, მაგრამ ისინი გადაეცემოდა საუკუნიდან საუკუნეს. ასეთი ჟანრის არსებობის აუცილებლობა შეიძლება საჭირო გამხდარიყო მაშინ, როდესაც საზოგადოების წინაშე დადგებოდა გამოცდილებისა და ცოდნის გადაცემა-გაზიარების პრობლემა. ცოდნის ზეპირად გადმოცემას აუცილებლად მოჰყვებოდა გარკვეული პრობლემები.

ცოდნის გადაცემის მეთოდის კვლევასთან ერთად ეძებდნენ გადაცემის ფორმებსაც. რამდენადაც ცოდნა გადაეცემოდა ზეპირსიტყვიერად, უნდა ყოფილიყო ოპტიმალურად მოკლე, ლაკონიური, წინააღმდეგ შემთხვევაში გართულდებოდა მისი როგორც დამახსოვრება, ასევე გადაცემა.

გასპაროვი მიიჩნევს, რომ არაკის ჟანრის განვითარებაში 4 ძირითადი ეტაპი შეინიშნება:

1. ფოლკლორული პერიოდი, როდესაც არაკი ჯერ არ იყო გამოყოფილი მაგალითისგან;
2. არაკის ზეპირი გავრცელების პერიოდი, რომელსაც უკვე აქვს მხატვრული ფორმა, მაგრამ ჯერ მხოლოდ გაბმულ მეტყველებაში არსებობს და ასრულებს მაგალითის, არგუმენტის ფუნქციას ამბის თხრობისას;
3. არაკის ზეპირი მეტყველებიდან წერილობით ტექსტში გადასვლის პერიოდი, როცა ის ჯერ არ არის ლიტერატურულად დამუშავებული;
4. ლიტერატურული არაკი, რომელსაც იგივე სტატუსი აქვს, რაც სხვა ჟანრებს (გასპაროვი, 1971:233).

სავსებით ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ **იგავი** არ იყო ერთადერთი ჟანრი, რომელიც ასრულებდა ცოდნის გადაცემის ფუნქციას. კერძოდ, იგავ-არაკის წინამორბედი და მასთან თავისი ხასიათით ყველაზე ახლოს დგას **აპოლოგია-მოკლე-ქარაგმული ჭკუის სასწავლებელი** მოთხრობა, რომელიც წარმოიქმნა აღმოსავლეთში. **ანდაზებიც** მჭიდროდაა დაკავშირებული იგავთან, რადგანაც იგავის ტექსტში უმეტეს შემთხვევაში ჩართულია მორალი, რომელიც აჯამებს ზემოთქმულს, წარმოადგენს ერთგვარ დარიგებას. სავსებით შესაძლებელია, ეს მორალი, როგორც დამოუკიდებელი განსჯა, დასცილდეს ტექსტს და იქცეს ანდაზად.

იმდენად, რამდენადაც იგავარაკული ჟანრის საწყისები ფესვადგმულია სიტყვიერი ურთიერთობის უმარტივეს ფორმებში, რომლებიც ერთნაირია მსოფლიოს ხალხებისთვის, მისი ჩამოყალიბების შესაძლებლობა ყველა ხალხის კულტურაშია შესაძლებელი, ოღონდ, როგორ განვითარდება ეს შესაძლებლობები, დამოკიდებულია თითოეული კულტურის ფორმირების კონკრეტულ ისტორიულ შესაძლებლობებზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგავ-არაკები უძველესი დროიდან მოდის. ისინი დამოუკიდებლად გამოჩნდა ანტიკურ ინდურ და ხმელთაშუა ზღვის კულტურებში.



„პანჩატანტრა“ (III-IV სს. ჩვ. წ. აღ.) არის სანსკრიტული მოთხრობების კრებული, რომლის მთავარი გმირები ცხოველებია. ის არაბული თარგმანის სახით მოღწეულია ჩვენამდე „ქილილა და დამანას“ სახელით.

IV-VI საუკუნეებში ჩინელი ბუდისტები იგავ-არაკებს რელიგიური მიზნებისთვის იყენებდნენ. ისინი ეხმარებოდა მათ რელიგიური დოგმების უკეთ გაგებაში. ეს იგავ-არაკული კრებული ცნობილია „*Bore jing*“ („აღმასის სუტრა“)-ის სახელით.

ახლო აღმოსავლეთში არაკები ოდითგანვე პოპულარული იყო. იგავებს ვხვდებით შუმერულ და ბაბილონურ ლურსმნულ ფირფიტებზე, ასევე ბიბლიაში. არაკი დამოუკიდებელ ჟანრად გამოიყო საბერძნეთსა და რომში. ყველასთვის ცნობილია ძველ საბერძნეთში იგავარაკული ჟანრის ფუძემდელი ეზოპე (V-VI სს. ჩვ.წ.აღ.), რომში - ფედრი (I ს. ჩვ.წ.აღ.), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნული და რომაული იგავ-არაკების მასალის საერთო წყაროდ ითვლება შუმერულ-ბაბილონური დამრიგებლური ტექსტები.

დასავლური ტრადიცია სავარაუდოდ ეზოპეთი იწყება, რომლის შესახებაც ბევრი არაფერია ცნობილი, თუმცა ეზოპემდე ბერძენი პოეტი ჰესიოდე მოგვითხრობს შევარდნის და ბულბულის ამბავს, მაგრამ მაინც ეზოპე ითვლება ამ ჟანრის ფუძემდებლად. თანამედროვე გამოცემებში დაახლოებით 200 ეზოპესეული იგავ-არაკია, მაგრამ რეალურად არ ვიცით, ვინ გამოიგონა ესა თუ ის ამბავი და რა იყო მისი შექმნის კონკრეტული მიზეზი. ეზოპე ძველ საბერძნეთში ცხოვრობდა და არანაკლები პოპულარულობით სარგებლობდა, ვიდრე თვით ჰომეროსი. ის პროზაულად წერდა. მისი იგავ-არაკების ღრმა სიბრძნე და ორიგინალური სიუჟეტები იმდენად ამოუწურავია, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში მათ იყენებენ მეიგავეები. მის იგავ-არაკებს ხალხი ერთმანეთს გადასცემდა, ისინი ისწავლებოდა სკოლებში, იდგმებოდა თეატრებში. ის იყო ჩვენთვის ცნობილი პირველი ადამიანი, რომელმაც თავის იგავებში ცხოველები გამოიყვანა ადამიანების პროტოტიპებად. ამ იგავების მეშვეობით ეზოპე ააშკარავებდა არა მხოლოდ მაღალი საზოგადოების ნაკლს, არამედ ჩვეულებრივი ადამიანების ნაკლოვანებებსაც. ეზოპე გმობდა

ადამიანების სიხარბეს, ბოროტებას და სიცრუეს. აზრის თავისუფლად გამოსათქმელად ის იყენებდა იგავ-არაკებს. იგი ხშირად ეხებოდა სიყვარულის და სამართლიანობის თემას. ეზოპეს ბევრი ანტიკური იგავ-არაკი გავრცელდა და გაგრძელდა პოეტური ფორმით, სხვა მეიგავეების სახელით. მაგალითად, ი. ა. კრილოვის იგავ-არაკთა უმეტესობა არის ნასესხები სიუჟეტები ჟ. ლაფონტენისგან, ეს უკანასკნელი კი დაესესხა ეზოპეს. ასე მაგალითად, სიუჟეტი შრომისმოყვარე ჭიანჭველასა და ჭრიჭინაზე გამოყენებულია ბევრ მეიგავესთან: 1) ეზოპე-*The Ant and The Grasshopper*; 2) ლაფონტენი-*„La Cigale et la Fourmi*”; 3) კრილოვი -*„СТРЕКОЗА И МУРАВЕЙ”* და სხვა.

შუა საუკუნეებში ალეგორიის ყველა სხვა სახესთან ერთად პოპულარული იყო იგავ-არაკიც. მეთორმეტე საუკუნის ბოლო პერიოდში **მარია დე ფრანსმა** შექმნა კრებული, რომელიც დაახლოებით 200 მოთხრობას მოიცავდა. ეს კრებული იყო ნაკრები ცხოველთა ეპოსის იგავ-არაკების და ბერძნული თუ რომაული თქმულებებისა. სხვა კრებულში **ქრისტინე დე პისანის** *Othéa*-ს ხელნაწერი მოიცავს მინიშნებებს სხვადასხვა ამბის საინტერპრეტაციოდ, რაც თავის მხრივ, მორალს ჰგავს.

იგავ-არაკის განვითარების გარკვეულ ეტაპზე იგავ-არაკული ფორმა შეიძლება გადაზრდილიყო ეპიკურ პოემაში ცხოველების შესახებ, რომელიც არის გრძელი, ეპიზოდური ამბავი ცხოველებზე, სავსე ბოროტმოქმედი გმირებით, მსხვერპლით და უსასრულო ეპიკური საქციელით. ასეთი ნამუშევრებიდან ყველაზე ცნობილი არის მე-12 საუკუნის კრებული *„Renard the Fox”*, რომლის გმირიც მელიაა, ცბიერი ადამიანის სიმბოლო. ეს კრებული მოიცავს მელიის და მამლის ამბავს. ეს ის მამალია, რომლის ამბავი გადმოცემულია გერმანულ, ჰოლანდიურ და ინგლისურ ვერსიებში (ჯეფრი ჩოსერმა აიღო ეს ამბავი *“Nun’s Priest’s Tale”*-ის საფუძველად) მალე *“Renard the Fox”*-მა მიაღწია მწვერვალს მთელ ევროპაში. რენესანსის ეპოქის პოეტმა, ედმუნდ სპენსერმა, ასევე გამოიყენა ის თავის *“Mother Hubbard’s Tale”*-ში.

პოეტურმა იგავარაკულმა ჟანრმა აპოგეას მიაღწია საფრანგეთში **ჟან დე ლაფონტენის** შემოქმედების წყალობით, რომელმაც დანერგა ახალი იგავარაკული ფორმა, იგავ-არაკებში ერთანეთს შეურწყა ანტიკური სიუჟეტები და თხრობის ახალი

მანერა. ლაფონტენი თავისი სიუჟეტებისათვის იყენებდა ანტიკურ სახეებს (მაგ. ეზოპეს იგავ-არაკებს) და ინდურ წყაროებს. მან მნიშვნელოვნად გააფართოვა იგავ-არაკის ჟანრის ჩარჩოები.

ლაფონტენის იგავ-არაკები ფრანგულ სინამდვილეს ფართოდ მოიცავს. XVII საუკუნის მეორე ნახევარში მთელი საფრანგეთი, დაწყებული ღარიბი გლეხიდან, რომელიც ლუკმაპურს მოიპოვებდა ფიჩხის შეგროვებით, დამთავრებული მონარქით და მისი არისტოკრატიული გარემოცვით, აისახა ლაფონტენის იგავ-არაკებში (წყარო №5) ლაფონტენმა შეცვალა იგავარაკული ჟანრი, ალეგორიულობა და მშრალი ჭკუის დარიგება შეცვალა ხატოვანმა და მხატვრულმა საწყისმა. ბევრი მისი თანამედროვე კიცხავდა მას ამ სიახლისათვის. ისინი მიჩვეული იყვნენ აღმზრდელობით არაკს. მათ ეგონათ, რომ ლაფონტენის მისწრაფება, პოეტურად „გაემრავალფეროვნებინა“ იგავ-არაკი, ამცირებდა მის სპეციფიკურ დიდაქტიკურ ღირებულებას. მართალია, ლაფონტენს მორალისადმი ჰქონდა განსაკუთრებული დამოკიდებულება, თვლიდა, რომ ის უნდა ყოფილიყო დასკვნა ბუნებრივი სიტუაციიდან, ამიტომ „მორალს“ ის ხშირად აჟღერებდა თავისი გმირების ბაგეებიდან.

ბრწყინვალედ ფლობდა რა ლაფონტენი ლაკონიური კომპოზიციის ხელოვნებას და მხატვრულ დეტალებს კარგად არჩევდა, გონივრულად იყენებდა საერთო-სახალხო ენის სიმდიდრეს, მოქნილად იყენებდა თავისუფალ ლექსსაც, ის დრამატულს ხდიდა იგავ-არაკს, უზომოდ აფართოებდა მისი გამოხატვის შესაძლებლობებს.

ლაფონტენის იგავ-არაკში მოქმედება, როგორც წესი, შიგნიდან ვითარდება. სიუჟეტის მამოძრავებელ ძალას მეიგავისათვის წარმოადგენს გმირების შინაგანი თვისებები და განზრახვები, ამიტომ ლაფონტენის ნაწარმოებებში ტრადიციული მორალური გაკვეთილი, ფორმულირებული იგავ-არაკის ან ჩანართ-სიტყვებში ან დასკვნაში, უფრო ხშირად აღმოჩნდებოდა იმ იდეური შინაარსის მქონე, რომელსაც ობიექტურად ასკვნის ლექსი ერთიანად. ხშირად ეს გაკვეთილი საერთოდ არ არის მასში ან წარმოითქმება ამა თუ იმ პერსონაჟის მიერ, რაც იძლევა მისი დახასიათების საშუალებას.

ლაფონტენის ნოვატორობა იგავ-არაკის ჟანრის განვითარება, კერძოდ, მისი დემოკრატიზაციაა.

ლაფონტენმა იგავ-არაკში შემოიყვანა ახალი გმირი, ადამიანი ხალხის წრიდან. მწერალი აფასებს მის მიერ ასახულ მოვლენებს უბრალო, მშრომელი ადამიანის თვალთახედვიდან. ხალხურობა და დემოკრატიზმი ლაფონტენის შემოქმედებაში საგრძნობია, როცა აბსოლუტისტური სახელმწიფოს მძაფრი კრიტიკაა მოცემული.

ლაფონტენმა არამარტო გააღრმავა იგავ-არაკის შინაარსი, დაუმატა რა ფილოსოფიური და პოლიტიკური ხასიათი, არამედ ფორმაც დახვეწა. ფრანგი პოეტის კალმის მეშვეობით იგავ-არაკი გახდა მსუბუქი და დახვეწილი.

ლაფონტენის პერიოდში საქართველოში გამოჩნდება მეიგავე **სულხან-საბა ორბელიანი**. მან შექმნა იგავ-არაკთა ბრწყინვალე კრებული „სიბრძე სიცრუისა“, რომელშიც არაჩვეულებრივი ქართული ენითა და იუმორით გადმოსცა თავისი დროის მოწინავე იდეები და ზნეობრივი იდეალები. მსოფლიოში გავრცელებული ამ ტიპის კრებულებისაგან განსხვავებით, ფაბულა აქ ბევრად უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს, კრავს თხზულებას, იგავ-არაკთა მკაცრ ჩარჩოში აქცევს და იდეურ მიზანდასახულობს გამოკვეთს. სულხან-საბა ორბელიანი თავის „სიბრძნე სიცრუისაში“ ძველ ქართულ მწერლობაში გავრცელებული სიმბოლურ-ალეგორიული გამოხატვის ერთ-ერთ ფორმას – იგავური ალეგორიზმის ხერხს იყენებს. წიგნში წარმოდგენილია 300-ზე მეტი იგავი. ავტორმა ზოგი იგავ-არაკის სიუჟეტი ეროვნული ფოლკლორიდან აიღო, ზოგი კი თვითონვე შეთხზა. მთელი მასალა შეზავებულია ეროვნული იუმორითა და კოლორიტით, გამდიდრებულია მხატვრულად ზუსტი დეტალებით. თხზულებაში სრულად იჩენს თავს ავტორის განმანათლებლური იდეები. იგავ-არაკების ფორმით გაშლილი სიუჟეტი თავს იყრის სწავლა-აღზრდის საკითხების გარშემო. სულხან-საბა ორბელიანი ქადაგებს აღზრდის დემოკრატიულ პრინციპებს, აკრიტიკებს მანკიერებებს, ზნეობრივ და სულიერ დაცემულობას. ამ დროს იგი არც სამეფო წრის წარმომადგენლებს ინდობს, ამხელს მათ მძაფრი სატირით. ჰუმანიზმი, მეგობრობის მაღალი იდეალები, ადამიანის პირად ღირსებათა პატივისცემა მსჭვალავს მთელ თხზულებას. ნაწარმოებს გასდევს ღრმა ეროვნული სულისკვეთება, ზრუნვა იმ კონკრეტული საკითხების მოგვარებაზე,

რომლებიც ხელს უშლიდა იმდროინდელ საქართველოს, თავი დაეღწია პოლიტიკური თუ სოციალური უკუღმართობისაგან. ავტორი თავს არიდებს მშრალ მორალისტიკას, მიმზიდველად მოთხრობილ ამბებში ბუნებრივად აქსოვს ამა თუ იმ ბრძნულ აზრს, შეგონებას (წყარო №2).

არსებობდა მოსაზრება, რომ სულხან-საბაზე გავლენა მოახდინა ფრანგმა მეიგავემ, ჟან დე ლაფონტენმა. ეს მოსაზრება მცდარია, რადგან სულხან-საბამ ევროპაში 1713-1716 წლებში იმოგზაურა, ხოლო ლაფონტენი 1694 წელს გარდაიცვალა. სულხან-საბამ ფრანგული ენა „სიბრძნე სიცრუისას“ დაწერის შემდეგ (1686-1695 წწ.) შეისწავლა, ამიტომ ლაფონტენთან ლიტერატურული ნაცნობობაც გამორიცხულია. სამაგიეროდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სულხან-საბაზე გავლენა მოახდინა ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ. მის წიგნში მრავლად გვხვდება ქართული ხალხური იგავები.

საინტერესოა, ვნახოთ, როგორ ვითარდება იგავ-არაკული ჟანრი XVII-XVIII საუკუნეების ინგლისში. დანარჩენი ევროპისგან განსხვავებით, იგავ-არაკი იქ არასდროს ითვლებოდა ლიტერატურულ ჟანრად. ინგლისური თეორეტიკული ესეს „იგავ-არაკის შესახებ“ ავტორი **რ. დოდსლი** (1761წ.) იწყებს და ასრულებს მას მობოდიშებით იმის გამო, რომ მიმართა ამგვარ „სიმცირეს.“ მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელები ვერ ხედავდნენ იგავ-არაკის ლიტერატურულ ღირსებებს, მაინც განიხილავდნენ მას ახალგაზრდა თაობაზე ზემოქმედების საუკეთესო საშუალებად. ქვეყნის წამყვანი იდეოლოგები (დ.ჯ. ლოკი და სხვანი) ურჩევდნენ იგავ-არაკით სწავლებას, რადგანაც ის პასუხობდა განათლების მთავრ მიზანს - ჯენტლმენის ჩამოყალიბებას. ინგლისელი მეიგავის- **რ. დოდსლის** იგავები გამოირჩევა მაღალმხატვრული სტილით. მისი იგავები მდიდარია სხვადასხვა სტილისტიკური ხერხით და ფრაზეოლოგიზმებით.

ფრანგული ტრადიციის ზეგავლენით იგავ-არაკის ჟანრმა შედეგად მიიღო განვითარება ბევრი რუსი ავტორის ნაწარმოებში, რომელთა შორის ყველაზე ნაყოფიერი იყო **ი. კრილოვის** შემოქმედება. **ი. კრილოვი** არის ფენომენური მოვლენა რუსი ერის კულტურაში. მისი იგავ-არაკები იმდენად თვითმყოფადი და განსხვავებული იყო, რომ არ ჯდებოდა მისი დროის არცერთი ლიტერატურული

მიმდინარეობის ჩარჩოში. ვიაზემსკი აღნიშნავს, რომ კრილოვი არის სრულიად განხვავებული მოვლენა. ის არავის არ აგრძელებდა და არც არაფერი უშვია.

„ი. კრილოვის ნიჭიერება, გამრავლებული ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე, ღრმა შინაგანი კავშირი ხალხურ კულტურასთან, გონებამახვილობა და ორიგინალურობა აღმოჩნდა ის აუცილებელი კომპონენტები, რომლებმაც სამუდამოდ მოაკუთვნეს მას „უბადლო მეიგავისა“ და „პოეტური სიტყვის ოსტატის“ წოდება. ი. კრილოვის იგავ-არაკების მიმართ სამამულო პრაქტიკაში დამკვიდრდა მყარი დამოკიდებულება. იგი წავიდა თავისი გზით, არ შედიოდა გარკვეული სახის დისკუსიებსა და პოლემიკაში თავის თანამედროვეებთან“ (კრიცკაია, 2009:12)

კრილოვის განსაკუთრებულობა ისაა, რომ ის კი არ ასწავლის, არამედ თვალყურს ადევნებს თავის გმირებს და გამოაქვს მკითხველის სამსჯავროზე თავისი დაკვირვებები.

მეიგავის შემოქმედების თავისებურება ისაა, რომ ავტორი-მთხრობელი ყოველთვის ახლოს არის თავის პერსონაჟებთან, მათ ზემოდან არ დაჰყურებს. მაშინაც კი, როცა გმირები სისულელეებს სჩადიან, ავტორი პირდაპირ არ კიცხავს მათ, არამედ მიუთითებს მათი საქციელის უაზრობაზე. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კრილოვი ერთნაირად თანაუგრძნობს თავის გმირებს. მისი პოზიცია სოციალურად არის შეფერადებული. ის მხარში უდგას უბრალო ხალხს, რომლებიც ცხოვრობენ ბუნებრივი ფასეულობების სამყაროში, თანაუგრძნობს თავის გმირებს, არ აიდევლებს და არ აღამაზებს, მაგრამ არც ამცირებს და არც აკნინებს მათ. ზუსტად ეს ანალიზის სიფხიზლე მეიგავს აქცევს მასწავლებლად, დამრიგებლად.

იგავ-არაკების სტრუქტურა მრავალმხრივია, მაგრამ მორალი იგავ-არაკის აუცილებელი შემადგენელია. მას ავტორი ათავსებს დასაწყისში ან ბოლოში:

დასაწყისში:

*“Случается не редко нам*

*И труд и мудрость видеть там,*

*Где стоит только догадаться*

*За дело просто взяться* (“*Ларчик*”)

ბოლოში:

*“Завистники, на что ни взглянут,*

*Подымут вечно лай;*

*А ты себе своей дорогою ступай:*

*Полают, да отстанут* (“*Прохожие и Собаки*”)

ხშირად იგავ-არაკი აგებულია დიალოგის ფორმით, სადაც ავტორი და გმირები საუბრობენ მათთვის დამახასიათებელი ენით. იგავ-არაკების დრამატურგიულმა სტრუქტურამ ისინი გახადა უფრო ცოცხალი და მკაფიო, გადმოსცემდა რა ცოცხალი, თავისუფალი საუბრის ინტონაციებს.

*“Кумушка, мне странно это:*

*Да работала ль ты в лето?” —*

*Говорит ей Муравей.*

*“До того ль, голубчик, было?*

*В мягких муравах у нас Песни, резвость всякой час,*

*Так, что голову вскружило”. —*

*“А, так ты...” — “Я без души Лето целое все пела”. —*

*“Ты все пела? это дело:*

*Так поди же, попляши!* (“*Стрекоза и Муравей*”)

იგავ-არაკების პირველივე კრებულებში მკაფიოდ აღინიშნა პრობლემების წრე, რომლებმაც მიიქცია მეიგავის ყურადღება. ის დასცინის ზოგადადამიანურ მანკიერებებს, ნაკლს, მაგრამ მათი აღწერის ხერხი და გადმოცემა ავლენს რუსული გონის, რუსულ ხასიათს. „იგავ-არაკების ხალხურობამ ი. კრილოვს მისცა საშუალება,

შექმნა კოსმოპოლიტური იგავარაკული ჟანრი, რომელიც XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსულ ლიტერატურაში თითქმის წამყვანი იყო (კრიცკაია, 2009:25)

პოლუიანოვას აზრით, XIX საუკუნის ბოლოდან რუსეთში იგავ-არაკის ჟანრი კარგავს პოპულარობას და მნიშვნელობას, აქედან გამომდინარე, მცირდება იგავარაკულ ჟანრში მომუშავე ავტორთა რიცხვი. XX საუკუნის მეიგავეებს შორის შეიძლება გამოიყოს **დემიანზენი, ს. მიხალკოვი** და სხვა მწერლები. სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ ბევრი კრიტიკული ნარკვევია ცნობილი მეიგავეების ცალკეულ ნაწარმოებზე. მათში გვხვდება სიუჟეტური ხაზების, კომპოზიციური აგებულების, ზნეობრივი დახასიათების შედარება და ანალიზი; თუმცა თანამედროვე ლიტერატურაში არსებული ტენდენციები, რომლებიც ხასიათდება მცირეოდენი გადახრებით არსებული კანონებიდან, ავლენს განსხვავებებს სხვადასხვა ეპოქის იგავ-არაკების სტრუქტურასა და სემანტიკასთან.

ევროპაში XIX საუკუნე უკვე არის ის პერიოდი, როცა განვითარების მწვერვალს აღწევს საბავშვო ლიტერატურა. სწორედ ამავე პერიოდში იგავ-არაკმა იპოვა ახალი მკითხველი.

მეოცე საუკუნის მეიგავეთაგან აღნიშვნის ღირსია ამერიკელი მწერლის **ჯ. თერბერის** სახელი, რომელსაც ეკუთვნის "Fables for Our Time" („ჩვენი დროის იგავ-არაკები“) ასევე აღნიშვნას იმსახურებენ **ჯ.ეიდი** და **ა. ლობელი**. ქართველ მეიგავეებს მეოცე საუკუნეში **ზ. გამსახურდია** შეემატა. სწორედ ამ თანამედროვე ავტორთა იგავეების განხილვას და ანალიზს შევეცდებით მოცემულ ნაშრომში.



### 1.3 იგავ-არაკის ჟანრული მახასიათებლები

იგავს და არაკს, როგორც აღვნიშნეთ, არსებობის ხანგრძლივი ისტორია აქვს, თუმცა, ის ჯერაც ინარჩუნებს აქტუალურობას. მეტიც, ახალ კონტექსტებს იძენს და აფართოებს ჟანრის ჩარჩოებს.

დღეისათვის ქართულ და ევროპულ სამეცნიერო სივრცეში გამოიკვეთა ტენდენცია, არაკად მივიჩნიოთ მცირე ზომის ალეგორიული ტექსტები, რომელთა პერსონაჟებიც ცხოველები და ადამიანები არიან. ასეთი ნაწარმოებების ტექსტი დამრიგებლობითი ან მორალისტური შეგონებით გვირგვინდება. იგავად მიიჩნევა სიმბოლური მნიშვნელობის ტექსტები, რომლებიც უმეტესად სასულიერო ლიტერატურაში გვხვდება (სახარების და ყურანის იგავები).

არაკიც და იგავიც მარტივ ალეგორიას განეკუთვნება. არაკი თხრობას ცხოველების შესახებ, რომლებიც გაპიროვნებული არიან და იქცევიან, როგორც ადამიანები. გაპიროვნების ხერხი ხშირად ვრცელდება ხეებზე, ნაკადულებზე, ქვებსა და ბუნებრივ მოვლენებზე. ის ტოვებს შთაბეჭდილებას, თითქოს ადამიანი ანიმაციურ მულტფილმს უყურებს. თვისება, რომელიც არაკს განასხვავებს სხვა ფოლკლორული ამბისგან, არის ის, რომ იგავ-არაკს აქვს მორალი, რომელიც ხშირ შემთხვევაში, იგავ-არაკის ბოლოსაა წარმოდგენილი.

ცნობილი მკვლევარი ნეიგორი არაკს ასე განმარტავს: „არაკი არის გამოგონებული ამბავი (მონათხრობი), რომლის პერსონაჟები ალეგორიულნი არიან, მათი მოქმედება კი ექვემდებარება მორალურ შეფასებას“ (მულერი, 1875:860.)

იგავი არაკის მსგავსად, მოიცავს მარტივ ამბავს, მაგრამ იგავ-არაკისგან გასხვავებით, იგი არ ცდილობს ცხოველების პერსონიფიკაციას- იგავი ძირითადად მოიცავს ადამიანებს. იგავისთვის უმთავრესია, გაავლოს პარალელი ადამიანის კონკრეტულ ქცევასთან და ზოგადად ადამიანების ქცევებთან.

იგავიც და არაკიც სიბრძნის გადმოცემის საშუალებებია, თუმცა მათი სტილი განსხვავდება. იგავ-არაკებში ძირითადად არის მისწრაფება დეტალური სოციალური ყოფის და პრობლემების აღწერისკენ (რომელსაც საბოლოოდ მივყავართ სატირამდე).

„არაკი ჩაისახა, როგორც არგუმენტაციის ერთ-ერთი საშუალება: ერთი ეუბნება მეორეს: ეს ასე რომ გააკეთო, შეიძლება ისე მოხდეს, როგორც მავანს მოუვიდა და მოთხრობილია მავანის ამბავი“ (ამირხანაშვილი, 2012:241).

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გაგვიადვილდება, თუკი ერთმანეთისგან გავარჩევთ ტერმინებს: “fable” და „parable”.

ინგლისურ ენაში იგავების აღსანიშნად გამოიყენება ორი ტერმინი “parable” და “fable”. ტერმინი „parable” მომდინარეობს ბერძნული სიტყვისგან „parabole”, („para” და „ballein”), ინგლისური ენის განმარტებით ლექსიკონში ის განიმარტება, როგორც *“A simple story used to illustrate a moral or spiritual lesson, as told by Jesus in the Gospels”* (მარტივი მოთხრობა, რომელიც მორალურ ან სასულიერო გაკვეთილს გვიჩვენებს, მაგალითად, ქრისტეს სახარებისეული იგავები- თარგმანი ჩვენეულია (თ.დ.). სიტყვა “fable” ინგლისური ენის განმარტებით ლექსიკონში განმარტებულია, როგორც *“A short story, typically with animals as characters, conveying a moral* -მოკლე მოთხრობა, რომელიც მოიცავს მორალს და რომლის მოქმედი პერსონაჟები ჩვეულებრივ ცხოველები არიან (თარგმანი ჩვენეულია (თ. დ)). აშკარაა, რომ ინგლისურ ენაში იგავებს ორ ტიპად ჰყოფენ:

1. ქრისტეს და სახარების იგავები, რომლებიც მორალური თუ ეთიკური აზრის მატარებელია და რომელთა გმირებიც მხოლოდ ადამიანები არიან;
2. იგავ-არაკები, რომელთა მოქმედი გმირები ცხოველებია.

დავაკვირდეთ იგავსა და იგავ-არაკებს შორის არსებულ ძირითად სხვაობებს და მსგავსებებს

Parable-იგავი	Fable-იგავ-არაკი
<ul style="list-style-type: none"> <li>• ა. მოკლე ფორმის</li> <li>• ბ. მორალური/ეთიკური აზრის შემცველი</li> <li>• გ. მოქმედი პირები: ადამიანები</li> <li>• დ. რეალური სამყარო, რეალური პრობლემა, რეალური შედეგი.</li> </ul> <p>დ. დაკავშირებული სულიერ ასპექტებთან</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>ა. მოკლე მოთხრობა</li> <li>ბ. შეგონების მატარებელი</li> <li>გ. მოქმედი პირები -ცხოველები, ფრინველები, მცენარეები, ბუნებრივი მოვლენები</li> <li>• დ. არა რეალური სამყარო; არა-რეალური გმირები</li> </ul>

როდესაც მკვლევრები საუბრობენ ბერძნულ იგავ-არაკებზე, ისინი ჩვეულებრივ ხედავენ განსხვავებას იესოს იგავებს და სხვა დანარჩენ იგავებს შორის. მენსონი აღნიშნავს: „იგავები, რომლებსაც ქრისტე იყენებდა, გამოხატავენ ადამიანურ ურთიერთობებს რეალურ ცხოვრებაში. იგავ-არაკი კი, მეორე მხრივ, გამონაგონი ამბავია, რომელიც ცხოველებს, ფრინველებს და მცენარეებს იყენებს ადამიანური თვისებების გამოსახატავად“. ბოუჩერი ეხმაურება მენსონს და აღნიშნავს, რომ „იესოს იგავები რელიგიური ან მორალური გაკვეთილებია, ხოლო სხვა ტიპის იგავები - უბრალოდ გონივრული გაკვეთილები.“ აქაც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, იმიტომ, რომ ძალიან ბევრი არაიესოსეული იგავი მოიცავს ამბებს ადამიანებსა და ღმერთებზე და ძალიან ხშირად ისინი რელიგიური მორალის მატარებლებიცაა. ედვინ პერი ფიქრობდა, რომ ბერძნული ტიპის იგავ-არაკის საფუძველი ებრაული ტიპის იგავი, ე.წ „mashal“ იყო .

მერი ანა ბევისი თავის სტატიაში აღნიშნავს, რომ ბერძნულ და ებრაულ იგავებს უამრავი საერთო აქვს და გამოყოფს ხუთ ძირითად მსგავსებას:

1. *მსგავსებები თხრობის სტრუქტურაში:* ორივე ტიპის იგავი არის მოკლე, გამონაგონი თხრობა და აჩვენებს ადამიანის საქციელის და გამოცდილების ასპექტებს;
2. *მსგავსებები შინაარსში-* იგავებისთვის მთავარია უბრალო ადამიანები და უბრალო სიტუაციები;
3. *რელიგიური და ეთნიკური თემები:* ბევრს აქ ყურადღებას ამახვილებს ორ ბერძნულ იგავზე, სადაც საუბარია ადამიანის და ღმერთის ურთიერთობაზე, მაგრამ რელიგიური და მორალური ტონი იგავ-არაკებისა აშკარად განსხვავებს ერთმანეთისგან რელიგიურ და ეთნიკურ ტრადიციებს;
4. *ირონიის და მოულოდნელობის ელემენტები:* ორივე ტიპის იგავში შეიმჩნევა ირონიისა და მოულოდნელი ელემენტები.
5. *შეგონება ან განცხადება:* ბევრის აზრით, ძირითადად ყველა იგავს აქვს მორალი, რომელიც ან თავშია გამოხატული, ან ბოლოში.

როგორც ვხედავთ, მათ შორის მკვეთრ სხვაობას ქმნის მხოლოდ პერსონაჟების არჩევანი, თუმცა, სიმკვეთრე აქაც ირღვევა, და ორივე ტიპის მოთხრობაში შესაძლებელია ვიპოვოთ როგორც ადამიანები, ასევე ცხოველები. მეტიც, ქართული ენა მათ აერთიანებს ერთი ტერმინი „იგავ-არაკით.“ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში იგავ-არაკი და იგავი სინონიმებია.

იგავ-არაკი, როგორც ჟანრი, სხვადასხვანაირად განისაზღვრება. წარმოვადგენთ რამდენიმე განსაზღვრებას:

1. იგავი არის მცირე ზომის ნაწარმოები, ხშირად დამრიგებლური ხასიათისა, რომელსაც ზოგჯერ ლექსის ფორმა აქვს;
2. იგავი „ესე არს სიტყვით მაგალითი, გინა საჩვენებელი, განა მოსანიშნავი“ (სულხან-საბა ორბელიანი, „სიტყვის კონა“);
3. იგავი არის რელიგიური ან მორალური ამბავი;
4. იგავი - მოკლე ალეგორიული ამბავი, რომელიც სრულდება შეგონებით. შეგონება, როგორც წესი, იგავის ბოლოსაა წარმოდგენილი და დიდაქტიკური ხასიათისაა (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი);

5. იგავ-არაკი, როგორც ლიტერატურის ჟანრი, არის მოკლე, გადატანითი მნიშვნელობის მქონე დამრიგებლური ნაწარმოები ლექსის, პროზაული ან შერეული ფორმით, სადაც სატირულად და დამცინავადაა ასახული ადამიანური ქცევები და ურთიერთობები (პოლუიანოვა,2001: 5)

იგავ-არაკების ჟანრობრივმა თვისებებმა განაპირობა კულტურული ინფორმაციის გადმოცემის საშუალებებზეც. მაგალითად, იგავ-არაკებში საკუთარი სახელები უფრო იშვიათად გამოიყენება, რადგან იგავარაკული ჟანრი მიისწრაფვის თხრობის განზოგადებისაკენ. მორალის გამოყოფა ცალკე კომპოზიციურ ნაწილად ანიჭებს იგავ-არაკს მუდმივი ჭეშმარიტების ხასიათს.

იგავ-არაკი – ესაა მორალის შეფარული ქადაგება. საქმე ის გახლავთ, რომ მხატვრული ლიტერატურის ეს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჟანრი თავის მიზნად ოდითგანვე სწორედ მორალის გადმოცემას ისახავდა. მორალი, რომელსაც იგავი შეიცავს, არის სენტენცია, რომელიც განმარტავს მასში არსებულ სასარგებლო აზრს. იგავ-არაკი, ჩვეულებისამებრ, აღწერს კონკრეტულ ეპიზოდს, ხოლო მორალი, რომლის მატარებელიც არის ის, აღიარებული ჭეშმარიტებაა. ნებისმიერი იგავი პრაქტიკულად შედგება ორი ნაწილისაგან:

- 1) ქარაგმულად ნათქვამი მსჯელობისაგან;
- 2) მორალისგან, დარიგებისაგან.

პოლუიანოვას აზრით, იგავ-არაკში მორალი არის ლოგიკური დამრიგებლური დასკვნა და შეიძლება მოთავსდეს როგორც იგავ-არაკის დასაწყისში (პრომიფი), და ასევე ბოლოში(ეპიმიფი).

იგავ-არაკების სტრუქტურას აქვს მნიშვნელოვანი თავისებურება: მათში ცოტაა აღწერა და დიალოგი.

„იგავ-არაკის ჟანრის თავისებურება მისი გამოყენების უნივერსალურობაა. იგავ-არაკული მონათხრობის ხატოვან-პოეტური ფაბულა ემყარება ალეგორიას, რაც ხელს უწყობს აზრების სიმრავლის წარმოქმნას და რეციპიენტის ინდივიდუალურ აღქმას, რომელიც გარდატყდება მეიგავის მიერ ჩამოყალიბებული მორალის

პრიზმაში. თავისი მრავალმხრივობიდან გამომდინარე იგავ-არაკები შეიძლება მიესადაგოს ნებისმიერ შესაფერის მომენტს” (პოლუიანოვა, 2001:15)

იგავ-არაკებში მხატვრული ხერხების მიზანია ნაწარმოებში ზნეობრივი პრობლემატიკის და მორალური პრინციპების გაშლა და აღმზრდელობითი მიზნით ადამიანური მანკიერებების გამოაშკარავება.

ქარაგმულობა იგავ-არაკის კიდევ ერთი მახასიათებელი ნიშან-თვისებაა, რომელიც საშუალებას აძლევს ავტორს მცირე ზომის ნაწარმოებში ჩადოს ღრმა აზრი, ის ხსნის მთელი ნაწარმოების იდეას.

იგავ-არაკის ქარაგმულობა (ალეგორიულობა), დაკავშირებული პირველ რიგში ტრადიციული იგავარაკული პერსონაჟების სპეციფიკასთან, საშუალებას იძლევა ამა თუ იმ ერის ცხოვრების სხვადასხვა მხარის მსჯელობაზე, ასე მაგალითად, უსულო საგნები - იგავ-არაკების მოქმედი პირები - შეიცავენ ინფორმაციას ერის ყოფის, განვითარების გარკვეულ ეტაპის, შრომის იარაღების, რელიგიური კულტის, ხალხური დღესასწაულების და ადათ-წესების შესახებ. ადამიანთა სახეები საშუალებას იძლევა გაიგონ ამა თუ იმ ისტორიულ პერიოდში არსებული პროფესიებისა და სოციალური ფენების შესახებ თითოეულ პროფესიასთან დაკავშირებული შრომის იარაღებზე, ტანსაცმელზე და სხვა; საზოგადოების დამოკიდებულებაზე მოცემული პროფესიის წარმომადგენლების მიერ ან განსაზღვრული თვისების მატარებლის მიმართ. იგავ-არაკების უძველესი და გავრცელებული პერსონაჟები ცხოველებია. ისინი ყოველთვის არ აისახებიან მათი რეალური ბიოლოგიური თავისებურებების შესაბამისად, ამ სახეების ინტერპრეტაცია დაფუძნებულია უძველეს ტოტემურ რწმენებზე, რომლებიც არსებობს იგავ-არაკების და მითოლოგიური ლეგენდების შერწყმით. იგავ-არაკში კულტურული ინფორმაციის გადმოცემის საშუალებებს შორის მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფონური ლექსიკა. არსებითად სიტყვებში არსებული (პირველ რიგში ცხოველთა დასახელებებში) კულტურული კონოტაციები, გასაგები ენის მატარებლებისათვის ქმნიან საფუძველს იგავარაკული პერსონაჟების ზოგიერთი მყარი ამპლუისათვის (ილინა, 1984).

რუსი მკვლევარი ბოგდანოვი გამოყოფს იგავ-არაკის გმირების სხვადასხვა პოლარულ მახასიათებელს:

1. **სათნოება** (დადებითი თვისებები): სიკეთე, მადლიერება, კეთილშობილება, გულმოდგინება, შრომისმოყვარეობა, პატიოსნება, მეგობრობა, გულისხმიერება, ურთიერთდახმარება და სხვა.

2. **მანკიერებები** (უარყოფითი თვისებები)- პირფერობა, შური, ტყუილი, სიზარმაცე, სიბრიყვე, ბოროტება, ქურდობა, უზრდელობა, უზნეობა, ტრაბახი და სხვა (ბოგდანოვი, 2014:67).

თანამედროვე ლიტერატურული იგავ-არაკი მემკვიდრეობით კლასიკური იგავ-არაკისგან იღებს ზოგიერთ მყარ თვისებას: ალეგორიულობას, დარიგებას, კრეატიულობას, ლაპიდარულობას. ყველა ეს თვისება აისახება თანამედროვე იგავ-არაკების ტექსტებში.

## 1.4 იგავ-არაკების აღმზრდელობითი ფუნქცია და მათი გამოყენებით

### სწავლების უპირატესობები

იგავ-არაკების წარმოშობის, განვითარების და ჟანრული მახასიათებლების შესწავლის შემდეგ აუცილებლად მიგვაჩნია, ვისაუბროთ მათი ფუნქციის შესახებ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგავ-არაკი პატარა ისტორიაა, რომელიც სხვა ტრადიციული ლიტერატურული ნაწარმოებებისგან იმით განსხვავდება, რომ მისი დასასრული მორალურისტურია. ის ზნეობრივ-დამრიგებლური ხასიათის თხზულებაა. იგავ-არაკი არის არა მარტო მხატვრული, არამედ ფილოსოფიური ნაწარმოები, რომელიც აჩვენებს მეიგავის სიბრძნეს, ზნეობრივ-ფილოსოფიურ პოზიციებს, ადამიანის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნას. მკითხველს იგავ-არაკში შეუძლია ჩაუღრმავდეს ადამიანის ცხოვრებას, დაინახოს ის, რაც არ ჩანს ზედაპირული მხერით, ჩაფიქრდეს თავის ქცევებზე რეალურ ცხოვრებაში. იგავ-არაკი ამხელს ადამიანის ხასიათის მანკიერებებს, გვასწავლის მოკრძალებას, ურთიერთდახმარებას, შრომის პატივისცემას და დასცინის სიზარმაცეს, სიბრიყვეს და პირფერობას. იგი უნდა ემსახურებოდეს ადამიანის გამოსწორებას. ადამიანის აღსაზრდელად იგავ-არაკი გვთავაზობს ცხოველთა მოქმედებას. ასე რომ, არავინ რჩება ნაწყენი, ხოლო აზრი გასაგები ხდება. გასული საუკუნეების იგავ-არაკები დღესაც აქტუალურია და საჭირობოროტო, ისინი ეხმარება ახალგაზრდა თაობას ზნეობრივ-ეთიკური თვისებების ფორმირებაში, ამიტომ იგავ-არაკი ატარებს დიდ აღმზრდელობით ფუნქციას, აყენებს ადამიანს გამოსწორების გზაზე. ამ ფაქტორით განისაზღვრება იგავ-არაკული ჟანრის ლინგვოკულტურული შესწავლის მნიშვნელობა. მორალი, რომელსაც ესა თუ ის იგავ-არაკი შეიცავს, სენტენციაა, რომელიც განმარტავს მასში არსებულ სასარგებლო აზრს. მისი დედააზრი იძლევა გარკვეულ ინსტრუქციას (მოცემულ თემაზე) სამყაროში ადამიანთა მართებული ქმედების შესახებ (ბოგდანოვი, 2014: 25).

სხვაგვარი ფუნქციით იგავის განხილვა წარმოუდგენელია. ტრადიციული გაგებით იგავ-არაკი აღწერს კონკრეტულ ეპიზოდს, ხოლო მორალი, რომლის მატარებელიც ის არის, ჩვეულებისამებრ, აღიარებული ჭეშმარიტებაა. იგავ-არაკების მთავარ მახასიათებლად მიიჩნევა მათი დიდაქტიკური არსი. ნებისმიერი



დიდაქტიკური მოთხოვნა იწერება იმ მიზნით, რომ მსმენელს ან მკითხველს ალეგორიის, სატირის თუ ირონიის საშუალებით დაანახვოს ადამიანის ნაკლოვანებები და ასწავლოს სწორად ცხოვრება. შესაბამისად, ნათელია, რომ იგავ-არაკებით ასწავლიდნენ საუკუნეების განმავლობაში.

„იგავ-არაკებით სწავლებას დიდი ხნის ისტორია აქვს. მათი გამოყენებით სწავლება მასწავლებელს აძლევდა საშუალებას, თან გაერთო მსმენელი და თან გაენათლებინა იგი. ადრეული ინდოეთის და საბერძნეთის ამბები არის აშკარა მაგალითი იმისა, რომ იგავ-არაკები გადმოსცემენ არა მხოლოდ კულტურულ ინფორმაციას, არამედ ისინი გვამღევენ ღირებულ ცხოვრებისეულ გაკვეთილსაც“ (ბერმანი, 2012:4).

იგავთმეტყველების სწავლების შინაარსისა და ორგანიზაციის მეცნიერულ სწავლებას საფუძველი ეყრება გვიანფეოდალურ ეპოქასა და კაპიტალისტური განვითარების პირობებში, რომლის ფუძემდებლებიც არიან იან-ამოს კომენსკი და სხვა ევროპელი განმანათლებელი ფილოსოფოსები.

გერმანელი ფილოსოფოსი ჰეგელი ცნობილ ლექციებში „ესთეტიკის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, წერს: „ნამდვილი ეზოპური იგავი, რომელიც ცოცხალი ან უსიცოცხლო ბუნების ისეთი მდგომარეობაა, მომხდარის გამოსახვაა ცხოველთა სამყაროდან და ა.შ. ის თვითნებურად კი არ არის გამოგონილი, არამედ თავისი ნამდვილი არსებობის, მათი ყოფა-ცხოვრების მიხედვით არის წარმოშობილი... მთავარია, იგი ისე არ უნდა იყოს შეთხზული, რომ ბუნების ამგვარის მოვლენათა ნამდვილი არსებობის წესს და ხასიათს არ ეწინააღმდეგებოდეს“ (ჰეგელი, 1993:444). ჰეგელის მოძღვრებაში მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ იგავმა მსმენელისა თუ მკითხველის „ცნობიერების წინაშე უნდა წარმოაჩინოს არა თავისი თავი, როგორც ესა თუ ის კონკრეტული ნივთი, არამედ მხოლოდ ამ ნივთის თუ მოვლენის მნიშვნელობის ზოგადი თავისებურება“ (ჰეგელი, 1993: 353).

ი. სტრიმოკის აზრით, სკოლის მოსწავლეების საკითხავ ლიტერატურაში შედის სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოები, რომლებიც პრაქტიკულად წარმოადგენს

ლოტერატურული შემოქმედების ყველა სფეროს. ლინგვისტები ვარაუდობენ, რომ მხატვრული ნაწარმოები უნდა ანალიზდებოდეს მისი შინაარსისა და ფორმის ერთობლიობაში და ჟანრობრივი თუ შინაარსობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწყებით კლასებში შესასწავლი ნაწარმოების ანალიზის არსებით ნაკლოვანებებს წარმოადგენს მხატვრული ნაწარმოებების ჟანრობრივი და შინაარსობრივი სპეციფიკის იგნორირება ან არცოდნა. იგავ-არაკების შესწავლას აქვს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ისინი შეიცავს მდიდარ მასალას ბავშვის ემოციურ სფეროზე ზემოქმედებისა და მასში მაღალი მორალური თვისებების აღზრდისათვის. ბავშვებისთვისაც და მასწავლებლებისთვისაც გასაგები უნდა იყოს იგავ-არაკების, როგორც სასწავლო მასალის, შეთვისების აუცილებლობა და დროულობა დაწყებით სკოლაში. იგავის სწავლებისას, შესაძლებელია, ვეძიოთ მასში გაორებულიად წარმოსახული შინაარსი, ასევე ამ მოცემულობის ალეგორიული გაგების დიდაქტიკური და მხატვრულ-ესთეტიკური მნიშვნელობაც. ამ შესწავლის საფუძველად უნდა დაიდოს მცნება „იგავარაკული სამყარო“, რადგანაც ეს ცნება საკმარისად გვიჩვენებს კლასიკურ იგავ-არაკში სამყაროს მხატვრული ტრანსფორმაციის სპეციფიკას, რაც ბავშვებშიც იწვევს მხატვრული ლიტერატურის ამ ჟანრისადმი ინტერესს, იწვევს დაფიქრებას საკუთარი თავისა და ცხოვრების შესახებ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებაში საუკუნეების გასაყარზე. მნიშვნელოვანია, დაწყებით კლასებშივე განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იგავ-არაკების სიღრმისეულ შესწავლას, მოსწავლეთა მიერ ეთიკური საკითხებისა და მორალური ღირებულებების შესახებ მსჯელობას. ვიდრე მასწავლებელი უშუალოდ იგავზე დაიწყებს საუბარს, ის იგავარაკული ჟანრის შესახებ ცოდნას უნდა განაზოგადებდეს მოსწავლეების ცოდნის დონისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით და მათ საფუძველზე დასვას მიზნობრივი ამოცანები. გაღრმავებული ლოგიკური და ენობრივი მუშაობა წაკითხულის გააზრებასა და გაგებაზე, და ასევე გმირების მოქმედების გადატანა რეალობაში საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, აქტიურად ჩაებან აზრობრივ პროცესებში, შეაფასონ წაკითხული, გააკეთონ დასკვნა და განზოგადება, რაც ხელს უწყობს მათში მაღალი ზნეობრივი თვისებების აღზრდას.

საგულისხმოა, რომ თანამედროვე ბრიტანელი მკვლევარი, მაიკლ ბერმანი, თავის წიგნში "Teaching with Parables", საუბრობს მოლა ნასრედინის იგავ-არაკებით სწავლების ეფექტურობაზე და გვთავაზობს მათ თემატურ დაყოფას სწავლების დროს. სანამ უშუალოდ შევეხებით ამ დაყოფას, უნდა აღინიშნოს, რომ მოლა ნასრედინი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სწავლულია. მისი ამბები სხვადასხვა სიტუაციას ასახავს და აჩვენებს მის საქციელს განხვავებულ სიტუაციაში. თითოეული ეს სიტუაცია იუმორისტულად აჩვენებს ცხოვრებისეულ გაკვეთილს. ეს იგავები მხიარულად ასრულებენ საგანმანათლებლო ფუნქციას და ადამიანს აიძულებს, ამა თუ იმ საკითხზე განაგრძოს ფიქრი მისი მოსმენის შემდეგ. დღესდღეობით მოლა ნასრედინის ამბები ნათარგმნია უამრავ ენაზე და მისი იგავები იმდენად მრავალფეროვანია თემატიკით, რომ შეიძლება ცხოვრების ნებისმიერ სიტუაციას მოერგოს (წყარო №3). მაიკლ ბერმანი ამბობს, რომ იგავ-არაკების თემატიკა უნდა დავყოთ შემდეგნაირად:

"Learning from Journeys" („სწავლა მოგზაურობებისგან“);

"Learning from Dreams" („სწავლა სიზმრებისგან“);

"Learning from Laughter" („სწავლა სიცილისგან“);

"Learning from Obstacles" („სწავლა სირთულეებისგან“);

"Learning from the Heart" („სწავლა გულისგან“);

"Learning from the Land" („სწავლა მიწისგან“);

"Learning from Water" („სწავლა წყლისგან“).

ბერმანი აღნიშნავს, რომ შეიძლება ამ თემატიკას მოვარგოთ სხვადასხვა აქტივობა და იგავ-არაკებით სწავლება და მათ არსზე დაფიქრება უფრო მრავალფეროვანი გავხადოთ. ვფიქრობ, ეს დაყოფა არ ვრცელდება მხოლოდ მოლა ნასრედინის იგავ-არაკებზე. ასეთი დაყოფა შეიძლება ასევე გაკეთდეს სულხან-საბას, ეზოპეს და ა. შ. იგავ-არაკებზე. უბრალოდ, იქნება შემთხვევები, როცა სწავლების დროს ეს თემატიკა შეიცვლება.

სასურველია, იგავ-არაკების სწავლება მასწავლებელმა მოსწავლეთა გამოცდილებაზე დაყრდნობით წარმართოს. ამისათვის მან შეიძლება სთხოვოს მოსწავლეებს, რომ კონკრეტულ თემატიკასთან დაკავშირებით გაიხსენონ საკუთარი ამბავი, რომლისგანაც ცხოვრებისეული გამოცდილება მიიღეს, წახალისოს ისინი, რომ გამოიტანონ დასკვნა და აღნიშნონ, თუ რა ისწავლეს ამ სიტუაციიდან, გაუზიარონ თანაკლასელებს და იმსჯელონ ერთმანეთის მონათხრობზე. მოსწავლეები იგავ-არაკის სტრუქტურასა და არსს კიდევ უფრო კარგად დაინახვენ და გაიაზრებენ, როდესაც ისინი თავად შექმნიან მას.

სტრიმოკი თავის სტატიაში „Методические рекомендации по изучению художественных произведений разных жанров в начальной школе” აღნიშნავს იგავ-არაკზე მუშაობის თავისებურებების შესახებ, რადგანაც იგი არის დამრიგებლური ხასიათის ალეგორიული მოთხრობა, სადაც ადამიანების ნაცვლად მოქმედებენ მზეცები და ფრინველები. ის რეალისტური მოთხრობაა ცხოველთა ცხოვრებიდან.

იგავ-არაკის შესწავლის მეთოდური სქემა შეიძლება იყოს შემდეგნაირი:

- იგავ-არაკის კონკრეტული შინაარსის გახსნა;
- მოქმედი გმირების ქცევისა და საქციელის საფუძველზე მათი სახასიათო ნიშან-თვისებების გამოვლენა;
- იგავ-არაკის გმირების შედარება, მსგავსება-განსხვავებების პოვნა მათ ხასიათსა და ქმედებებში;
- იგავ-არაკის მოქმედი პირების სიტყვიერი აღწერა წარმოდგენით;
- ქმედებების შეფასება, მათდამი პიროვნული დამოკიდებულების გამოხატვა;
- გმირებისადმი მეიგავარაკის დამოკიდებულების განსაზღვრა;
- იგავ-არაკის ალეგორიული გადატანითი მნიშვნელობის აზრის გაშლა (გვხვდება თუ არა ადამიანებში ხასიათის ასეთი თვისებები);
- იგავ-არაკის ძირითადი აზრის განსაზღვრა (ის ჩადებულია მორალში);
- იგავ-არაკის ენაზე დაკვირვება (დიალოგური თხრობა, ხატოვანი გამონათქვამები);

- იგავ-არაკის ჟანრობრივ თავისებურებებზე დაკვირვება (მოქმედი პირები - ცხოველები, ქარაგმული აზრი, დაცინვა, ავტორის ირონია, მორალი).

იგავ-არაკების საშუალებით მოსწავლეები სწავლობენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიც არის: პერსონიფიცირება, სტერეოტიპული პერსონაჟებისა და მათი თვისებების გააზრება, რთული ცნებების გაგება და პრობლემების ეფექტურად გადაწყვეტა. ისინი ივითარებენ წიგნიერებასა და შემოქმედებით აზროვნებას და, რაც ყველაზე მთავარია, ითვისებენ გარკვეულ ღირებულებებს.

აშკარაა, რომ იგავ-არაკების ორმაგი ბუნება, მათში დამალული დიდი ცხოვრებისეული სიბრძნე, მათი ლაკონიური და მრავლისმთქმელი ბუნება ძალიან დიდ როლს შეასრულებს კრეატიულად მოაზროვნე და მაღალი მორალური ღირებულებების ადამიანის ჩამოყალიბებაში. იგავ-არაკის სტრუქტურა, მისი მარტივი და გასაგები ენა დიდ გავლენას ახდენს პატარა მკითხველზე, ადვილად დასამახსოვრებელს ხდის ტექსტს და უბიძგებს მოსწავლეებს, ხალისით ჩაერთონ კითხვის პროცესში და თავადაც შექმნან მორალური ამბის შემცველი წერილობითი ნაშრომები. ისინი ასევე ხელს უწყობენ ეთიკური და მორალური ღირებულებების განვითარებას. ეთიკური საკითხების შესახებ დისკუსიები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, აწონ-დაწონონ განხილვის შედეგები, გააანალიზონ, შეაფასონ და შეადარონ საკუთარ ღირებულებებს. მათი გამოყენებით სწავლება ასევე ხელს შეუწყობს მოსწავლეთა განვითარებას იმიტომ, რომ ეთიკურ საკითხებზე დისკუსიებისა და დებატების საშუალებით მოსწავლეები სწავლობენ ერთმანეთის მოსმენას, საკუთარი მოსაზრებების გამოხატვასა და დასაბუთებას, მსჯელობის შედეგების რეალურ ცხოვრებაში განზოგადებას. ასეთი სახის რეფლექსია მოსწავლეებს უბიძგებს, იფიქრონ მორალურ საკითხებზე და ხელს უწყობს კლასის საერთო ღირებულებების ჩამოყალიბებას. საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგავ-არაკები ასევე ხელს უწყობენ მეტაფორული აზროვნების განვითარებას. იგავ-არაკების სწავლება საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, ასოციაციური კავშირების დახმარებით ახსნან და გაიგონ რთული კონცეფციები. ამ ტიპის აზროვნება ასევე ეხმარება მათ პრობლემების შემოქმედებითად გადაჭრასა და ახალი იდეების გენერირებაში.

## თავი II. იგავ-არაკის, როგორც ტექსტის, სტრუქტურულ-სემანტიკური და ლინგვოკულტურული თავისებურებანი სხვადასხვა ხალხის კულტურებში

### 2.1. იესოს იგავები და მათი თავისებურებები

ზემოთ ჩვენ ვისაუბრეთ იგავ-არაკის თავისებურებებზე, ტერმინებს - „იგავი“ და „არაკი“ შორის არსებულ განსხვავებებზე. მოცემულ ქვეთავში მიმოვიხილავთ იესოს იგავებს.

„სახარებისეული ეთიკა ადამიანისგან ითხოვს იმას, რაც ჯერ არავის მოუთხოვია - ცხოვრებას სასწაულის კანონით“- წერს ავერინცევი (ავერინცევი, 1977:170.)

„ქრისტიანულ ეპოქაში პრინციპულად იცვლება ადამიანისა და ცხოველის გაიგივების ალეგორიის არსი. აუცილებლობას ცვლის ნება, არჩევანი, არსობრივი ცვლილების შესაძლებლობა. ქრისტიანობაში არაკის ალეგორიას ცვლის იგავის ქრისტიანული სიმბოლიზმი. ეს უკვე სახისმეტყველების სხვა დონეა“ (ჩანტლაძე, 2002: 51).

იესო იყენებდა საუბრის სხვადასხვა ფორმას, მაგრამ მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო იგავები. მის იგავებს იცნობს და იყენებს როგორც ქრისტიანი, ასევე არაქრისტიანი. ისეთი გამოთქმებს, როგორებიცაა: „ტალანტის დამარხვა“, „კეთილი სამარიელი“, იყენებს ნებისმიერი რელიგიის ხალხი, ისე, რომ არც კი იციან თუ ვის ეკუთვნის ეს გამოთქმები. პირველი სამი სახარების ერთი მესამედი მთლიანად იგავებით საუბარია. და მაინც: რა არის იესოსეული იგავ-არაკი? ძველ საეკლესიო სკოლებში ბავშვებს ასწავლიდნენ, რომ იგავ-არაკი არის „დედამიწის სიმღერა ზეცისეული მნიშვნელობით.“ რა თქმა უნდა, ამ განმარტებაში არის სიმართლის მარცვალი. მაგალითად, ახალი აღთქმის მე-13 თავში მთესველის იგავის სწავლებისას იესოს ეახლნენ მოწაფეები და ჰკითხეს: „უბრალო ხალხს რატომ ელაპარაკებით იგავებით, ანუ რატომ ასწავლით იგავებს? მან უთხრა: „იმით, რომ თქვენ მოცემული გაქვთ იცოდეთ ცათა საუფლოს საიდუმლოებანი, მათ (ე. ი.

უბრალო ხალხს) კი არა აქვთ ეს მოცემული. იესო აქვე, დამატებით, მოწაფეებს განუმარტავს: „იგავით იმიტომ ველაპარაკები მათ, რომ ისინი უყურებენ და ვერ ხედავენ, უსმენენ და არ ესმით და ვერ ხვდებიან“. ბოლოს, ის ასახელებს იგავების მთავარ მიზანს:

*„რადგან დაეხშო ამ ხალხს გული, ყურით მიიმედ ესმით და დახუჭეს თვალები, რომ თვალთ არ დაინახონ და ყურით არ მოისმინონ. გულით არ გაიგონონ და არ მოიქცნენ, რათა განკურნო ისინი.“*

შემდგომ კი განასხვავებს თავის მოძღვრებას წინასწარმეტყველთა სიტყვისაგან: ეს სხვაობა, როგორც ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი განმარტავს, „ის იყო, რომ მართალია, წინასწარმეტყველნიც თესავდნენ, მაგრამ არა თავის თესლს, არამედ ღმრთისას. იგი კი ღმერთი იყო და საკუთარ თესლს თესავდა, რამეთუ ღვთაებრივი მადლით კი არ იყო განგრძობილი, არამედ იყო სიბრძნე ღმრთისა.“ იგავის შინაარსის ახსნა-განმარტებაში გამოიყენება ალეგორიული ანუ გადატანითი ხერხი. მაგალითად „გზაში“ უზრუნველი და ზანტი ადამიანები იგულისხმება, „კლდოვანში“ ისინი იგულისხმებიან, რომელნიც სიტყვას კი ისმენენ, მაგრამ თავიანთი სისუსტის გამო ვერ უმკლავდებიან ცდუნებასა და მწუხარებას, საკუთარი გადარჩენის საქმეს დალატობენ. „ამომავალ მზეში ცდუნებანი მოიაზრება, რადგანაც ადამიანებს ცდუნებანი წარმოაჩენენ და მსგავსად მზისა, დაფარულს ცხადყოფენ“ (Gowler, 2000:177).

მაშასადამე, შეიძლება ვთქვათ, იესო ხალხს იგავებით იმიტომ ასწავლიდა, რომ მათ იგავის გარეშე მოსმენილით არ შეეძლოთ სასურველი ცოდნის შეძენა და პრაქტიკულად გამოყენება. ვფიქრობთ, ყურადღება მახვილდება მსმენელის სასწავლო ცოდნის აქტიურად, გაცნობიერებულად შეძენაზე. აღნიშნულ ცნებებთან ერთად იგავებით რაიმე ცოდნის შესასწავლად აქტიურად უზრუნიათ საიგავო შინაარსის ერთ მთლიანობაში საკომპოზიციო სასიუჟეტო ჩარჩო-ქარგის შესამუშავებლად. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ პირველ, მარტივ საწყისებს (საიგავო ამბავთა, ცოდნათა და სხვა) ვხვდებით ახალ აღთქმაში. მხედველობაში გვაქვს მთესველის იგავი: „აჰა, გამოვიდა მთესველი დასათესად. თესვისას ზოგი

მარცვალი გზისპირას ჩავარდა, მოვიდნენ ფრინველები და აკენკეს იგი. ზოგი კლდოვანზე დაცვივდა, სადაც მიწა ბევრი არ იყო, და მალე აღმოცენდა, ვინაიდან ნიადაგს სიღრმე არ ჰქონდა. ხოლო მზე რომ ამოვიდა, დაჰკნა და, რაკი ფესვი არ ჰქონდა, გახმა. ზოგი ეკლებში ჩაცვივდა. გაიზარდა ეკლები და გააჩანაგა ისინი. ზოგი კი კარგ მიწაზე დავარდა და ნაყოფი გამოიღო: ზოგმა - ასი, ზოგმა -სამოცი და ზოგმა - ოცდაათი. ვისაც ყური აქვს, ისმინოს!”

იგავის ახსნა:

ხოლო თქვენ მოისმინეთ მთესველის იგავი. ყველას, ვისაც ესმის სიტყვა სასუფეველზე და ვერ ხვდება, მიუვა ბოროტი და მოსტაცებს მის გულში ჩათესილს: აი, რას ნიშნავს გზისპირას დათესილი. ხოლო კლდოვანზე დათესილი ის არის, ვინც სიტყვას მოისმენს და მაშინვე სიხარულით მიიღებს მას, მაგრამ ფესვები არა აქვს თავისში და ხანმოკლეა. რაჟამს დადგება გასაჭირი ანდა დევნა სიტყვის გამო, მაშინვე ცდუნდება. ხოლო ეკლებში დათესილი ის არის, ვინც სიტყვას ისმენს, მაგრამ სოფლის საზრუნავი და სიმდიდრის საცდური აჩანაგებენ სიტყვას და იგი უნაყოფო შეიქმნა. ხოლო, კარგ მიწაზე დათესილი ის არის, ვინც მოისმენს სიტყვას და გონებით ჩასწვდება, და სწორედ ის არის ნაყოფიერი. და ზოგი ასს გამოიღებს, ზოგი სამოცს და ზოგიც ოცდაათს.“

ჩვენი დაკვირვებით, ამ სასწავლო მასალებში მსმენელებსა თუ მკითხველებს საჭირო ცოდნა მიეწოდებათ იმპულსურ-ინტენციური მომენტების საშუალებით:

- ა) თესვის დაწყება;
- ბ) ზოგი სათესლე მარცვლის გზის პირას დავარდნა;
- გ) ფრინველთა მოფრენა;
- დ) გზაზე დავარდნილი თესლის აკენკვა (ქურდაძე, 2011:53)

პირობითად დაახლოებით ასე გვესახება ახალ ბიბლიაში უბრალო ხალხის მაცხოვრისეული დამოძღვრის ალეგორიული განსახოვნება... ცხადია, ცოდნის გადაცემის ეს ფორმა მარტივია, მისი სავარაუდო პროცედურა რამდენადმე დასახვეწია, მაგრამ მასში მაინც იკვეთება მოძღვრის გარკვეული საჭირო ცოდნის უბრალო მსმენელთათვის შედარებით გაადვილებულად გადაცემის მცდელობა... ეს



ფორმა ორგანიზაციული და შინაარსობრივი თვალსაზრისით მიგვაჩნია იგავთმეტყველების რელიგიურ-აბსტრაქტული სწავლების მარტივ პრაქტიკულ გამოცდილებად.

ირენაუსი, მეორე საუკუნის ქრისტიანი თეოლოგი, თავის ნაშრომში “Against Heresies” (წიგნი II, თავი XXVII) წერს, რომ „თუ იესოს იგავებს სწორედ შევისწავლით, ეს იქნება ყველაფრის და ყველაფრისგან ინტერპრეტაცია“. ის და სხვა ადრეული პერიოდის თეოლოგები: ტერტულიანე, ავგუსტინი ეყრდნობოდნენ ალეგორიას იმისთვის, რომ აეხსნათ სახარებისეული იგავები.

სახარების იგავების თანამედროვე კვლევა დაიწყო ადოლფ ჯულიჩერმა. მან 1886 წელს გამოსცა წიგნი “Die Gleichnisreden”, რომელიც სახარების იგავების შესწავლას მიუძღვნა. იმის მიუხედავად, რომ ძალიან ბევრი რამ მის მსჯელობაში საეჭვოა, ის ჯერ კიდევ გავლენას ახდენს თანამედროვე კვლევებზე. მისთვის მთავარი პრობლემა იყო ის, რომ სახარების ავტორები ალეგორიის გამოყენების გადაჭარბებით, ზედმეტი აღწერილობებით და ინტერპრეტაციებით, ბუნდოვანს ხდიდნენ იესოს იგავებს. მკვლევარი მიიჩნევს, რომ მათე, მარკუსი და ლუკა თავადვე იყვნენ კრეატიული შემოქმედნი. ის მიიჩნევს, რომ გარდა იმ იშვიათი გამონაკლისებისა, როგორებიც იყვნენ ჯონ კოლვინი და ჯონ მალდონატუსი, პრაქტიკულად ყველა სხვა მკვლევარი ახდენს იმ გადაჭარბებული ალეგორიების ინტერპრეტაციას, რომელიც მართლაც განსხვავდება სახარებისეული იგავებისგან. მას შესწორება შეაქვს და ამბობს, რომ „თავდაპირველი“ იგავებით ქრისტე ცდილობდა ეჩვენებინა უცნობი-ნაცნობის ჩვენების გზით, ის მშვიდად მიუთითებდა მარტივიდან რთულ გზაზე სვლის მიმართულებაზე (Julicher, 1969).

რაც შეეხება იესოს იგავების თავისებურებებს, კონკრეტულ ადგილებს იესოს იგავებში არ ექცევა ყურადღება, ისინი მხოლოდ გარკვეულ ელფერს სძენს თხრობას. ჯულიჩერი მიიჩნევს, რომ იესოს იგავებში მთავარია ვეძიოთ ავტორისეული განზრახვა, მისი ინტენცია. იმისთვის, რომ დავრწმუნდეთ ჯულიჩერის სიმართლეში, საკმარისია იესოს ნებისმიერ იგავზე დაკვირვება. მაგალითად, დავაკვირდეთ იესოს იგავს „იგავი ხორბლისა და ღვარძლისა“ „ცათა სასუფეველი ჰგავს ადამიანს, რომელმაც კარგი თესლი დათესა თავის ყანაში. როცა ხალხს ეძინა, მოვიდა მისი

მტერი, ხორბალში ღვარძლი ჩათესა და წავიდა. ხოლო როცა ჯეჯილი ამოვიდა და ნაყოფი გამოიღო, ღვარძლმაც მაშინ იჩინა თავი. მივიდნენ მონები და უთხრეს სახლის პატრონს: 'ბატონო! განა შენ კარგი თესლი არ დათესე შენს ყანაში? საიდანღა აქვს მას ღვარძლი?' მან კი უთხრა მათ: „მტერმა კაცმა გააკეთა ეს“ ხოლო მონებმა უთხრეს მას: გინდა, წავალთ და გავმარგლავთ?“ მან თქვა „არა, რათა გამარგვლისას ღვარძლთან ერთად ხორბალიც არ გაგლიჯოთ. დააცადეთ, ერთად იზარდოს ორივემ მკის დრომდე. მკის დროს კი ვეტყვი მომკალთ: ჯერ ღვარძლი მოაგროვეთ და ძნებად შეჰკარით, რომ დაწვათ ისინი. ხორბალი კი ჩემს ბელელში შეაგროვეთ.“

ამჟამად, რომ იესო ამ შემთხვევაში, არ აკონკრეტებს ადგილის კონკრეტიზაციას. მართალია, ის ახსენებს ყანას და ბელელს, როგორც ადგილებს, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს პირობითი ადგილები ეხმარება მას მისი ჩანაფიქრის ილუსტრაციაში. ამ შემთხვევაში, არცერთი ადგილი არ წარმოადგენს რაიმეს სიმბოლიზაციას. ასეთი ტიპის იგავებს მრავლად ვხვდებით. მაგალითად: „იგავი ათ ქალწულზე“, „იგავი სიფხიზლეზე“ და ა. შ.

იესოს მთავარი შეტყობინება იყო „ცათა სასუფეველი“, ამ მოსაზრებას იზიარებს არაერთი თანამედროვე მკვლევარი, მაგრამ, ჩვენი აზრით, ძირითადი განსახილველი საკითხი თვით „სასუფეველის“ ბუნებაა. ზოგან სასუფეველი „განძს“ წააგავს, ზოგან - „ვაჭარს“, ზოგან - „მეფეკაცს“, ზოგან - „ათ ქალწულს“ და ა.შ.

„ცათა სასუფეველი წააგავს განძს, მინდორში დაფარულს, რომელსაც წააწყდება კაცი და ჩამალავს, სიხარულით მიდის და ყიდის ყოველივეს, რაც აბადია, და ყიდულობს იმ მინდორს“ („მინდორში დაფარული განძი“).

„ცათა სასუფეველი წააგავს ვაჭარს, რომელიც ლამაზ მარგალიტებს ეძებს. როცა წააწყდება ერთ ძვირფას მარგალიტს, წავა, გაყიდის ყველაფერს, რაც აბადია, და იმას შეიძენს“ („ძვირფასი მარგალიტი“).

„ცათა სასუფეველი ჰგავს მეფეკაცს, რომელმაც თავის ძეს ქორწილი გადაუხადა. გაგზავნა თავისი მონები ქორწილში მოწვეულთა დასაძახებლად, მაგრამ მათ არ ისურვეს მოსვლა“ („საქორწინო ნადიმი“).

*„მაშინ ცათა სასუფეველი დაემსგავსება ათ ქალწულს, რომელთაც აიღეს თავიანთი ლამპრები და გამოვიდნენ ნეფის შესახვედრად“ („ათი ქალწული“).*

ჩ. დოდის იკვლევდა იესოს იგავებს. დოდის მიზანი იყო შეესწავლა ამა თუ იმ იგავ-არაკის ნამდვილი ინტენცია ისტორიის კონკრეტულ ეტაპზე და კონკრეტულ გარემოში. დოდის აზრით, იესოს იგავები გასააზრებლად აუცილებელია, გავიაზროთ იესოს დროის ცხოვრების სტილი და ისტორიული ვითარება. მართალია, ამ თემაზე კვლევები ასევე ჰქონდათ რობინსონს და კადუქსს, მაგრამ დოდის კვლევები არის სიღრმისეული და ბევრისმომცველი. ის ამბობს, რომ იესოს იგავები მიმართულია არა მე-19 თუ მე-20 საუკუნის, არამედ პირველი საუკუნის ადამიანების მიმართ. ის აღნიშნავს, რომ იესოს იგავები უნდა გავიაზროთ მის ორიგინალ Sitz-im-Leben-ში ანუ იესოსეულ გარემოში. ჩ.დოდის აზრით, ჩვენ იესოს იგავების წაკითხვის შემდეგ უნდა ვიკითხოთ არა ის, თუ „რისი თქმა უნდა იესოს ჩემთვის ამ იგავით, არამედ „რისი თქმა უნდოდა იესოს მისი თანამედროვეთათვის. მათ გასაგებად აუცილებელია მაშინდელი პალესტინელების ცხოვრების სტილის ცოდნა. იესო ხშირად ისეთ ამბებს ყვებოდა, რომლებიც დამახასიათებელი იყო მაშინდელი ხალხისთვის და ბევრი მისი იგავი მოიცავს მაშინდელი ებრაელების ტრადიციებს და წეს-ჩვეულებებს, ამიტომაც სანამ ამერიკელი სრულყოფილად გაიგებს მათ აზრს, მას სჭირდება ბევრი რამის განმარტება. იესო ცხოვრობდა ებრაელ ხალხს შორის, მისი იგავების ძირითადი ნაწილი მორგებულია ებრაელ გლეხებზე. მაგ: საკუთრების, ქონების მემკვიდრეობით გადაცემის ტრადიციაზეა მორგებული „დაკარგული შვილის იგავი“ და თანამედროვე მკითხველს გაუჭირდება ამ იგავების შინაარსის გაგება.

შეუძლებელია, სრულებით დავეთანხმოთ ჩ. დოდის. იესოს არაერთ იგავზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ იესოს იგავები, არა მხოლოდ მისი თანამედროვეებისთვის განკუთვნილი, არამედ თანამედროვე მკითხველისათვისაც და მსგავსი დეტალები არ ქმნის სირთულეს იგავების ინტენციის სრულად გასააზრებლად. დავაკვირდეთ იგავს „ზღვაში მოსროლილი ბადე.“

*„ცათა სასუფეველი წააგავს ბადეს, რომელსაც ზღვაში მოისვრიან და ყოველნაირი სახის თევზს იჭერენ. როცა ივსება, გამოაქვთ ნაპირზე, მერე*

დასხდებიან, კარგებს ჭურჭლებში მოათავსებენ, ხოლო ცუდებს გარეთ გადაყრიან. ასევე იქნება სოფლის აღსასრულის დროს: გამოვლენ ანგელოზები და განაცალკავებენ ბოროტებს მართლებისაგან და ჩაყრიან მათ ცეცხლის ქურაში. იქნება იქ ტირილი და კბილთა ღრჭენა.“

ამ შემთხვევაში, მიგვაჩნია, რომ სრულებით არაა საჭირო ადამიანი იცნობდეს მაშინდელ სიტუაციას და ბადის მოსროლის ან თევზის გადარჩევის მაშინდელ ტრადიციას. მთავარია, ის რომ ეს იგავი ზუსტად ასრულებს იმ ფუნქციას, რაც მისი არსით იყო საჭირო. ეს იგავი, როგორც იესოს თანამედროვეებს, ასევე ყველა დროის ადამიანს აუწყებს „ცათა სასუფეველის“, „სამოთხის“ და „ჯოჯოხეთის“ შესახებ.

ასევე დავაკვირდეთ იგავ „საქორწინო ნადიმს“, სადაც იესოს საუბრობს ქორწილსა და მის დეტალებზე, თუმცა ეს დეტალები არ გამოიყენება მისი მიზნის სამიპლიმენტაციოდ. ისინი უბრალოდ ფონს ქმნიან იგავის უკეთ გასაგებად. იგავის ბოლოს კი ინტენცია სრულად გაჟღერდება, სადაც იესო ისევ „ცათა სასუფეველის“ შესახებ საუბრობს. „ვინაიდან წვეული ბევრია, რჩეული კი - ცოტა.“

ყველა ზემოთ მოცემული იგავი იესოს ეხმარებოდა, რომ ადამიანების ყურადღება მიექცია და მიეცა მათთვის ფიქრის საგანი. მათ თვითონ უნდა გაეაზრებინათ, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო „ცათა სასუფეველი“ მათთვის.

იესოს იგავებს ასევე ახასიათებს ლაკონიურობა და სიმარტივე. ისინი არასდროს არ იყენებენ ზედმეტ სიტყვებს რაიმეს სათქმელად. ეს ლაკონიურობა ასევე ამართლებს ცხოველური ეპოსის იგავ-არაკების მთავარ სტრუქტურულ მახასიათებელს, ლაპიდარულობას. „იგავი სიფხიზლეზე“ ამის ნათელი მაგალითია:

*„როგორც შორ გზაზე მიმავალმა კაცმა მიატოვოს თავისი სახლი, თავის მონებს მისცეს ხელმწიფება და ყველას თავისი საქმე მიუჩინოს და მეკარეს უბრძანოს ფხიზლად ყოფნა, ისე იფხიზლეთ, რადგან არ იცით, როდის მოვა სახლის პატრონი - საღამოთი და შუაღამისას, მამლის ყვილზე თუ განთიადისას, რათა მოულოდნელად რომ მოვიდეს, მძინარენი არ გპოვოთ. რასაც თქვენ გეუბნებით, ყველას ვეუბნები: იფხიზლეთ.“*

იესოს იგავებს ახასიათებს ზომიერება, რაც გამოიხატება პერსონაჟების სიმცირით. მართალია, ყოველთვის არა, მაგრამ მის იგავებში იშვიათად თუ შევხვდებით ორ ან სამ პერსონაჟზე მეტს.

ამრიგად, იგავები მსმენელს მათი სიცხადით და უცნაურობით იზიდავენ, მათი წაკითხვის ან მოსმენის შემდეგ ადამიანი განაგრძობს მათ შინაარსზე ფიქრს და ცდილობს მიაგნოს ზუსტ აზრს და მორალს. თითოეულ მათგანს აქვს გარკვეული ინტერპრეტაცია და მნიშვნელობა.

## **2.2 იგავ-არაკის, როგორც ტექსტის, სტრუქტურული თავისებურებები**

მოცემულ ქვეთავში იგავ-არაკის ტექსტის სტრუქტურული თავისებურებები განიხილება.

ი. გალპერინის მონოგრაფიაში „ტექსტი, როგორც ლინგვისტიკური კვლევის ობიექტი“ - გამოიყოფა ტექსტის გრამატიკული კატეგორიების ორი ძირითადი ჯგუფი: სემანტიკური და სტრუქტურული. პირველს მიეკუთვნება ინფორმაციულობა, სიღრმე, მოდალურობა, პრესუპოზიცია, პრაგმატიკა, მეორეებს- ინტეგრაცია, შეკავშირება, პროსპექცია, რეტროსპექცია, პარტიტურობა.

ლაზოვმა და ვოლევკიმ (ლაზოვი, ვოლევკი, 1967:41) პირველად წარადგინეს თხრობის ელემენტის შიდა სტრუქტურის შემდეგი ელემენტები:

**ორიენტაცია;**

**კომპილაცია;**

**შეფასება ;**

**რეზოლუცია;**

ამის შემდეგ ლაზოვმა ეს სტრუქტურა შეავსო სხვადასხვა ელემენტით: **აბსტრაქტი;**

**ორიენტაცია;**

**კომპილაციური მოქმედება;**

**შეფასება;**

**შედეგი/რეზოლუცია კოდი;**

ორიენტაცია ჰგავს ერთგვარი გეზის აღებას, სადაც ავტორი მკითხველს წარუდგენს ისეთ ელემენტებს, როგორებიცაა: გმირები, დრო, გარემო. აქვე, ორიენტაციაში, შესაძლებელია იყოს ინფორმაცია მოცემული გმირების ცოდნის თუ არცოდნის, მათი ხასიათის და განწყობის შესახებ, ასევე, მოცემულია ნებისმიერი ელემენტი, რომლებიც უზრუნველყოფს ტექსტის სრულყოფილ გაგებას.

**კომპილაცია** ეს არის თხრობის გართულების და სიღრმეში შესვლის ელემენტი. ამ ეტაპზე, სიტუაცია მოთხრობაში ერთგვარად მწვავდება, რადგან გამართულებელი მოქმედება ვითარდება და აღწევს თავის უმაღლეს წერტილს, შეფასებას.

**შეფასება** „უმაღლესი წერტილია,“ ის ეტაპია, როცა თხრობა შედის კულმინაციაში და იკვეთება თხრობის მთავარი მიზანი.

ლაბოვი ამტკიცებს, რომ შეფასების ეტაპი არის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი ამბის თხრობისა, მაგრამ, სამწუხაროდ, თხრობის ელემენტების კვლევისას, ბევრი მკვლევარი არ აქცევს მას ყურადღებას. //ლაბოვი აღნიშნავს, რომ „შეფასების ეტაპზე მოთხრობელი გვამცნობს თავისი მიზნის შესახებ, რატომ ითქვა ეს ამბავი და რა მიზნით“ (ლაბოვი, ვოლევკი, 1967:366).

**რეზოლუცია**- ამის შედეგად კონკრეტული კრიზისი გადაწყდება დასკვნების გამოტანით. ეს ნიშნავს იმას, რომ თხრობის მიზანი ერთი ან ორია და მოთხრობელი თვითონვე ამახვილებს ყურადღებას ამ მიზნებზე.

**კოდა**- ეს არის თხრობის ის ეტაპი, როცა გამოქვთ დასკვნა. ამ ეტაპს აქვს თვისება, რომ დააბრუნოს მსმენელი იმ დროის მომენტში, სადაც დაიწყო თხრობა (ლაბოვი, ვოლევკი, 1967: 366).

რომ შევაჯამოთ, სრულყოფილი თხრობა იწყება აბსტრაქტით, მას მოჰყვება ორიენტაცია, შემდეგ კომპილაცია, შეფასება და რეზოლუცია, ხოლო საბოლოოდ, მსმენელი ბრუნდება აწმყო დროში კოდის ელემენტის მეშვეობით.

როგორც განსაკუთრებული ტიპის მოთხრობები, იგავ-არაკები, იმეორებს მოთხრობის სტრუქტურულ და სემანტიკურ თვისებებს და ხშირადაა დაკავშირებული მორალთან. სწორედ მორალის გამოა, რომ იგავ-არაკების გაგების დროს უფრო მეტი კოგნიტური პროცესია საჭირო. იმის გარდა, რომ იგავ-არაკის მკითხველს უწევს გაიაზროს ტექსტში მიმდინარე სხვადასხვა პროცესი, ჩასწვდეს, თუ რა იგულისხმა ავტორმა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ერთი და იგივე იგავ-არაკი შეიძლება გადმოიცეს სხვადასხვანაირად, სადაც ავტორი იყენებს ლექსიკურ-გრამატიკული კატეგორიების ფართო სპექტრს, რიტორიკულ, დისკურსულ

სტრატეგიებს, რათა მორალი ზუსტად და სწორად მიიტანოს მკითხველამდე. აღსანიშნავია, ისიც, რომ იგავ-არაკი, მისი მარტივი სტრუქტურის მიუხედავად, სემანტიკურად ძალიან ღრმაა. მოთხრობის სტრუქტურა არის მიღებული და დამკვიდრებული ტერმინი და მისი ფსიქოლოგიური ღირებულებაც ნათელია. მიუხედავად იმისა, რომ იგავ-არაკის სტრუქტურა მნიშვნელოვანია, მისი ზუსტი ჩარჩოების დადგენა ჯერ კიდევ საკამათო თემაა ენათმეცნიერთა შორის (კვონგი, 2001).

ჰასანი (1996) აღწერს იგავ-არაკის სავარაუდო სტრუქტურას და ამბობს, რომ იგავ-არაკი მოიცავს:

1. ადგილმდებარეობას;
2. საწყის მოქმედებას;
3. თანმიმდევრულ მოქმედებას;
4. საბოლოო მოქმედებას;
5. ფინალს;
6. მორალს.

ო. კვონგი კი თავის ნაშრომში „იგავ-არაკების სტრუქტურა და სემანტიკა“ გვთავაზობს იგავ-არაკის სრულიად განსხვავებულ სტრუქტურულ ჩარჩოს:

*იგავ-არაკის ჩარჩო:* მოთხრობის ჩარჩო გვამღებს ინფორმაციას, თუ ვინ არის იგავ-არაკის მთავარი პროტაგონისტი თუ სად, რა კონტექსტში ვითარდება ეს მოქმედება.

*ეპიზოდი* - მოთხრობის ეპიზოდი აღწერს ტექსტის ერთ რომელიმე მოვლენას. ტექსტის ჩარჩო და ეპიზოდი მოიცავს უამრავ დისკურსულ სეგმენტს;

*შინაგანი მოქმედება* - შიდა მოქმედება აღწერს პროტაგონისტის კოგნიტურ მოქმედებებს, მის ფიქრებს, გეგმებს და ვარაუდებს;



*შინაგანი მდგომარეობა* - შიდა მდგომარეობა ეს არის პროტაგონისტის ემოციების და მდგომარეობის აღწერა;

*მოვლენა* - აღწერს ტექსტში მიმდინარე მოვლენებს და ამ მოვლენების ცვლას;

*მდგომარეობა* - ის აღწერს მსოფლიოს და პერსონაჟის საერთო მდგომარეობას;

*მეტყველება, საუბარი* - ყველა ზეპირსიტყვიერი საუბარი მიეკუთვნება ამ ეტაპს;

*მორალი* - მორალი ანუ შეგონება არის მოთხრობისგან მიღებული გაკვეთილი, რომელიც ხშირად დამატებითი წინადადების სახითაა წარმოდგენილი ნაწარმოების დასასრულს.

ვფიქრობთ, მისი შემოთავაზებული სტრუქტურა იდეალურად ერგება როგორც ანტიკურ, ასევე თანამედროვე იგავ-არაკებს. სამაგალითოდ ავიღოთ ეზოპეს იგავ-არაკი: "The Cat and the Mice" და ვეცადოთ მოვარგოთ მისი სტრუქტურა ო. ქვონგის მიერ შემოთავაზებულ სტრუქტურას:

იგავ-არაკის *ჩარჩო*- A CERTAIN HOUSE-ლოკაცია, A Cat, Mice-პროტაგონისტები ეპიზოდი- A CERTAIN HOUSE was overrun with Mice .A Cat, discovering this,made her way into it and began to catch and eat them one by one. Fearing for their lives, the Mice kept themselves close in their holes.

შიდა მოქმედება- The Cat was no longer able to get at them and perceived that she must tempt them forth by some device.

შიდა მდგომარეობა- Fearing for their lives, the Mice kept themselves

მოვლენა- For this purpose she jumped upon a peg, and suspending herself from it, pretended to be dead.

მდგომარეობა- 

მეტყველება, საუბარი-"Ah, my good madam, even though you should turn into a meal-bag, we will not come near you."

მორალი- He who is once deceived is doubly cautious

უნდა დავაკვირდეთ იმ ფაქტს, რომ ეზოპესთან ქვონგის მიერ შემოთავაზებულ იმ ელემენტს, სადაც ავტორმა უნდა გამოხატოს გრძნობები და ფიქრები, ფაქტობრივად, ვერ ვავსებთ. ეს იმიტომ, რომ ეზოპე შედარებით ლაკონიურად და ზედმეტი დანამატების გარეშე ცდილობდა საკუთარი პრაგმატიკული ინტენციის გათქმას.

გადმოვინაცვლოთ მე-17 მე-18 საუკუნეში და სულხან-საბას იგავი „კაცი და გველი“ მოვარგოთ სტრუქტურას და დავაკვირდეთ:

იგავ-არაკის *ჩარჩო*. გზა, ერთი კაცი, გველი, ჭანდარი, ხარი, მელი

ეპიზოდი- ნახა, ერთს მეძვს ცეცხლი შემოჰგზნებია და ზედ გველი გასულა. წასასვლელი გზა არა აქვს, ღონობს და წივის. ნახა მან კაცმან, შეეწყალა და თქვა: ამ გველს მოვარჩენ, მადლია ჩემთვისაო. მივიდა, შუბის წვერი მიუშვირა. გველი ზედ შემოეხვია, მხარზე შეახლტა და ყელს შემოედვლარჭნა, მაგრა მოუჭირა.

იდა მოქმედება-წასასვლელი გზა არა აქვს, ღონობს და წივის

შიდა მდგომარეობა-

მოვლენა-ცოტა მოუფონა გველმან და მივიდნენ ჭანდართან; წავიდნენ, ხარს ჰკითხეს.

მდგომარეობა- კარგისათვის კარგი არავის უქმნია და მეც ასრე გიყავო.

მეტყველება, საუბარი-"გველმან უთხრა: კარგისათვის კარგი არავის უქმნია და მეც ასრე გიყავო.

კაცი შეეხვეწა: ამდენი მაცალე, იგი ჭანდარი რომ დგას, მუნამდის მივიდეთ და მას ვჰკითხოთ. თუ ჩემის ცოდვით ხემაც ხმა ამოიღოს და დაგიშალოს, გამიშვი, თუ არა და, რაც გინდა მიყავო.

მორალი:



სულხან-საბას იგავში ვერ ვხვდებით მორალს ცალკე, ის იმპლიციტურადაა მოცემული, მაგრამ არსებობს იგავები, რომლებშიც მორალი მოცემულია ტექსტის ბოლოში. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეზოპესგან განსხვავებით, სულხან-საბას იგავ-

არაკები უფრო მოცულობითია და მეტ ალწერას მოიცავს. სულხან-საბას იგავებში მეტია დიალოგიც.

გადმოვინაცვლოთ მე-18 საუკუნის ინგლისში და ვნახოთ, როგორ მოერგება რობერტ დოდსლის იგავი "THE QUARRELSOME CATS" აღნიშნულ სტრუქტურას:


იგავ-არაკის **ჩარჩო**: two cats, monkey,

ეპიზოდი- Two Cats having stolen some cheese could not agree about dividing it.

შიდა მოქმედება- "Let me see," he said gravely

შიდა მდგომარეობა- . "Hold, hold!" cried the two Cats, who began to be alarmed as to the outcome.

მოვლენა- Upon which he continued to nibble first one piece and then the other

მდგომარეობა- 

მეტყველება, საუბარი- "Even if you are satisfied," returned the Monkey, "Justice is not, A case of this difficult nature is not so quickly decided."

მორალი- 

როგორც ვხედავთ, მე-17 და მე-18 საუკუნის იგავებისთვისაც შესაფერისია ეს ჩარჩო. როგორც სულხან-საბას, ასევე რ. დოდსლის სამეტყველო ენაც უფრო მოცულობითია, ვიდრე ეზოპესი.

წერილობითი ფორმის მიხედვით არსებობს პროზაული, ლექსად დაწერილი და შერეული ტიპის (პროზა+პოეზია) იგავ-არაკები.

შერეული ფორმის იგავ-არაკებში ნაწარმოების აღწერილობითი ნაწილი დაწერილია პროზაულად, ხოლო გმირების დიალოგები და მონოლოგები - ლექსად. მოცემული სტრუქტურა შეიძლება გამოიყენებოდეს ნებისმიერი ნაწარმოების მიმართ, რადგანაც ადვილია საკითხავად. აღწერის პროზაული ნაწილი მკითხველს განაწყობს სერიოზული აღქმისთვის, მაშინ როცა პოეტურს (მოქმედი პირების დიალოგები და მონოლოგები) მოაქვს განტვირთვა.

იგავის, როგორც ტექსტის შესწავლა, საშუალებას იძლევა, გამოიყოს მასში რამდენიმე ქვეტიპი. ჩვენი კლასიფიკაციის ამოსავალია შემდეგი ძირითადი ოპოზიცია:

- 1) იგავის შეკრულობა/შეუკვრელობა განსაზღვრულ კონტექსტთან;
- 2) მორალის გამოხატვის ექსპლიციტური/იმპლიციტური ხერხი;
- 3) ბიბლიის მაიმიტირებელი თვისებების ქონა/არქონა.

ჩვენ ვეყრდნობით ამ თვისებებს, რადგანაც ისინი, როგორც ერთად აღებული, ისევე თითოეული ცალ-ცალკე, მნიშვნელოვნად ახდენს ზეგავლენას იგავის ტექსტის ტიპის ისეთ მახასიათებლებზე, როგორებიც არის სტრუქტურა, სემანტიკა, ლექსიკური, გრამატიკული და სტილისტიკური დამოუკიდებლობა (ილინა, 1984)

პოლუიანოვა თავის ნაშრომში „Лингвостилистические особенности текста басни: На материале англоязычной литературной басни.“ აღნიშნავს, რომ იგავ-არაკი მიეკუთვნება თხრობითი ტიპის ტექსტებს და შესაბამისად აქვს მკვეთრად გამოხატული თხრობითი (ნარატიული) სქემა ან სქემატური სუპერსტრუქტურა. ის შეიცავს შემდეგ 5 კომპონენტს:

**ტექსტის მოკლე შინაარსი;**

**დასაწყისი;**

**ძირითადი მოვლენების განვითარება;**

**კვანძის გახსნა;**

**მორალი.**

სქემატურ სუპერსტრუქტურას, საერთოს ყველა ტიპის თხრობითი ტექსტისათვის, იგავ-არაკის ტექსტში აქვს განმასხვავებელი ნიშნები: ორი კომპონენტი-შეფასება და კოდი ერთიანდება და გამოიხატება იგავ-არაკის მორალში.

მაკროსტრუქტურა წარმოადგენს იგავ-არაკის ტექსტის შინაარსის გაშლას და შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: ორი ანტაგონისტი- პერსონაჟის შეხვედრა ( ან ერთი პერსონაჟი, რომელიც ეწინააღმდეგება გარშემომყოფთ); ერთი ანტაგონისტი-პერსონაჟის გამოწვევა ბრძოლაში, შეჯიბრებაში, ანტაგონისტი პერსონაჟების

ურთიერთდაპირისპირება, ერთ-ერთი მათგანის ფიზიკური დამარცხება, ფაქტობრივი უპირატესობა გამარჯვებულისა დამარცხებულზე.

იგავ-არაკის თხრობით სქემასა და აზრობრივ ორგანიზაციას შორის არსებობს მჭიდრო კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება. იგავ-არაკის არსი ვითარდება თანმიმდევრობით, მოცემული ნარატიული სქემის ელემენტების შესაბამისად.

„თუ კი შევადარებთ მოცულობით ანტიკურ პროზაულ იგავ-არაკებს და ლექსის ფორმით დაწერილს, ეს უკანასკნელი ბევრად მეტია. პროზაული ანტიკული იგავ-არაკები მოკლეა (ორი-ათი მარტივი წინადადება), თავისი არსით ისინი იყო არაკები. ლექსად დაწერილი იგავ-არაკები მოცულობით ორჯერ და სამჯერ უფრო გრძელია. აღწერილობითი ელემენტის გაზრდა გამოწვეულია მხატვრული ლიტერატურის ჩარჩოებთან მიახლოების მოთხოვნის გამო“ (პოლუიანოვა, 2001:45)

მთავარი პრობლემა უნდა გაიშალოს სინტაქსური კონსტრუქციებისა და სიუჟეტური ხაზის ერთდროულ გამოყენებაზე. იგავ-არაკებში ისმება განსაზღვრული აქტუალური პრობლემა, რომელიც იშლება თანდათანობით და ბოლოვდება მორალით.

განისაზღვრა იგავის, როგორც ზეპირსიტყვიერი ჟანრის მთელი რიგი ფუძემდებლური მახასიათებელი. იგავს დამწერლობამდელ პერიოდში უნდა ჰქონოდა ისეთი თვისებები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ტექსტის დამახსოვრებას და მის შემდგომ ზეპირ გადაცემას, ამ დროს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ტექსტის ზომა, მისი მოცულობა. ზეპირი გადაცემისას ტექსტის მოცულობა ვერ დარჩებოდა სტაბილური, მუდმივად შეიცვლებოდა. მოცულობა უზრუნველყოფდა იგავის მაქსიმალურ ეფექტურობას. რაოდენობრივი ცვლილებები ეხებოდა ფორმის, ფორმისა და შინაარსის კორექტირებას. ყველა ტრანსფორმაციის შედეგად, იგავმა მიიღო შესაბამისი ფორმა და რიგი სემანტიკური თავისებურება, რომლებსაც ჩვენ აღვნიშნავთ საერთო ტერმინ **ლაპიდარულობით**. ლაპიდარულობის ცნებაში შედის მცირე მოცულობა, სიუჟეტის თავისებურებები, მოქმედი პირების შეზღუდული რაოდენობა, სახეების სისტემის სპეციფიკა,

კონტექსტურ-ვარიაციული დაყოფისათვის დამახასიათებელი ორგანიზაცია, კონტინუმის სივრცითი და დროის თავისებურებები (პოლუიანოვა, 2001).

ლაპიდარულობა იგავის ტექსტის ერთ-ერთი სპეციფიკური რელევანტური თვისებაა. სიუჟეტი ერთიანია, გამორიცხულია მისი დატოტვილობა, რომელიც ხელს შეუშლიდა მკითხველის ყურადღების კონცენტრაციას იგავის ჩანაფიქრის გახსნაში. იგავში ის განვითარდება გარკვეული სქემის მიხედვით, რომელშიც გამოიხატება მოკლე შინაარსი, ძირითადი ნაწილი გახსნა, შეფასება და კოდი. რიგ იგავში ერთი მიმართულება უზრუნველყოფილია ერთგვარი სიტუაციის მოდელირებით, პერსონაჟების ქცევის სავარაუდო ხაზის კომბინირებით, მოქმედი გმირების შეზღუდული რაოდენობით. ტრადიციული იგავარაკული სიუჟეტის ადაპტაციის პროცესში სხვა კულტურულ გარემოსთან და ისტორიულ შინაარსთან, ავტორს შემოაქვს ცვლილებები, არამართო მოქმედი პირების რაოდენობაში, დეტალებსა და მოქმედების მოწყობის დეტალებში, არამედ თვითონ მოქმედების განვითარებაშიც.

კანონიკური იგავები განსხვავდება ლაპიდარულობის მაღალი ხარისხით, რაც განპირობებულია სპეციფიკით. პოლუიანოვას აზრით, კანონიკური იგავების ლაპიდარულობა მიიღწევა პირველ რიგში აზნაცების და წინადადებების დამახასიათებელი აგებულებით, ინვერსიით, პერსონაჟების საუბარში შეყვანით, მოქმედი პირების ირიბი დახასიათებით.

არაკანონიკური იგავები კანონიკურებთან შედარებით მოკლეა. მათი ლაპიდარულობა მიიღწევა ნაწილობრივ იმავე ხერხებით, რაც კანონიკურისა (განმეორების ფონური სახეობების გამოყენება, პერსონაჟების ირიბი დახასიათება), თუმცა მას აქვს თავისებურებები.

არაკანონიკური იგავების კონტექსტურ-ვარიაციული დაყოფისას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება დიალოგებს. დიალოგში რეპლიკების მეშვეობით ინფორმაციის ჩქარი გაცვლა უზრუნველყოფს მათს შინაარსობრივ ტევადობას. სალაპარაკო ზმნებისა და ავტორის სიტყვების გამოტოვება რეპლიკების შეყვანისას რეალიზებას უკეთებს ისეთ სტილისტიკურ თვისებას, როგორცაა სიმოკლე.

იგავის ტექსტის ლაპიდარულობა ფორმირდება კონტინუუმის სპეციფიკით. იგავის კონტინუუმის თავისებურებაა თხრობის აბსტრაქტიზაცია დროისა და სივრცეში. ის მჭიდროდაა დაკავშირებული იგავური თხრობის თემატიკასთან, რომლის შინაარსობრივ საფუძველს შეადგენს ადამიანური ყოფიერების მთავარი მორალური, ზნეობრივი, ფილოსოფიური პრობლემები, და აგრეთვე მისი ორგეგმიანობა, ალეგორიულობა. იგავში დროის აბსტრაქტიზაცია განისაზღვრება მხატვრული დროის სპეციფიკასთან შეფარდებით. იგავში, დრო, ისტორიული ეპოქა და ადგილი არ არის, ან ზედმიწევნით პირობითია, ამიტომ თხრობითი დრო, როგორც მხატვრული დროის ფორმა, იგავში პრაქტიკულად არ არის განსაზღვრული, სიუჟეტური დროის ზეგავლენა აბსტრაქტიზაციაზე უმნიშვნელოა.

ტექსტებს (ზეპირ ინტერპრეტაციაში) არ აქვთ მუდმივი ფორმა „ტექსტი ექვემდებარება მუდმივ ცვლილებებს, მაშინაც კი როდესაც მას იმეორებს ერთი და იგივე მთხრობელი“ (პოლუიანოვა, 2001).

ჩვენ ვთვლით, რომ ლაპიდარულობა არის იგავის ტექსტის სპეციფიკური რელევანტური დახასიათება. ის დამახასიათებელია არა მარტო იგავისთვის, არამედ სხვა მცირეფორმატიანი ჟანრებისათვისაც. იგავის ტექსტის ლაპიდარულობა იქმნება პირველ რიგში სიუჟეტის ერთმიმართულებიანობით. იგავის ტექსტი შეიცავს ერთს ან რამდენიმე პატარა ეპიზოდს, რომლებიც ექვემდებარება ძირითად ჩანაფიქრს და ეხმარებიან მკითხველს მის გახსნაში. სიუჟეტის ერთიანი მიმართულება არ უარყოფს ტექსტში პარტიტურობის კატეგორიის არსებობას. მაგალითად, რ. ბრედბერის იგავის „შერისხულები“ ტექსტში თხრობა ორგანიზებულია ისე, რომ აღწერილი მოვლენები ხდება ორ სხვადასხვა ადგილას: მარსსა და კოსმოსური ხომალდის გემბანზე და მათი მონაწილეები არიან პირები, რომლებსაც არ აქვთ ერთმანეთთან არანაირი ურთიერთობა, თუმცა ერთ-ერთ ეპიზოდში (მეორე ტექსტური სეგმენტი) ორივე ხაზი ერწყმის ერთმანეთს და გვამცნობს ტექსტს მთლიანობასა და შეკავშირებას.

როგორც ვხედავთ, სიუჟეტის ერთმიმართულებიანობა გამორიცხავს მის განტოტვილობას. ეს უკანასკნელი ხელს შეუშლიდა მკითხველს ყურადღების კონცენტრაციაში იგავის ჩანაფიქრის გახსნის დროს.

## 2.3 იგავ-არაკული სიმბოლიკა სხვადასხვა ხალხის კულტურებში და ლინგვოკულტურული თავისებურებანი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგავ-არაკებს განსაკუთრებული როლი ენიჭება ეთნოსის კულტურული წარმოდგენების შეფასებასა და ქცევის ნორმების შენახვაში, კონსტრუირებასა და ტრანსლაციაში.

იგავ-არაკი საწყის ეტაპზე არ შეიცავდა მკაფიოდ გამოხატულ ნაციონალურ სპეციფიკას. ის განიცდიდა უცხოური წყაროების ზეგავლენას.

ვ. ალახვერდოვი, რომელიც მხატვრული ნაწარმოების აღქმის პროცესის თანმხლებ ემოციურ ასპექტებს იკვლევს, ამგვარ ჟანრებს „ორმაგი ფსკერის მქონე ტექსტად“ მოიხსენიებს. ეს, ბუნებრივია, მის ფუნქციურ დატვირთვაშიც აისახება. ამდენად, აქტუალიზებისას თითოეულის მართებული გაგება მოითხოვს სიღრმისეული სემანტიკური შეფერილობისა და სტილისტიკური მახასიათებლების ზუსტ გააზრებას. ზოგიერთ პერსონაჟს აქვს სხვადასხვა თვისების აქტუალიზების უნარი სხვადასხვა იგავარაკულ სიუჟეტსა და განსხვავებულ კულტურაში.

იგავარაკული ინტერპრეტაციების ეთნოკულტურული თავისებურებების წარმოშობა განპირობებული იყო ნაციონალური კულტურის სპეციფიკით, მისთვის დამახასიათებელი აქსიოლოგიური სისტემით, რომელიც ზეგავლენას ახდენდა მეიგავეების მიერ სხვადასხვა კულტურის ტექსტის თავისებურ აღქმასა და გაგებაზე.

იგავ-არაკის ტექსტის კომპლექსური შესწავლისათვის ასევე აუცილებელია სემანტიკური თავისებურებების დადგენაც. განსაკუთრებით ნაყოფიერია კოგნიტური ანალიზის ელემენტების გამოყენება, რაც საშუალებას იძლევა გამოავლინოს ის ღრმა სემანტიკური პროცესები, რომლებიც განმარტავს იგავ-არაკის ტექსტის სტრუქტურულ-კომპოზიციურ აგებულებას და შინაარსობრივ განვითარებას.

კლასიკურ ძველბერძნულ იგავ-არაკში ცხოველები გამოხატავენ ალეგორიული გამოსახულებით ადამიანის ხასიათის მხოლოდ რომელიმე ერთ თვისებას. საქვეყნოდ ცნობილია ეზოპესეული სიუჟეტი მელიაზე, რომელმაც ყურძენს უწოდა უმწიფარი, მჟავე ("I am sure they are sour"), როცა ვერ შეძლო პირის ჩატკბარუნება. ის



ემბრიონალურად, მაგრამ განასახიერებს ისეთი ტიპის ადამიანს, რომელიც ცდილობს შეინარჩუნოს კარგი გამომეტყველება წარუმატებლობის დროს. ძველ ბერძნულ იგავ-არაკში ცხოველები ცხოვრობენ და მოქმედებენ საზოგადოების გარეთ. თანამედროვე იგავ-არაკში ცხოველები ავლენენ არა უბრალოდ ადამიანურ თვისებებს, არამედ არიან უფრო მოცულობითი ფიგურები, ინდივიდუალური პიროვნული თვისებებით, მოქმედებენ არა იზოლირებულად, არამედ ადამიანთა საზოგადოებაში. ამის ნათელი მაგალითია „კატა“. ეზოპესეული „კატა“ ძირითადად მოქმედებს ჩაკეტილ საზოგადოებაში, სადაც მას ურთიერთობა უწევს მხოლოდ ერთ ან ორ პერსონაჟთან და ძირითადად ცხოველებთან, ხოლო თერბერის იგავ-არაკში „The Cat in the Lifeboat“ კატა მოქმედებს საზოგადოებაში, ის მუშაობს გაზეთში, თავის დიასახლისთან ერთად მოგზაურობს და ურთიერთობს ადამიანებთან გემზე და ა. შ. ზუსტად ამასვე ამტკიცებს „ლომის“ თემატიკის კვლევა. ეზოპეს „ლომი“ მოქმედებს ვიწრო საზოგადოებაში, ხოლო ლობელისა- მოქმედებს საზოგადოებაში, რომელსაც უნდა უჩვენოს თავისი უპირატესობა.

ფრიად საინტერესოა მსოფლიო ხალხთა იგავ-არაკები და მათი სიმბოლური სახეები. ჩვენ შევადარებთ და განვიხილავთ მათ სიმბოლიკას და ლინგვოკულტურულ მახასიათებლებს როგორც სინქრონიაში, ასევე დიაქრონიაში. მოცემულ ქვეთავში განხილული იქნება ეზოპეს, სულხან-საბას, რ. დოდსლის, ი. კრილოვის, ჯ. თერბერის, ა. ლობელის და ზ. გამსახურდიას იგავები.

ეზოპე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანტიკური ხანის ბერძენი მეიგავეა, რომელიც თავის იგავებს პროზაულად წერდა და უამრავ ცხოველს სძენდა ადამიანის თვისებებს.

„სიბრძნე-სიცრუისა“ ითვლება ქართული მწერლობის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად. სულხან-საბა აგრძელებს ეზოპეს იგავების სტრუქტურულ ხაზს და პროზაული სტრუქტურით წერს იგავებს. მათ იგავებს შორის ბევრია საერთო, მაგრამ არსებობს ძირეული სხვაობაც სიმბოლიკასა და ლექსიკურ არჩევანში.

სულხან-საბას თანადროული ინგლისელი მეიგავეა რობერტ დოდსლი, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბოდის უხდიდა ინგლისელ საზოგადოებას

იმისთვის, რომ მიმართა იგავარაკულ ჟანრს. ის ასევე პროზაულად წერს თავის ნაწარმოებებს და ძალიან ხშირად იგრძნობა ეზოპეს გავლენა მის იგავებში სიმბოლიკის თვალსაზრისით.

ი. კრილოვი მეცხრამეტე საუკუნის რუსი მეიგავეა, რომელიც თავის იგავებს წერდა ლექსად ან შერეული ფორმით.

ჯეიმს თერბერი და არნოლდ ლობელი მეოცე საუკუნის მეიგავეები არიან. ზვიად გამსახურდია კი მეოცე საუკუნის ქართველი ავტორია, რომელიც ასევე პროზაულად წერს და განსხვავდება მისი თანამედროვეების თემატიკისგან.

ეზოპეს და სულხან-საბას სიუჟეტები ხშირად ემთხვევა და ასევე სიმბოლურია დატვირთვა სხვადასხვა ცხოველისა თუ თვისებისა. ფრიად საინტერესოა „გველის“ სიმბოლიკა მათ იგავ-არაკებში. იგავ-არაკში „კეთილი გველი“ სულხან-საბა სათაურშივე ავლენს საკუთარ დამოკიდებულებას გველის მიმართ და მკითხველს უქმნის განწყობას შინაარსის შესახებ. ამ იგავ-არაკში ავტორი ხაზს უსვამს გველის სიკეთის დანახვის უნარს და გვაჩვენებს, რომ მან სიკეთით გადაიხადა და გაამდიდრა გლახაკი.

*„და თქვა მან კაცმან: ამ წითელს ეჭირვება მოხმარება და მოვეხმარებო.“*

*მივიდა, შავს გველს ჯოხი დაჰკრა და მოკლა.*

*მოვიდა წითელი გველი, თავი ადგილზედ დაუკრა და კალთას კბილით მოეკიდა და გაზიდა. გაჰყვა ეს კაცი. ერთის კლდის ქვაბში მიიყვანა. ეგ ზომი განძი აჩვენა, მეფეს არა ჰქონდა იმდენი, და გამდიდრდა კაცი იგი.“*

იგავ-არაკში „გლეხი და სამი გველი“ ავტორი ისევ ხაზს უსვამს გველის უნარს, გადაიხადოს „სიკეთის წილ სიკეთე,“ მაგრამ პირველ რიგში ის ყურადღებას ამახვილებს გველის შურისმაძიებელ თვისებაზე, როცა ამბობს: *„მოვიდა მეორე იგი გველი. ნახა, თავისი ტოლი მოკლულია. მას კაცსა ცხენისათვის ალერდი დაეთიბა, ხორომად შეეკრა. მას შიგ შეძვრა და დაიმალა.“*

*მან კაცმან რა მუშაობა გაათავა, თივა აიკიდა, შინ წაიღო. მას ღამე გველი გამოძვრა და სულ ჯამჭურჭელი დაუშხამა და თივაშივე დაიმალა.“*

ხოლო მას შემდეგ რაც, გველი სიმართლეს მოისმენს, ის მიხვდება საკუთარ დანაშაულს ის სრულიად გასტეხს შხამიან ჭურჭელს:

*„გამოდვრა და, რაც ჭურჭელი გესლით დაეშხამა, სულ ჩამოყარა და დაამტვრია და კარი გაიარა.*

იგავ-არაკში „კაცი და გველი“ სულხან-საბა გველს სხვა მხრიდან გვიჩვენებს და ხაზს უსვამს გველის უმადურ ბუნებას და გველს ათქმევინებს, „*კარგისათვის კარგი არავის უქმნია და მეც ასრე გიყავო.*“

იმავე ნაწარმოებში, სულხან-საბა მელიას ახასიათებინებს გველს სიტყვებით:

*„გველის სამართალი ეს არისო! ზუსტად, ისეთივე ხაზს აგრძელებს ეზოპე თავის იგავში **“The Farmer and the Snake”**.*

ავტორი ამ შემთხვევაში ზუსტად იმავეს თქმას ცდილობს, რასაც სულხან-საბა ორბელიანი იგავში „კაცი და გველი“. სულხან-საბასთან კაცი გველს გაადაარჩენს, რომელიც სიკეთის ნაცვლად კაცის დახრჩობა შეეცდება, ხოლო ეზოპესთან ფერმერი გაათბობს გველს, რომელიც შემდეგ სასიკვდილოდ დაგესლავს მას და სრულიად შესაძლებელია ეზოპეს ამ იგავის მორალი: *“The lesson: The greatest kindness will not bind the ungrateful”* მოერგოს სულხან-საბას იგავის „კაცი და გველი“ მორალს.

იმავე პერიოდის ინგლისში რ. დოდსლიმ გამოსცა წიგნი სათაურით: “Select fables of Aesop and other fabulists”, სადაც გველის თემას ზუსტად ისეთნაირად იყენებს, როგორც ეზოპესთან და ამ პერიოდის ინგლისშია.

გველთევზას თემატიკას ვეხებით ზვიად გამსახურდიას იგავ-არაკში „თევზები და გველთევზა“. ამ თემატიკას გველს იმიტომ ვუკავშირებთ, რომ ავტორი თავადვე ანიჭებს გველთევზას როგორც გველის, ისე თევზის თვისებებს: *„იყო ერთი გველთევზა, რომელსაც ფარფლ-ქერეჭი თევზისა ჰქონდა, შხამი და საზრიანობა კი - გველისა.“*

ავტორი დასაწყისშივე ამბობს თავის სათქმელს და მხოლოდ მისი ეს ფრაზა გვეხმარება, სრულყოფილად გავიგოთ იგავის შინაარსი. იგავი ვითარდება ისე, რომ

თევზის სხეულში ამოფარებული გველთევზა ჭკვიანურად ცდილობს ამ შხამის დაფარვას.

*„გველთევზა ნაპირზე ცხოვრობდა და ხანდახან თუ ჩააკითხავდა წყალში თავის მოძმეთ. თევზებმა უთხრეს: -„რა გინდა მაგ ხრიოკ ნაპირზე, გადმოსახლდი ჩვენთან, წყალში, განა ვერ ვხედავთ, ვით იტანჯები მანდ უწყლობით, შენ აქ გვჭირდები თევზებს, შენი ადგილი აქ არისო“.*

*–„განა წყალი არ მირჩენია ამ უხეირო სამკვიდრებელს, წყლისათვის დავბადებულვარ, მაგრამ ამ ნაპირზე თქვენთვის სახიფათო, ვერაგი მეთევზეები რომ მომრავლებულან, ჯერ იმათ უნდა დავუგესლო ფეხები, რათა ველარ შესძლონ წყალში ბადის გადმოსროლა და თქვენი ერთიანად განადგურება. როდესაც მათ ფეხს ამოვუკვეთავ ამ ნაპირზე, მეც თქვენთან გადმოვალო წყალში საცხოვრებლად. მანამდის კი, მეც რომ თქვენსავით წყალში ვიცხოვრო ნიადაგ, შხამს დამიკარგავს წყალი და მტრებს ველარ მოგაშორებთ, ამიტომაც გამიწირავს თავი და აქ, ამ ნაპირზე ვარ ჩასაფრებული, ფათერაკი რომ აგარიდოთ. თქვენმა და ჩემმა შემოქმედმა გველად იმადაც მაქცია, რომ თქვენ წყალში იცხოვროთ და განამრავლოთ თევზთა მოდგმა, მე კი აქედან უნდა გიყარაულოთ. საზიანოა ეს ჩემთვის, მაგრამ ჩვენი მოდგმის გადასარჩენად ასე არისო საჭირო“.*

ძალიან საინტერესოა ამ შემთხვევაში ავტორის თხრობის სტილი და მისი ინტენციის გამოხატვაც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რომ არა ავტორის ერთი რეპლიკა, მკითხველი ვერ გაიგებდა გველთევზას რეალურ სახეს. ვიფიქრებდით, რომ ის მართლაც კეთილი არსებაა.

აშკარაა, რომ ზვიად გამსახურდია გველთევზას უფრო მეტად გველის მოდგმას უკავშირებს და ის ცბიერ არსებად გამოჰყავს, რომელიც, თითო-ოროლა კეთილი სიტყვით ცდილობს თანამოძმეების მოსყიდვას, გაბრიყვებას და არწმუნებს თავის დამსახურებაში. გველთევზას სახით ავტორი საკუთარი თანამედროვეების მხილვას ცდილობს, რომლებიც თითქოს კარგ საქმეებს აკეთებენ, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისთვის ზრუნავენ.

როგორც ვხედავთ, გველის სიმბოლო და თვისებები შესაძლებელია უნივერსალურ თვისებებადაც კი მივიჩნიოთ და ვამტკიცოთ, რომ მოცემულ სამ კულტურაში გველი მეტ-ნაკლებად საერთო თვისებებით გვევლინება. საგულისხმოა, რომ თანამედროვე ეპოქის საქართველოში, ქართული პოლიტიკური და სოციალური გარემოებებიდან გამომდინარე, გველი უკვე ამოეფარა თევზის სხეულს და ცბიერი ენით ეცადა საკუთარი მიზნების მიღწევას.

სულხან-საბას ასევე არაერთი იგავ-არაკი აქვს მიძღვნილი „ვირის“ თემატიკაზე და თამამად შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ეს თემატიკა დომინანტურია. სავარაუდოა, რომ ეს სწორედ სულხან-საბასდროინდელი რეალობიდან არის გამოწვეული, თუმცა საკმაოდ რთულია, გამოიცილო ავტორის დამოკიდებულება ამ სიმბოლოსადმი. ისევე როგორც გველის, ვირის სიმბოლიკაც არაერთგვაროვანია მის იგავებში. მაგალითად: იგავ-არაკში „აქლემი და ვირი“ ავტორი ყურადღებას ამახვილებს ვირის სიბრიყვეზე, როცა კარგად გასუქებული და უზრუნველყოფილი ვირი სიმღერას მოინდომებს და დაიღუპავს თავს. აქ სულხან-საბას ცდილობს, ალეგორიულად ასახოს ბრიყვი ადამიანი, რომელსაც წინდახედულობა აკლია და საკუთარი სისულელით შეუძლია დაიღუპოს თავი.

*„ერთი აქლემი და ერთი ვირი, დიად დაღლეტილნი, დაძმობილდენ და თავის პატრონს გაეპარნენ. წავიდნენ აგარათა ადგილთა. დიდად გასუქდენ მთასა მას ზედა. დაავიწყდათ სიმჭლე და ზურგის სიმპლე მათი.*

*ვირმან უთხრა აქლემს: ძმაო, სიმღერა მინდა ვთქვაო.*

*აქლემმან დაუშალა: ნუ ძმაო! აღარ გახსოვს, რას ჭირში ვიყავითო? არამც ახლოს კაცნი იყვნეს, ხმა ესმათ, წაგვიყვანონ და უარესი გვიყონო.*

*არ დაიჯერა ვირმან და დაიყოყმანა. მეტად მაღალი სიმღერა მოუვიდა. თურე ახლოს მოგზაურნი იდგნენ. აქლემები და კარაულები დასცვივნოდენ. ესმათ მათ ხმა ესე. გაეხარდათ დიდად და თქვეს:*

*მივიდეთ და ვნახოთ, ანუ შენობა იქმნება, ანუ ქარავანი, ეგების ულაყი გვიმიზდონ.*

*მივიდნენ, ნახეს ერთი აქლემი და ერთი ვირი მსუქნები და უპატრონო იყვნენ. წაიყვანეს და ორსავე მძიმედ აჰკიდეს.”*

ზუსტად იმავე თემატიკას აგრძელებს ეზოპე თავის იგავში “The Ass, the Cock, and the Lion, ” სადაც ვირის მოსაკლავად გამზადებულ ლომს მამლის ყვილი შეაშინებს და გაიქცევა. აქ ეზოპე ვირის სიბრიყვეს უსვამს ხაზს და ამბობს: ‘

*”The Ass, observing his trepidation at the mere crowing of a Cock summoned courage to attack him, and galloped after him for that purpose”.*

ეზოპე ვირისადმი დამოკიდებულებას უდიდესი სარკაზმით გამოხატავს. ის ცდილობს დასცინოს იმ ადამიანების სიბრიყვეს და წუთიერ ჭკუასუსტობას, რითაც შეიძლება დაიღუპონ თავი. საბოლოოდ, კი ავტორი მორალსაც მოიშველიებს და ამბობს:

“False confidence often leads into danger. ”

სულხან-საბა და ეზოპეც ვირის სიბრიყვეს უსვამს ხაზს მოცემული იგავებში, მათ შორის არსებობს ძირეული სხვაობაც, რაცგამოწვეული უნდა იყოს მათი რეალობიდან. თუ ეზოპე ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეხუთე საუკუნეში ზედმეტ თავდაჯერებულობას აქილიკებს, სულხან-საბა უკვე მე-17-18 საუკუნეებში სიბრიყვეს და დაუფიქრებლობას დასცინის.

იგავ-არაკში „ვირი, ვეფხი, მელი და მგელი,“ სულხან-საბა ისევ „ვირის“ თემატიკას ეხება, თუმცა, ამ შემთხვევაში ის უფრო პოლიტიკური ხედვით უდგება ამ თემატიკას და ვირის ვეფხვზე, მელასა და მგელზე გამარჯვების ამბავს ყვება, თუმცა ამ იგავში, ვირი სულაც არ არის სულელად წარმოდგენილი. ის, პირველ რიგში, გაეპარება პატრონს. შემდეგ კი, საბედნიეროდ, საკუთარი ხმით შეაშინებს უგუნურ ვეფხვს და მონად დაისვამს. თან იყენებს წინდახედულებას, თადარიგს იჭერს ვეფხვის თავიდან მოსაცილებლად და ეუბნება: „- რადგან მეყმევ, კარგად დაგარჩენ, ჩემის სახლის უხუცესობას მოგცემ, ორს შეცოდებასაც შეგინდობ, და მესამეს ერიდე!“

შემდეგ კი სულხან-საბა ამბობს: *გამოხდა ხანი. ვირს ეძინა. ვეფხს ნავარდი*

მოუნდა და წყალს გახლტა, მჭავლს კუდი დაჰკრა, ვირს წუნწკლი შეასხა; გაიღვიძა, იწყინა და დიდად დატუქსა.

მეორეზე ვირი წყალში ჩავიდა, წყალი დიდი იყო, ვირი წააქცია და დაღუპა. შეიჭრა ვეფხი, ვითამ ბატონს მოეხმარა, და გამოიყვანა. ვირი მიზეზს ეძებდა, თუცა გავიცალოო, არა ამიტებოს რაო.

*გაუწყრა: მე კალმახს ვნადირობდი, შენ რად გამომიყვანეო?*

სულხან-საბა სიტყვებით, „ვირი მიზეზს ეძებდა, თუცა გავიცალოო, არა ამიტებოს რაო“, ვირის გამჭრიახობას უსვამს ხაზს და გვიჩვენებს, რომ სინამდვილეში, ის სულაც არ არის ბრიყვი ცხოველი და ზოგჯერ ხდება ისეც, რომ ძლიერები მარცხდებიან უჭკუობის გამო და კუთვნილ ადგილს სუსტებს უთმობენ, როგორც მოხდა ვეფხვის შემთხვევაში: „ვეფხს მესამის შეცოდების რიდი ჰქონდა და გარდაიხვეწა, იგი ადგილი ვირმან დაიმკვიდრა.“

სულხან-საბას, ეზოპეს, რობერტ დოდსლის და ჯეიმს თერბერს არაერთი იგავ-არაკი აქვთ მიძღვნილი „კატის“ სიმბოლიკისთვის და ეს კონცეპტები განსხვავებულია ერთმანეთისგან. ეს გამოწვეული უნდა იყოს ეპოქის ან კულტურის სხვაობით. ეზოპე ანტიკური ეპოქის მწერალია, სულხან-საბა და რ. დოდსლი თანამედროვეები არიან, ხოლო ჯ. თერბერი შედარებით უფრო თანამედროვე მწერალია.

ეზოპე თავის იგავებში: “The Cat-Maiden” და “The Cat and Venus” ყურადღებას ამახვილებს კატის ბუნებაზე და გვიჩვენებს, რომ კატა ვერასდროს დათმობს თავის ხარბ ბუნებას და მაინც თავს გასდევს დასაჭერად. ავტორი თავის პოზიციას აფიქსირებს ამ იგავების მორალში:

*“The Cat-Maiden”-*

*მორალი: "Nature will out." (ბუნება მაინც იჩენს თავს)*

*“The Cat and Venus”*

*მორალი: “Nature exceeds nurture.” (ბუნება აჭარბებს აღზრდას)*

კატის სიმბოლო არაერთგვაროვანია ეზოპესთან. იგავ-არაკებში “The Cat and the Birds ” და “The Cat and the Mice ” ეზოპეს ხაზს უსვამს არა კატის ხარბ ბუნებას, არამედ, მის წინდახედულებას და ეშმაკობას. ერთ შემთხვევაში “The Cat and the Birds ” კატა გამოეწყო როგორც ექიმი და ლამობს ჩიტების შეჭმას.

*“ A CAT, hearing that the Birds in a certain aviary were ailing dressed himself up as a physician, and, taking his cane and a bag of instruments becoming his profession, went to call on them.”*

ხოლო, მეორე შემთხვევაში, ის ცდილობს თავი მოიმკვდარუნოს და ისე მოატყუოს თავგები:

*“For this purpose she jumped upon a peg, and suspending herself from it, pretended to be dead.”*

სულხან-საბა თავის იგავ-არაკში „კატის გაზრდილი ლომი“ ხაზს უსვამს კატის წინდახედულობას და სიბრძნეს პირველ რიგში, იმიტომ, რომ კატას გასაზრდელად ცხოველთა მეფეს-ლომს მიაბარებენ. როცა ლომი ვერ შეძლებს ხეზე ასვლას, რომ თავისი გამზრდელი შეჭამოს, კატა მას ეტყვის: „ეს ჩემთვის შევინახე: რა ასრე გამიჭირდებოდა, მომხმარებოდაო.“

რ. დოდსლი, ეზოპეს მსგავსად, კატის სიხარბეზე ამახვილებს ყურადღებას, მაშინ, როცა ორი კატა ნადავლს ვერ გაიყოფს- *“Two Cats having stolen some cheese could not agree about dividing it.”*

ჯ. თერბერი კი იგავ-არაკში, “The Cat in the Lifeboat,” რომელიც აგებულია ზღაპარს ჰგავს, სრულიად განსხვავებულ თვისებებს შესძენს კატას. კატა William-ი აღმოაჩენს, რომ ეს სახელი მხოლოდ მას ჰქვია მთელ ქალაქში. ამის გამო, უილიამი შეექცევა ოცნებას და ოცნებებში საკუთარი თავის განდიდებას შეეცდება. საინტერესოა, როგორ აღწერს ჯ. თერბერი ამ ყველაფერს:

*“The fact of his singularity went to his head, and he began confusing it with distinction. It got so that whenever he saw or heard the name William, he thought it referred to him. His fantasies grew wilder and wilder, and he came to believe that he was the*



*Will of Last Will and Testament, and the Willy of Willy Nilly, and the cat who put the cat in catnip. He finally became convinced that Cadillacs were Catillacs because of him.”*

საბოლოოდ კატა უილიამი აღმოჩნდება სამაშველო ნავზე, საიდანაც მას ცივ წყალში ისვრიან. ავტორი იგავ-არაკის ბოლოში იყენებს მძაფრ გროტესკს, როცა აღნიშნავს, რომ კატა უილიამის საფლავის ქვაზე დააწერენ: ***‘Here lies Nobody from Nowhere’*** და მორალსაც ასევე დამცინავად გამოხატავს:

***“O why should the spirit of mortal be proud, in this little voyage from swaddle to shroud?”***

აშკარაა, რომ ამერიკული გარემო და თანამედროვე პრობლემატიკა გავლენას ახდენს თერბერზე და მკაფიოდ იცვლება თემატიკა. წამყვან ადგილს ეგოიზმი და ამო თავდაჯერებულობა იკავებს, რომელსაც ავტორი დასცინის და დამღუპველ თვისებებადაც კი მიიჩნევს.

იმის მიუხედავად, რომ თითოეულ ავტორს კატის სხვადასხვა თვისებაზე აქვს ყურადღება გამახვილებული, ერთი რამ საერთოა, სულხან-საბას **კატის** გარდა, სხვა ყველა კატა რჩება ხელმოცარული ან დამარცხებული.

ამ შემთხვევაში, სავარაუდოა, რომ ქართულ კულტურაში, კატა სრულიადაც არ აღიქმება, როგორც ხარბი ან სულელი არსება, პირიქით, ქართული რეალობისთვის ის წინდახედული, ცბიერი და ბრძენი არსებაა, რომელსაც ლომის გაზრდასაც კი ავალებენ. იმის მიუხედავად, რომ რ. დოდსლიც იმავე ეპოქაში ცხოვრობდა, მასზე ინგლისური კულტურა ახდენს გავლენას, ან სრულიადაც არ მიიჩნევს კატას ბრძენ არსებად, თუმცა ცბიერების ელემენტებს მის იგავშიც ვაწყდებით.

**ლომის** სიმბოლიკაც ასევე არაერთგვაროვანია სხვადასხვა ავტორთან. ეზოპესაც აქვს რამდენიმე ასეთი იგავ-არაკი, მაგრამ ძნელია რომელიმე კონკრეტული მახასიათებლის წინა საფეხურზე წამოწევა. მაგალითად: იგავ-არაკში: ***“The Lion and the Three Bulls*** “ ეზოპე ლომის ცბიერებაზე და წინდახედულობაზე ამახვილებს ყურადღებას და გვაჩვენებს, როგორ გათვალა ლომმა, რომ შეეჭამა ხარები ისე, რომ დაეცალკეებინა ისინი, რათა საფთხე აეცილებინა თავიდან.

“THREE BULLS for a long time pastured together. *A Lion lay in ambush* in the hope of making them his prey, but was afraid to attack them while they kept together. Having at last **by guileful speeches succeeded in separating them**, he attacked them without fear as they fed alone, and feasted on them one by one at his own leisure.”

სულხან-საბას იგავ-არაკში „კატის გაზრდილი ლომი“ სულხან-საბა ყურადღებას ამახვილებს ლომის უმადურ და ცხოველურ ბუნებაზე და გვიჩვენებს, რომ მან გამზრდელი კატის შეჭმა მოილომა: „*ერთ დღეს ნადირი ვერ იშოვნა და თავისი გამზრდელი კატის შეჭმა მოინდომა.*“

ამკარაა, რომ ლომის სიმბოლიკა ასევე აქტუალურია მეოცე საუკუნის მეიგავებთან, მაგრამ ისინი ლომს უფრო სხვა თვისებებს შესძენენ. დავაკვირდეთ, მეოცე საუკუნის მეიგავის ა. ლობელის იგავ-არაკს: “King Lion and the Beetle”. ავტორი ამ იგავ-არაკში ლომის ამპარტავნობაზე ამახვილებს ყურადღებას და თვითონ ლომს ათქმევინებს მედიდურ ფრაზებს:

*“What a beautiful and noble creature I am,” he said.*”

*“I will go forth to show my devoted subjects that their leader is every inch a king!”*”

*“I deserve this respect from my people, for truly I am every inch a king!”*”

ავტორი იგავ-არაკის ბოლოს ასევე ირონიულად ამბობს:

*“The King leaned over a little farther. Now the robes of state, the large jeweled crown, and all of the gold and silver medals had made King Lion very top-heavy. Suddenly he lost his balance and fell on his head.”*

*“From head to foot, every inch of King Lion was covered with wet mud.”*

და იგავ-არაკის მორალშიც ავტორი გამოხატავს თავის დამოკიდებულებას და ამჯერად, ირონიის გარეშე იტყვის: *“It is the high and mighty who have the longest distance to fall.”*

ჯეიმს თერბერსაც ყურადღება აქვს გამახვილებული ლომის სიმბოლიკაზე თავის იგავ-არაკში: **“The Lion and the Foxes”** მაგრამ თითქოს ავტორი სიბრალულს

გამოხატავს ლომისადმი. მაშინ როცა მეფე ლომს გააცურებენ მელიები, ლომი ხელმოცარული ამბობს:

*"But I am king of beasts," roared the lion."*

სადაც მელიებისგან პასუხად მიიღებს:

*"Ah, then you will not need the antlers, for you have a crown," "*

ავტორი, ლომისადმი ტავის დამოკიდებულებას მორალში აღწერს და ამბობს:

*"It is not as easy to get the lion's share nowadays as it used to be."*

აშკარაა, რომ მეოცე საუკუნის ამერიკისთვის, ლომის პოზიცია ცოტათი გასაქლიკებელია და ლომი მელიები დაცინვის საგნადაც კი იქცნენ, თუმცა, ლომის მეფური პოზიცია მხოლოდ გვირგვინით და მანტიით შემოიფარგლება.

საყურადღებოა ჯ. თერბერის ქართველი თანამედროვის- ზვიად გამსახურდიას იგავი „ორი ლომის ამბავი,“ სადაც გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტს, რომ ავტორზე გავლენას ახდენს ქვეყნის რეალობა და თავისუფლებისთვის ბრძოლის თემა იკავებს უმთავრეს როლს. ამ იგავში ვხვდებით ორ ლომს, რომელთაგან ერთ-ერთი გალიაშია დამწყვდეული - ხოლო მეორე სხვისი „მონაა“. ავტორი პირველ ლომს თითქოს ნეიტრალური სიტყვებით ახასიათებს, მაგრამ *„სამაგალითოდ გაწვრთნილი ლომი“* ერთგვარ პროტესტს და ირონიას იწვევს მკითხველში.

„ერთი ყველაზე *სამაგალითოდ გაწვრთნილი ლომი* თავისი მოძმის გალიასთან შეჩერდა“. ავტორისეული ირონია ასევე შემდეგში შეიმჩნევა, როცა ლომს ასაუბრებს საკუთარი ღირებულებების შესახებ: *„წამოდი ჩვენსას ცირკში, ჩვენი ბატონი კარგად გაჭმევს, არაფერს მოგაკლებს, საზოგადოებაც დიდი გეყოლება.“*

ავტორი თავის სათქმელს ასევე მეორე ლომსაც ათქმევინებს, რითაც ის ისევ თანადროულ ადამიანს დასცინის და თავისუფლების მნიშვნელობაზე საუბრობს:

*„ეჰ, ძმობილო, რარიგ გადაუგვარებიხარ კაცს, თავისუფლება მონობაზე რომ გაგიცვლია. ისევ ის მირჩვენია, აქ ვიჯდე მოწყენით, ვიდრე კაცის მონა ვიყო და მისი მათრახის ტკაცუნზე ვიხტუნო და ვიჯამბაზო. აქ ის მაინც ვიცი, რომ არავის მონა ვარ*

და იმასაც ვერავინ ამიკრძალავს, ხანდახან დავიქუხო გულდარდიანმა და უდაბნოს სევდა განვიქარვო, შენ კი ხმის ამოღებაც აკრძალული გაქვს, რათა შენმა გრუხუნმა ცირკის მაყურებლები და მომსახურენი არ შეაშფოთოს. ჩვენი მოდგმა მაინც გადაშენების გზაზეა დამდგარი, მალე ასპარეზი ლომ-ვეფვთა ნაცვლად ვირთხებსა და ტურა-მელიებს დარჩებათ, ასე, რომ, აქაც მშვიდობიანად დავლევ ჩემს დღეებს".

ამ სიტყვებითვე ის ლომში საკუთარ პროტოტიპს გვიჩვენებს და ხაზს უსვამს ღირებულებებს. ზუსტად ისევე ასაუბრებს ლომს, რასაც ის თავის რეალურ ცხოვრებაში ფიქრობდა და აკეთებდა, მაგრამ იმასაც ვერ გამოვრიცხავთ, რომ გალიაში დამწყვდეულ ლომში შეიძლება საქართველო იყოს წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში, გალიას რუსეთი წარმოადგენს, მაცდურ ლომს კი ის ყველა ქვეყანა ან ადამიანი, რომელიც საქართველოს პოზიციების დათმობას სთავაზობს.

როგორც განხილული მაგალითებიდან ჩანს, ანტიკური დროიდან დღემდე **ლომი** სხვადასხვა არსებად გვევლინება, თუ ეზოპესთან ის წინდახედული არსებაა, სულხან-საბასთან ის მხოლოდ ცხოველურ ინსტინქტებზე მორგებული ქმნილებაა. თანამედროვე მწერლები კი ერთგვარად დასცინიან მათ. ჯ. თერბერი და ლობელი ზვიად გამსახურდიას ეპოქის ამერიკელი მწერლები არიან, თუმცა მათ მიერ დახასიათებული ლომი სრულიად განსხვავდება. მაშინ როცა ლობელი ლომს თავმომწონე არსებად ახასიათებს, იგავის ბოლოს კი მას დასცინის და დაამდაბლებს, ჯ. თერბერი მისდამი სიბრალულს გამოხატავს. ზვიად გამსახურდია ლომს ორი სახით წარმოგვიგენს, ერთი როგორც ბუნებით **მონა** ლომს, ხოლო მეორე, როგორც თავისუფლებისთვის მოყვარულს, სულით მებრძოლ არსებას, რომელიც შეიძლება თვითონ ავტორს ახასიათებდეს. ზვიად გამსახურდიას იგავი, ამ შემთხვევაში ცდილობს მებრძოლი ქართული სულის წარმოჩენას და აჩვენებს ქართველი კაცის ნამდვილ სახეს, ის არ აკარგვინებს ლომს თავის უმთავრეს მოთხოვნილებას, თავისუფლებას და მეფურ ბუნებას და მართალია, გალიაში, მაგრამ მაინც თავისუფალ არსებად ტოვებს. მას ასევე არ ავიწყდება თანადროული მდაბიო ადამიანების მოხსენება და მათაც **ლომებს** უწოდებს, თუმცა ეს წოდება, ტექსტშივე ჩანს, რომ ავტორის ირონიულ განზრახვას ემსახურება.

ასევე ჭარბობს ძაღლის სიმბოლიკა სხვადასხვა კულტურაში. ზოგადად, ძაღლი ერთგულების სიმბოლოდ მიიჩნევა, მაგრამ ამ სიმბოლოს კონოტაცია მაინც ვარირებს ეპოქების და კულტურების მიხედვით.

ეზოპე რამდენიმე იგავში იყენებს ძაღლის სიმბოლიკას. იგავ-არაკში "The Dog and the Oyster" ძაღლი სრულებითაც არ გვევლინება ერთგულ არსებად, ამ შემთხვევაში, ის ხარბი და ბრიყვი არსებაა, რომელსაც სიხარბის გამო რისკის გააზრებაც კი არ შეუძლია:

*'A DOG, used to eating eggs, saw an Oyster and, opening his mouth to its widest extent, swallowed it down with the utmost relish, supposing it to be an egg. Soon afterwards suffering great pain in his stomach, he said, "I deserve all this torment, for my folly in thinking that everything round must be an egg."*

***"They who act without sufficient thought, will often fall into unsuspected danger."*** (ის, ვინც იქცევა შესაბამისი დაფიქრების გარეშე, წააწყდება მოულოდნელ საფრთხეს)

იგავებში "The Dog in the Manger", "The Dog and the Shadow" ეზოპე ასევე დასცინის ძაღლის სიხარბეს: *'He cannot eat the hay himself, and yet refuses to allow those to eat who can'* ("The Dog in the Manger")

*"He immediately let go of his own, and fiercely attacked the other Dog to get his larger piece from him. He thus lost both: that which he grasped at in the water, because it was a shadow; and his own, because the stream swept it away."* ("The Dog and the Shadow")

აშკარაა, რომ მაშინდელ საბერძნეთში ძაღლს იყენებდნენ იმისთვის, რომ ხარბი და დაუდევარი ადამიანებისთვის ეჩვენებინათ თავიანთი ნაკლოვანებები.

ძაღლის თემატიკა ჭარბობს სულხან-საბასთანაც. იგავ-არაკში „ძაღლები და მგელი“ აშკარად ჩანს ერთგულების და გვერდით დგომის უნარი, თუმცა, სიხარბესაც ვერ უგულებელვყოფთ.

*„ერთი მძორი იღვა ადგილსა ერთსა. და შვიდი-რვა ძაღლნი ეხვივნენ, სჭამდენ მძორსა და იღრინებოდნენ და შულლობდენ და კბენდენ ერთმანერთსა. ნახეს მგელი მომავალი. მათი შულლი, ღრენა და კბენა გაუშვეს და ყოველთა*

ერთად შეუტივეს და მგელი გააძეს. მოიქცნენ და მასვე მძორზე შულლი დაიწყეს. რამდენჯერ მხეცს ნახევდენ, მას ერთპირ გაუხდიან და მერმე აგრევე შულლობდიან.“

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში სულხან-საბა ქართველი ხალხის ნაკლოვანების გამოხატვას ცდილობს ამ შემთხვევაში. ქართველობა მტერს ერთად შეკრული უნდა ებრძოდეს და ქვეყნის შიგნით, ქართველები ძალიან ხშირად ეკამათებიან და მტრობენ ერთმანეთს.

რუსულ კულტურაშიც, ი. კრილოვის იგავ-არაკში „Собака“, ძალი ხარბი არსებაა, რომელიც ვერ დაიშლის ქურდობას.

*„Иная бы таким житьём*

*Была довольна и счастлива*

*И не подумала бы красть!*

*Но уж у ней была такая страсть:*

*Что из мясного ни достанет,*

*В минуту стянет.”*

ჯ. თერბერთან კი ორი ტიპის ძალი გვევლინება, სადაც სიხარბე სრულებით არ ჭარბობს. ამ შემთხვევაში, ძალები პოლიციის თანამშრომლებად გვევლინებიან და ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს: თანამედროვე ამერიკულ რეალობაში ძალები ხშირად გვევლინებიან პოლიციის თანამშრომლებად.

*“A German shepherd named Plunger and a plainclothes bloodhound named Plod. Plod was a slow, methodical sleuth, but his uniformed partner was restless and impatient.”*

ჯ. თერბერი ამ იგავში ორი სხვადასხვა ტიპის ადამიანს გვიხატავს, რაც ძალიან კარგად ჩანს მათი დიალოგებიდან:

*“Repose is for the buried,” said the police dog. “I even chase cats in my dreams.”*

*“I don't,” said the bloodhound. “Out of scent, out of mind.”*

*As they went along, each in his own way, through the moonlessness, they exchanged further observations on life.*

*"He who hunts and turns away may live to hunt another day," commented Plod.*

*"Runs away, you mean," sneered Plunger.*

*"I never run," said the bloodhound. "It's no good trailing a cat when you're out of breath, especially if the cat isn't. I figured that out myself."*

აქ ჯ. თერბერი ცდილობს ორი ტიპის ძალღი დაგვიხატოს: „ინსტინქტებზე „მორგებული“ და „გამოცდილი“. საგულისხმოა, რომ ძალღი ამ შემთხვევაში სრულებით სხვა სახით გვევლინება და სრულებითაც არ ჰგავს რუს, ბერძენ და ქართველ გმირებს.

საინტერესოა ასევე **ბაყაყის** სიმბოლოც. ეზოპე თავის იგავში "The Frog and the Ox" ბაყაყის ზედმეტ თავდაჯერებულობას და სულელურ ქედმაღლობას დასცინის, მაშინ, როცა მას ათქმევენებს ხარის შესახებ:

*"That was only Farmer White's Ox. It isn't so big either; he may be a little bit taller than I, but I could easily make myself quite as broad; just you see. ( ეს უბრალოდ ფერმერ უაითის ხარი იყო და არც ისე დიდია. ის, ჩემზე ცოტათი უფრო მაღალი შეიძლება იყოს, მაგრამ მეც შემიძლია გავხდე ისეთი განიერი როგორც ის. შემხედე.)*

საბოლოოდ კი, ბაყაყს ეს ქედმაღლობა და თავდაჯერებულობა დაღუპავს:

*"So the Frog took a deep breath, and blew and blew and blew, and swelled and swelled and swelled. And then he said: "I'm sure the Ox is not as big as—" But at this moment he burst."*

ეზოპე მორალში აჩვენებს მის დამოკიდებულებას მსგავსი ტიპის ადამიანისადმი: "Self-Conceit may lead to self-destruction"( პატივოცვარეობამ, შეიძლება მიგვიყვანოს თვითგანადგურებამდე)

ეზოპეს იგავში "The Frogs Who Wished For a King", ბაყაყი სულელ არსებად გამოჰყავს:

*“Jupiter saw what simple and foolish creatures they were, but to keep them quiet and make them think they had a king he threw down a huge log, which fell into the water with a great splash.”*

ბაყაყი ასევე ჩნდება მეთვრამეტე საუკუნის ინგლისში რ. დოდსლის იგავში: *“The Boys and The Frogs”*, სადაც ბაყაყი სრულებითაც არ წარმოადგენს სულელი ან ქედმაღალი ადამიანის ანალოგს. პირიქით, ავტორს ისინი ეცოდება და კიდევ აღნიშნავს:

*“On the margin of a large lake, which was inhabited by a great number of Frogs, a company of Boys happened to be at play. The game they were playing was ducks and drakes; and whole vollies of stones were thrown into the water, to the great annoyance and danger of the poor terrified Frogs.” At length one of the boldest Frogs lifted up his head above the surface of the lake.”*

ამ შემთხვევაში ისინი მშვენივრად ახერხებენ საკუთარი თავის დაცვას, მაგრამ თან ისე, რომ ავტორი აჩვენებს ბაყაყის ერთგვარ სიბრძნეს, როცა ათქმევინებს:

*“Ah! dear children,” said he, “why will you learn so soon the cruel habits of the human race? Consider, I beseech you, that though this may be sport for you, it is death to us.”*

ამკარაა, რომ ამ შემთხვევაში რ. დოდსლი დასცინის არა ბაყაყებს, არამედ ადამიანებს სიტყვებით *“cruel habits of the human race”* აჩვენებს მათ სასტიკ ჩვევებს.

ზვიად გამსახურდია თავის იგავებში „არწივი და ბაყაყები“ ყურადღებას ამახვილებს ისეთი ტიპის ადამიანზე, რომელიც, თავისი სიმცირით სხვის სიდიადეს ვერ ხედავს. ასევე ის ბაყაყებს მშიშარა არსებებად ახასიათებს: *„ერთ წუმბეში ბაყაყები ამბობდნენ, არასოდეს გვინახავსო არწივის ფრენა. ამის მიზეზი შემდეგი იყო: რამდენჯერაც დააპირა არწივმა აფრენა, ისეთი შხულილი შექმნეს მისმა ფრთებმა, რომ ელდანაცემი ბაყაყები წყალქვეშ გაუჩინარდნენ. შემდეგ კი, როდესაც ისინი თავს ამოჰყოფდნენ წყლიდან, არწივი უკვე ღრუბლებში იყო. ამის გამო ბაყაყები ამტკიცებდნენ, არწივმა საერთოდ არ იცისო ფრენა.“*



საინტერესოა ბაყაყების სახე ამ შემთხვევაში. მათი თვისებებით ზ. გამსახურდია ცდილობს საზოგადოების უმეტესობის თვისებები აჩვენოს. ისინი, ვინც არწივის აფრენის დროს, შიშით ვერც კი ჩნდებოდნენ (*ელდანაცემი ბაყაყები წყალქვეშ გაუჩინარდნენ.*) ხოლო შემდეგ ამტკიცებდნენ, რომ არწივს ფრენა სულაც არ შეუძლია. არწივის სახით კი, მას ძლიერი ადამიანი გამოჰყავს, რომლის ფრთების შრიალი შხუილის ხმას გამოსცემს და მალლა ღრუბლებში მიფრინავს. ის ძლიერია, სიმაღლისკენ მიისწრაფვის, მაგრამ მის ზურგს უკან მაინც არიან ვიღაცები, რომლებიც მას თითქოს დასცინიან საკუთარი სიმცირის და ეგოიზმის გამო.

საინტერესოა, როგორი ტიპის თემატიკა ჭარბობს მეოცე საუკუნის რუსულ იგავებში: პოეტ-სატირიკოსის ალექსეი მალინის იგავ-არაკი „დათვი და ანკეტა“ აგებულია ხასიათის, მისი წახნაგების და მდგომარეობების მრავალნაირობაზე. მისი გმირისათვის ადამიანის საქმიანი თვისებების ერთადერთი შემფასებელი არის ანკეტა. ცოცხალი ადამიანები, სამსახურში არსებობენ მხოლოდ მათი ანკეტური მონაცემების პრიზმაში. იგავ-არაკის დასაწყისში დათვი („კაბინეტში გამოკეტილი“-затворник кабинетный), ეცნობა ანკეტას და მისი მონაცემების საფუძველზე ის ანკეტის შემომტანს მიიჩნევს ლომად.

*Ноги четыре...*

*Уха ; два*

*Шерсть тона светлого,*

*длинней всего на холке Имеет хвост,*

*украшенный метелкой*

*Способен оглушительно реветь*

*Так это ж Лев!*

*разинул рот Медведь Вот это да!*

*Находка; лучше нету!*

იგავ-არაკი მთავრდება იმით, რომ დათვის წინაშე აღმოჩნდება ვირი. ასე ავლენს ა. მალინი წინააღმდეგობას ცხოვრებისეულ მოთხოვნებსა და ანკეტისადმი ბრმა რწმენას შორის. იგავ-არაკი გვასწავლის ჩვენ, რომ ადამიანები უნდა შევაფასოთ მათი ნამდვილი ღირსებებისა და ნაკლოვანებების მიხედვით და გვახსენებს, რომ ფორმალიზმი დიდი ბოროტებაა და ა.შ. მხოლოდ ამაში, რომ ყოფილიყო იგავ-არაკის „დათვი და ანკეტის“ შინაარსი ის არაფრით არ იქნებოდა საქები: ამგვარი ჭეშმარიტება სამართლიანია, თანამედროვე და ღირსეულიც, მაგრამ ისინი ყველასათვის ნაცნობია, მათი უბრალოდ განმეორება ნაკლებად ნაყოფიერია, მაგრამ საქმეც ისაა, რომ მალინის დათვი არ არის იზოლირებული თვისების მატარებელი, არ განასახიერებს ანკეტის მოყვარულს, არამედ ეს არის ფართოდ გავრცელებული ხასიათი ადამიანისა, ამიტომ იგავ-არაკს არ აღვიქვამთ, როგორც თეზისზე დატანებულ ილუსტრაციას.

ყველა ზემოთ ხსენებული განსხვავება თუ მსგავსება ხაზს უსვამს სხვადასხვა ხალხის კულტურების განსხვავებას. იგავ-არაკების შედარებისას იშლება ადამიანთა კულტურის, მენტალობის, ცხოვრებაზე შეხედულების, მოქმედების, ხასიათის, სამყაროს შემეცნების თავისებურებები და მოჩანს მათი ცხოვრებისეული კრედო, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, ჩვევები, რომლებიც თამაშობს ჩვენს ცხოვრებაში დიდ როლს და ამიტომაც ჩვენ მივეკუთვნებით ამა თუ იმ კულტურასა და ეთნოსს.

## 2.4 იგავ-არაკების ლექსიკური თავისებურებანი

*In fables, all things hold discourse,*

*Then words, no doubt, must talk of course.*

*(Ay and No: The Fable) 1726*

იგავარაკულ ტექსტებში მსოფლიოს ენის სურათის ნაციონალური თავისებურებები გრამატიკის და ლექსიკის დონეზე ვლინდება. ისინი ფართოდ გამოიყენება იგავ-არაკების თარგმანებში და ატარებენ ინფორმაციას ეთნიკური მსოფლმხედველობის სპეციფიკის შესახებ.

მართალია, იგავარაკული ჟანრის კვლევის მთავარი პრობლემა არის მისი მრავალფეროვანი სიმბოლიკის კვლევა, მაგრამ აუცილებელია, იმის შესწავლა, თუ რა ლექსიკურ ერთეულებს იყენებს სხვადასხვა ავტორი მის გამოსახატავად. აუცილებელია, ყურადღება გამახვილდეს იმაზე, თუ როგორ ამბობს ესა თუ ის ავტორი თავის სათქმელს და როგორ იცვლება მისი თხრობის სტილი საუკუნეებთან ერთად. კულტურული ინფორმაციის ირიბად გადმოცემის საშუალებები შეიცავს, პირველ რიგში ფრაზეოლოგიზმებს, რაც აიხსნება იგავ-არაკების ზეპირსიტყვიერებასთან კავშირით. ნაწარმოებების ანალიზის დროს საჭიროა მივაქციოთ ყურადღება ავტორის მიერ ტრანსფორმირებულ ფრაზეოლოგიზმებს. კულტურულ ინფორმაციას იგავ-არაკში შეიძლება გადმოსცემდეს მეტაფორები და სიმბოლოები.

იგავ-არაკში ასევე უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მორალი. „მორალი განსაკუთრებული კომპოზიციური ერთეულია, ის აკონტროლებს, ერთი მხრივ, იგავის შინაარსს, მეორე მხრივ, აღქმის, წაკითხვის, გააზრების პროცესს. მორალის გარეშე იგავი კარგავს მიმზიდველობას, ეგზოტიკურობას, ყოველივე იმას, რისთვისაც ეს ჟანრი არსებობს“ (ამირხანაშვილი, 2012:243). ჩვენ უკვე ბევრი ვისაუბრეთ ეზოპესეულ სიმბოლიკაზე და მის უმნიშვნელოვანეს როლზე იგავარაკული ჟანრის განვითარებაში. ეზოპეს იგავები ყოველთვის მთავრდება მორალით, რომელიც,

როგორც წესი, შეგონებას და ანდაზას წააგავს, რაც დამახასიათებელია ზოგადად იგავისთვის. ასე მაგალითად:

*“Wit has always an answer ready” / (The Ass's Brains)*

*“Revenge will hurt the avenger” / (The Bald Man and the Fly )*

*“Precious things are for those that can prize them.” (The Cock and the Pearl)*

*“They who act without sufficient thought, will often fall into unsuspected danger. ” / (The Dog and the Oyster)*

თუ დავაკვირდებით, ეზოპესეული მორალი აბსოლუტურად ცალკე, ყოველგვარი კონტექსტის გარეშე იარსებებდა და თავის დიდაქტიკურ როლს შეასრულებდა. ის, შესაძლებელია სრულიად მოშორდეს კონტექსტს და დამოუკიდებლად იარსებოს ანდაზის სახით.

შეუძლებელია, არ აღვნიშნოთ ეზოპე უნიკალურობა, რომ მის მიერ განხილული ძირითადი საკითხები აქტუალურია დღესაც და თანამედროვე სამყაროში შესაძლებელია სრულებით მოერგოს ყოველდღიურ სიტუაციას. მის მიერ გატარებული იდეები შესაძლებელია მივიჩნიოთ მარადსაკაცობრიო თემებად, მისი იგავების მორალი ერგება ნებისმიერ კულტურას და არ ქმნის სირთულეს ამ ადამიანებს შორის არსებულ დისკურსში. ეს ასე თამამად მხოლოდ მორალის შესახებ შეიძლება ვამტკიცოთ.

*“In quarreling about the shadow we often lose the substance.” / (The Ass and His Shadow )*

*“False confidence often leads into danger. ” / (The Ass, the Cock, and the Lion)*

*“He who is once deceived is doubly cautious” (The Cat and the Mice )*

მიუხედავად იმისა, რომ ეზოპეს იგავ-არაკების გავლენა მაინც იგრძნობა ბევრ მეიგავეზე, არსებობს უამრავი ძირეული სხვაობა. ამჯერად სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“ უნდა განვიხილოთ. როგორც ივანე ამირხანაშვილი აღნიშნავს: „სულხან-საბას იგავების სტილი არ არის ისეთი მშრალი, როგორც ეზოპეს იგავებს ახასიათებს, მაგრამ სქემა მასთანაც დომინანტურ როლს ასრულებს. სქემატურობა იგავის ის შინაგანი თვისებაა, საიდანაც მომდინარეობს თხრობის ლაკონიური, ეკონომიური სტილი. სულხან-საბა ორბელიანის იგავ-

არაკებში კულტივირებულია იუმორი ხალხური აქცენტით. მისი საფუძველია უბრალოება, უშუალოება და გონებამახვილობა. ალალ, უბოროტო ხუმრობაში ერთიანდება ფანტაზია და გონება, რაც, თავის მხრივ, წარმოაჩენს ავტორის ესთეტიკურ და ჰუმანისტურ იდეალებს. „სიბრძნე სიცრუისა“ გამოირჩევა დახვეწილი იუმორით, რომელშიც დინამიკური შინაარსი ერწყმის სიტუაციურ ფორმას. მაგალითად, „უმეცარ დალაქში“ ისე წაეწყობა ერთმანეთს ხუმრობები, რომ თხრობა კარნავალურ იუმორში გადაიზრდება. მოულოდნელობისა და სიმკვეთრის ეფექტი სულხან-საბას პოეტიკის ერთი დეტალია, რომელიც ხშირ შემთხვევაში ირონიის ფორმით არის გადმოცემული. „ყარყატა სამართალში“ გამართული ჯუმბერისა და რუქას დიალოგი, უფრო სწორად, რუქას ფრაზები და ჯუმბერის რეპლიკები - „მტერობა სამთა ჰმართებს... სამთა ჰმართებენ სიტკბონი... სამნი შვრებიან ცუდად... სამთა ჰმართებენ ენათა მრავლობა... სამთა ჰმართებენ გარდახვეწა“ და ა.შ. - ირონიის კლასიკურ გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს. ირონია უშუალო კავშირშია დიალოგის თემასთან“ (ამირხანაშვილი 2012:246).

„სიბრძნე სიცრუისა“ აგებულია დიალოგებზე, ამიტომაც უნდა დავუშვათ, რომ მართებულად მიგვაჩნია მოსაზრება, რომ „იგი ახლოსაა სქოლასტიკურ დიალოგთან მზა თვალსაზრისების დაპირისპირებით, მაგრამ თავისუფალია სქოლასტიკური აზროვნების ავტორიტარიზმისაგან... კამათის პროცესში არ ხდება რომელიმე ერთი საზრისის მოხსნა, გაუქმება მეორის სასარგებლოდ. ამ შტრიხით ეს „დიალოგები“ ჩამოჰგავს რენესანსულ დიალოგს, სადაც, კამათის მიუხედავად, გატარებულია განსხვავებულ პოზიციათა თანაარსებობის პრინციპი“ (დოიაშვილი 2009:730)

თუ სულხან-საბა თავის საუკეთესო იგავებში გამოხატვის სისრულესა და ეგრეთ წოდებულ სფერულ სრულყოფილებას აღწევს, ეს დიდწილად ენის დამსახურებაა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ „მისი იგავ-არაკები წმინდა ტექსტუალური სამყაროა, აქ მხოლოდ ენა და ნარატივი ბატონობს“ (ხარბედია 2009:34). მისი იგავ-არაკების ენა ლაკონიურია, მაგრამ უაღრესად ლოგიკური და ზუსტი. ის თავის სათქმელს ყოველთვის ზუსტად ამბობს და მკითხველს აძლევს საშუალებას, ლოგიკური დასკვნები გააკეთოს. სამეტყველო სისტემაში მთავარ როლს სინტაქსი ასრულებს. ამბის თხრობა მარტივი გავრცობილი ან რთული თანწყობილი წინადადებით იწყება

და პირველი წინადადება ხდება, ასე ვთქვათ, კამერტონი, რომლის ხმაზე ეწყობა დანარჩენი ტექსტი.) ასე, მაგალითად: „*იყო ერთი მეფე ხორასანსა დიდებული, კეთილ-გონიერი, უხვი და მოწყალე*“ („*მეფე ხორასანისა*“).

იგავის პირველივე წინადადება მიგვითითებს იმაზე, თუ როგორ განვითარდება შემდეგში მთავარი სიუჟეტი და მართლაც, მთელ იგავში საუბარია მეფის კეთილგონიერებაზე, უხვ ბუნებასა და მოწყალეობაზე.

„*კაცი ვინმე იყო ყოვლისა ბოროტისა მოქმედი და დიდად მლოცავი. რა ბოროტისაგან მოიცალის, დაიწყის ლოცვა და ტირილი*“ („*ჯოჯობეთში დაუტევნელი*“).

ზუსტად ისევე ამ იგავის პირველივე წინადადება მიუთითებს მთელი იგავის შინაარსსა და მასში განვითარებულ სიუჟეტზე.

სულხან-საბას სამეტყველო ტექსტის სტრუქტურაში სამი ენობრივი პლასტი გადაიკვეთება: სალიტერატურო, სალაპარაკო, არქაულ-სტილიზებული. სალიტერატურო ენა თხრობის მთავარი ხაზის განმტკიცებას ემსახურება. ეს არის ნეიტრალური, შუალედური ზოლი, რომელიც შეიძლება ზოგჯერ სხვა პლასტმა გადაკვეთოს, მაგრამ ფორმას არ კარგავს. იგავის თავსა და ბოლოში გამოკვეთილია მშვიდი ტონალობა. მაგალითად:

„*კაცი ერთი იყო, ზეგანთა ალაგთა მყოფი, რომელსა წალკოტი არა ენახა. ჩამოვიდა ბართა ადგილთა, წალკოტი ნახა. შევიდა შიგან და ყოველივე ნახა: ხეხილი, მწვანვილი. დია მოეწონა და ღმერთს მადლობა მისცა*“ („*მთიული და კაკლის ხე*“).

„*მამისა მამა ჩემი, მასმია, ინდოთ მეფისა ხუთთა ვაზირთა უხუცესი ყოფილა. იგი უხუცესი ვაზირი მეფესა დიდად უყვარდა, თავსაცა თვისსა ერჩივნა*“ („*ინდოთ მეფე და ვაზირნი*“).

ბოლნისისა მთისა ძირსა, გზის გადასავალსა, ერთი კარგი ფუნდუკი აეშენათ, და მუნ ერთი მეფუნდუკე იდგა. ასეთი კაცი იყო, რომე, რაც მგზავრი გაიარდა, მას ღამეს სამადლოდ ასვის, აჭამის, ცხენის ქერი და ბზე მისცის, ფასი არ აიღის, და მეორეს დღეს გაისტუმრის („*დიდვაჭარი და მეფუნდუკე*“).

სალაპარაკო ენა, ცხადია, დიალოგებში გამოიყენება. სინტაქსურად მარტივ წინადადებებს ახასიათებს სიზუსტე, აზრის სიმკვეთრე და, საჭიროებისამებრ, სიტყვის ბოლოში ჭარბობს ნაწილაკი „ო“

„ვაზირმან ჰკითხა: \_ კაცმაწყინარო, მეფის გოშია რასა იქმსო? \_

მან უთხრა: \_ მეფის თეთრი აქლემი მოკვდა, იმისი მძორი ჭამა და მით მოკვდაო.

\_ აქლემი რამ მოკლაო? \_

მან უთხრა: \_ მეფის დედა ამ სოფლით გარდაიცვალა და იგი ავკიდეთ და მან მოკლაო. \_ მეფეს გულთა ცეცხლი მოედვა და ჰკითხა: \_ იგი რამ მოკლაო, რა დაესენაო?..(მეფე და ავსიტყვა კაცი)

კაცი იგი ნამდიდრევი შეუდგა კვალსა ძელისასა: ვისი ბედი იყოს, ვიცნაო.

მოვიდა, ნახა კარსა ზედა ხუროსასა.

ჰკითხა: ვინ ხარო?

მან უთხრა: მე ნაზარი ხურო ვარო.

უთხრა ხუროს: აიღე ერთი ძელი და შინა სახლსა შეიღეო.

რა შეიღეს, უთხრა: ეჩო ჰკარ ხესა ამას, რა ძესო! („ძუნწი ვაჭარი“)

არქაულ-სტილიზებული ენა გამოიყენება იმისათვის, რათა შეიქმნას ამაღლებულობის განცდა და კლასიციტური სტილის იმიტაცია:

„იყო ხელმწიფე ერთი, რომლისა საქმენი არავისგან მოიხსენებიან, რომელსა სიკეთისა და სიქველისაგან ეგოდენი მოწყალებანი შეეკრიბნა გულსა თვისსა, თავად არ აღირაცხოდა...“

„იყო დიდვაჭარი ერთი, რომელი ღმერთსა არა ესვიდა“ („უბედური დიდვაჭარი“) „მას ჟამსა მპარავნი აღდგეს, რომე აღარ დაუტევეს სახლი, გინა საფლავი დაუთხრელი. მოიწივნეს სადაც იყო საფლავი და კიდობანი იგი, დათხარეს, პოვეს და გამოიღეს. ნახეს მუნ - შიგ კაცი ჯდა და განუტევეს“ („მეფე ხორასნისა“).

ავტორისეული სტილი, ერთმანეთთან შეაზავოს სამივე ტიპის მეტყველება, სწორედ ხდის მას უნიკალურს და „სიბრძნე-სიცრუისას“ ქართული ლიტერატურის შედეგს. აქვე, უნდა დავეთანხმოთ ივანე ამირხანაშვილს, რომელიც აღნიშნავს, რომ „სალიტერატურო, სალაპარაკო და არქაულ-სტილიზებული ენის ნაზავი ქმნის ავტორის ინდივიდუალურ ხელწერას, სტილს, რომელსაც ემყარება ენის მთლიანობა როგორც ნაწარმოების გაგების მთავარი პირობა“ (ამირხანაშვილი, 2012:249).

სულხან-საბა საუბრის დროს ასევე დომინანტურად იყენებს ზედსართავ სახელებს და ერთსა და იმავე პერსონაჟს რამდენიმე ზედსართავი სახელით ამკობს, რაც მის ენა უფრო მდიდარს და მრავალფეროვანს ხდის:

*„იყო ერთი მეფე სახელოვანი, მოწყალე და ძლიერი“ („აქიმი და ორი სნეული“);*

*„იყო ერთი მეფე მოსამართლე, მოწყალე და მდიდარი ურიცხვი“ („მეფე და მისი შვილი“);*

*„იყო ბურსას დიდებული ერთი, დიდვაჭარი, მდიდარი, ღვთისმოყვარე, ბედნიერი („დიდვაჭარი და ტრედი“);*

*„სამნი ძმანი იყვნენ. ორნი ბოროტნი და ხარბნი და ერთი მართალი და ღვთისმოსავი. გაიყარნენ. ავნი ძმანი ერთგან დადგნენ და კარგი ძმა ცალკერძ გააძეს“ („სამნი ძმანი“).*

ასევე ავტორი ხშირად იყენებს ზედსართავი სახელების აღმატებით ფორმებს, რაც აძლიერებს ეფექტს და საშუალებას აძლევს მკითხველს, უკეთესად ჩასწვდეს ავტორისეულ ინტენციას.

*„მას დღესა ნადიმი გარდაიხადა, აფუცა ვაზირთა მისთა, თუცა რომელთა ასმოდეს, ანუ იცოდეს მისი მსგავსი მდიდარი და უუხვესი მეფე“ („მეფე ხორასანისა“)*

*„მამისა მამა ჩემი, მასმია, ინდოთ მეფისა ხუთთა ვაზირთა უუხვესი ყოფილა“ („ინდოთ მეფე და ვაზირნი“).*

*„ერთმან მეფემან უბრძანა თვისსა ვაზირსა: წადი, ასეთი საჭმელი მომიტანეო, რომე ხმელზე მის უტკბესი არა იყოსო და არცა ზღვათა შინა იპოვებოდესო!“*



წავიდა ვაზირი, ენა უყიდა, მოუტანა, შეწვა, აჭამა და მოეწონა. უბრძანა კიდევ: წადი, ასეთი რამ მომიტანე, ქვეყანაზე მისი უმწარესი არ იპოვებოდესო!“ („უტკბესი და უმწარესი“).

სულხან-საბა ასევე ხშირად მიმართავს სიტყვების სხვადასხვა კონოტაციური მნიშვნელობით გამოხატვის ხერხსაც. ავიღოთ „მოდღარი მელი“. ტექსტის პირველივე ფრაზა ეფექტური სიგნალია- „ერთი მელი დაცანცარებდა.“ იგი თავისთავში იტევს, ერთი მხრივ, თხრობის დინამიზმს, მეორე მხრივ, აფიქსირებს ავტორისეულ ტონს, რომელშიც თავშეკავებული ირონია გამოსჭვივის. ირონია თავიდან ბოლომდე ფონად გაჰყვება იგავ-არაკს და ეს არის მოტივი, თხრობის ძირითადი ელემენტი, ანუ მათრგანიზებული საწყისი.

„დაცანცარებდა“ კონოტაციური სიტყვაა. „აქა-იქ სლვა დაუდგრომელი“, - ასე განმარტავს ავტორი თავის ლექსიკონში. „ცანცარი“ მარტო სიარულს არ აღნიშნავს, ინფორმაციასაც იძლევა იმ სუბიექტის შესახებ, ვინც „ცანცარებს“. ეს არის არასერიოზული, უპრინციპო სვლა. ირონია ამის წარმოჩენასა და მოტივირებას ემსახურება.

საგულისხმოა ისიც, რომ როცა სამღებროს ქვევრში შეიღება, მას შემდეგ დაიწყო სიარული „მელა შავად შეღებულ შეიქმნა. დაიწყო სიარული“. უმიზნო ცანცარიდან სიარულზე გადავიდა. მიზანი გაუჩნდა. აქ ავტორის ტონი რბილდება, მაგრამ მიზანდასახულობას არ კარგავს, პირიქით, ემზადება შემდგომი ეტაპისათვის, რომელიც მამალთან შეხვედრით იწყება. აქ მელი წარმოთქვამს საკვანძო ფრაზას:

*„ჩემნი დღენი ცოდვის ქმნით დავაღამე, ახლა ჭკუა მოვიხმარე, ეს სოფელი გავუშვი, ბერად შევდეგ, იერუსალიმს მინდა წავიდე.“*

ფრაზის მნიშვნელობა უფრო გამოიკვეთება, როცა მამალს, ძერასა და ოფოფს სოროში შეიყვანს და ეტყვის, სამოდღრო სახლიაო. ამ სიტყვებთან ერთად ირონიული აქცენტი თავის ზედა ზღვარზე „იყინება“ და ადგილს უთმობს კომიკურ ეფექტებს, რომლებიც კასკადად ჩაივლის ჩვენ თვალწინ მამლისგან და ძერასგან აღსარების მიღების დროს. ირონიული ტონი ოფოფის ეპიზოდში „ლღვება“, მმაფრდება და გადაიქცევა გამანადგურებელ მახვილად, რომელსაც მელიასავე

სიტყვები აგვირგვინებს: „რასაც მოძღვარს აღსარება სამოწმოდ გაუხდია, უარესიმც დაემართებაო!“

საგულისხმოა, სულხან-საბას იგავ-არაკების დამოკიდებულება „ქალის“ თემატიკასთან. მის იგავებში, ის სიტყვა „ქალს“ „დიაცს“ და „მხევალს“ იყენებს.

თუ განმარტებით ლექსიკონში გადავხედავთ განმარტებებს ვნახავთ, რომ „**დიაცი**“ არის დედაკაცი ქალი, „**მხევალი**“ - ნაყიდი ან ნამზითვი ქალი, მაგრამ სულხან-საბასთან გადაიკვეთება გამოყენების სხვადასხვა სფერო:

„შენ ყოველსა მართალსა იტყვი, მაგრამ ოდეს მამაკაცსა სამამაკაცი დაეკვეთოს, **დიაცის ბუნება მიეცემის**“ („მეფე ხორასნისა“).

„შენი წესია, თვით არა ძალგიც და თუცა **დიაცი** დაინებო, სხვათა მიაყოლებ.“  
(„უბედური დიდვაჭარი“)

„პირველად: **მხევლებრივ მორცხვობა**“ („მეფე ხორასნისა“)

„თუცა ჭაბუკი ხარ, სადა არს ძლიერება მაჯათა? და თუცა ქალი ხარ, შვენიერთა ძუძუთა შემხვიე“ („უბედური დიდვაჭარი“).

სულხან-საბას იგავებში ასევე მრავლად წავაწყდებით ქართული კულტურისთვის დამახასიათებელ სიტყვებს, რომლებიც გადმოგვცემენ რეალიებს, რითაც იგავ-არაკებს კულტურული ელფერი მიეცემათ. კერძოდ:

სასმელთან დაკავშირებული ლექსიკა:

„**საწდე**“ („მეფე ხორასნისა“)-სალვინე;

„**მწდე**“ („მეფე და მხატვარი“)-ღვინის დამსხმელი;

საყოფაცხოვრებო ლექსიკა:

„**ტაბლა**“ („უნაღვლოთა მძებნელი“)-დაბალი მაგიდა;

„**თალარი**“ („უნაღვლოთა მძებნელი“)- ფანჩატური, ტალავერი;

„**საგებელი**“ („მეფე ხორასნისა“)-საწოლი;

„აკვანი“ („ძუნწი ვაჭარი“)- სარწევი საწოლი ხისა ჩვილი ბავშვისთვის;

„ცხრილი“ („ცხრილიანი ქალი“)-თხელი ფიცრის რკალზე ამოკრული ტკეჩის ბადურა ხორბლეულის გასაწმენდად;

„კერა“ („ხალიფა და არაბი“)-ის ადგილი მიწის იატაკისა, სადაც ცეცხლს ანთებენ

ფლორონიმი აქ მეტაფორულად გამოიყენება: **სუმბული** („მეფე ხორასნისა“)- ბოლქვიანი მცენარეა შროშანისებრთა ოჯახისა, თუმცა სულხან-საბა ამ სიტყვას **წვერ-ულვაშის** მნიშვნელობით იყენებს.

**ადამიანის გარეგნობასთან და ტანსაცმელთან დაკავშირებული ლექსიკა:**  
„დამესა ერთსა ეჩვენა მეფესა ჭაბუკი ვინმე შვენიერი, მსგავსი ლომისა, **მხნე**,  
**ახოვანი**, **პირმწყაზარი**, **ტანსარო**.

„ნიფხავი“ („უბედური დიდვაჭარი“)-ქვედა საცვალი

„ლეჩაქი“ („ქოსა და ყადი“)-ქართული თავსაბურავი ქალისა, აბრეშუმის წმინდა ბადისებრი ქსოვილი.

**პროფესიული ლექსიკა:**

„ხურო“ („ძუნწი ვაჭარი“)-ხელოსანი, რომელიც შენობის ხის ნაწილებს აკეთებს;

„დალაქი“ („ქოსა და ყადი“)-თმისა და წვერის გამპარსავი ხელოსანი;

„დარბაზთუხუცესი“ („მეხილე და მწყემსი“)-მეფის სასახლის უფროსი;

„მესტუმრეთუხუცესი“ („მეხილე და მწყემსი“)-მესტუმრეთა უფროსი.

სულხან-საბას იგავების სტილი არ არის ისეთი მშრალი, როგორც ეზოპეს იგავებს ახასიათებს, მაგრამ სქემა მასთანაც დომინანტურ როლს ასრულებს. სქემატურობა იგავის ის შინაგანი თვისებაა, საიდანაც მომდინარეობს თხრობის ლაკონიური, ეკონომიური სტილი. სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკებში კულტივირებულია იუმორი ხალხური აქცენტით. მისი საფუძველია უბრალოება, უშუალოება და გონებამახვილობა. ალალ, უბოროტო ხუმრობაში ერთიანდება ფანტაზია და გონება, რაც, თავის მხრივ, წარმოაჩენს ავტორის ესთეტიკურ და

ჰუმანისტურ იდეალებს. „სიბრძნე სიცრუისა“ გამოირჩევა დახვეწილი იუმორით, რომელშიც დინამიკური შინაარსი ერწყმის სიტუაციურ ფორმას. მაგალითად, „უმეცარ დალაქში“ იუმორი კარნავალურია. მოულოდნელობისა და სიმკვეთრის ეფექტი სულხან-საბას პოეტიკის ერთი დეტალია, რომელიც ხშირ შემთხვევაში ირონიის ფორმით არის გადმოცემული. „ყარყატა სამართალში“ გამართული ჯუმბერისა და რუქას დიალოგი, უფრო სწორად, რუქას ფრაზები და ჯუმბერის რეპლიკები - „მტერობა სამთა ჰმართებს... სამთა ჰმართებენ სიტკბონი... სამნი შვრებიან ცუდად... სამთა ჰმართებენ ენათა მრავლობა... სამთა ჰმართებენ გარდახვეწა“ და ა.შ. ირონიის კლასიკურ გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს (ამირხანაშვილი, 2012:235-236).

„სიბრძნე სიცრუისაში“ ავტორი ანტითეზისთვის ანტონიმებს იყენებს. ეს ჩანს სათაურიდანვე: სიბრძნე - სიცრუე, სიკეთე - ბოროტება, სიყვარული - სიძულვილი, ერთგულება - დალატი, გონიერება - უგუნურობა, სიბრიყვე - მოხერხებულობა, სიძუნწე - გულუბნობა, ამპარტავნობა - თავმდაბლობა, შური - უშურველობა, ტირილი - სიცილი და ა.შ. ცნებათა დიალექტიკურ დაპირისპირებაში იკვეთება დიდაქტიკური თვალსაზრისი. ამას შეიძლება მხატვრული დუალიზმი ეწოდოს. საყურადღებოა, რომ ეს დუალიზმი სულხან-საბას მიერ შერჩეულ ალეგორიულ სახეებშიც ვლინდება, თუმცადა ამ შემთხვევაში იგი მიიღწევა არა ანტონიმების საშუალებით, არამედ ალეგორიით და თვისებების შეპირისპირებით. მაგალითად: „აქლემი და ვირი“, „კუ და მორიელი“ „ვირი და მგელი“, „ქორი და იხვი“, „იხვი და მყვარი“, „მელი და წერო“. დუალიზმი ადამიანთა სახეებშიც არის პერსონიფიცირებული: „მეფე და მხატვარი“, „დუკა და აზნაური“ „საჭურისი და მონა“, „მეფე და მეზალე“, „ბერი და ყრმა.“ შეპირისპირებულია ადამიანი და ცხოველი: „მკალავი და ვირი“, „დათვი და მონადირე“, „კაცი და გველი“, „მოლა და ღორი“; ადამიანი და ცნება: „მეფე და სიკვდილი“, „მუშა და ბედი“ და ა. შ.

ინგლისელი მეიგავე რ. დოდსლი მაღალმხატვრული სტილით გამოირჩევა. მისი იგავები სავსეა სტილისტიკური ხერხებით და ფრაზეოლოგიზმებით. მაგალითად, იგავი „ECHO AND THE OWL“ იწყება მეტაფორით: “A solemn owl”, რომელიც მკითხველში ერთგვარ ირონიასაც იწვევს და პირველი წინადადებიდანვე გვაჩვენებს

ავტორის დამოკიდებულებას ნაწარმოების პერსონაჟისადმი და ასევე, მიგვანიშნებს, თუ როგორ განვითარდება შემდეგი სიუჟეტი. აქვე საინტერესოა, დავაკვირდეთ, როგორ ცდილობს ავტორი საკუთარი ინტენციის ლექსიკური საშუალებებით გადმოცემას:

„A SOLEMN Owl, *puffed up with vanity*, sat repeating her screams at midnight from the hollow of a blasted oak.”

“*puffed up with vanity*”- ეს ფრაზეოლოგიზმია, რომელიც დასცინის ამ თვისების მატარებელს ადამიანს. ასევე ფრაზეოლოგიზმებს ვხვდებით რ. დოდსლის არაერთ ნაწარმოებში. იგავ-არაკი “THE FLY IN SAINT PAUL'S CUPOLA” სათაურიდანვე ქმნის გარკვეულ დამოკიდებულებას და მოლოდინს იგავისადმი. გმირად წარმოგვიდგება **ბუზი**, რომელიც წმინდა პავლეს გუმბათში ბინადრობს.

იგავ-არაკში “THE BOY AND THE FILBERTS” ავტორი პერსონაჟის განწყობის და სევდის გამოსახატავად ასევე ფრაზეოლოგიზმს იყენებს “Unwilling to lose any of them, but unable to draw out his hand, *he burst into tears*, and bitterly bemoaned his hard fortune.”

ფრაზა „he burst into tears”, ვიღაცის უკიდურეს წუხილსა და დარდზე მიუთითებს.

საინტერესოა, რა ქმნის რუსი მეიგავის - ი. კრილოვის იგავთა პოპულარობას, როგორია ავტორის თხრობის სტილი, მისი ენა. კრილოვის სტილს ქმნის ანდაზები, ხატოვანი გამონათქვამები, ხალხური სალაპარაკო ლექსიკა და ფრაზეოლოგია, აბსოლუტურად უნიკალურს ხდის მის ნაწარმოებებს (მიკოვა, 2011) მწერლის მიერ გამოყენებულ სიტყვათა შორის, ჩვენ ვხვდებით უშუალო სალაპარაკო სიტყვებს, ისეთებს, როგორებიც არის, «понатужить», «слыть და სხვა. «Тут, выгнувши хребет и понатужа грудь» (Обоз); «Пес дружества слывет примером с давних пор» (Соба-чья дружба). ი. კრილოვის იგავ-არაკების ენა არ არის თავისუფალი ხალხური მეტყველების სიტყვებისაგან, რომლებსაც აქვთ ექსპრესიული შეფერილობა და აქედან გამომდინარე, იქმნება „ხალხური სულის“ განუმეორებელი

განსაკუთრებულობა. მის იგავ-არაკებში აღინიშნება მცირე რაოდენობით ექსპრესიულ-გამომხატველობითი, სასაუბრო სტილის სიტყვები:

„Как мы махнем”(Обоз);

„Около тех мест голодный рыскал Волк”(Волк и Ягненок);

„Твой хор горланит вздор”(Музыканты);

„Ах, ты, об- жора! ах, злодей!” (Кот и Повар);

„С натуги лопнула и околела” (Лягушка и Вол);

„Да в олухи-то, я не знаю, кто попал”(Купец).

ი. კრილოვის იგავ-არაკების ენაში გვხვდება ხმარებიდან გასული სიტყვები, არქაიზმები, რომლებიც შენარჩუნდა დიალექტებში, მაგალითად:

„Купчина выстроил амбары”(Хозяин и Мыши) ,

„Какой-де откупщик и самый тороватый. Не даывал секретарям” (Синица);

„Куда ты там запал? Поди сюда скорей”Купец);

„И стала супротив на каменной скале”(Лев, Серна и Лиса).

ი. კრილოვის იგავ-არაკებში კულტურული ინფორმაციის გადმოცემის საშუალებებს შორის გვხვდება სხვადასხვა თემატური ჯგუფის არაეკვივალენტური ლექსიკა (მიმართების სტანდარტული ფორმები:

„ Его Светлость“ (მიმართვა მეფის ოჯახის თავისადმი) („Волк и Ягненок”)

„Ваше Превосходительство” (მიმართვა გენერალ-მაიორისადმი გენერალ-ლეიტენანტისადმი, 3-4 კლასის სამოქალაქო ჩინოვნიკებისადმი) („Подagra и Паук”)

**ნაგებობების დასახელებები:**

„овин; („Орел и Куры”); клеть („Крестьянин в беде”)

**საყოფაცხოვრებო ლექსიკა:**

„,голик” („Голик”);

„тенета” („Лев и Мышь”);

საჭმელისა და სასმელების დასახელებები: „квас”; „пиво” („Бочка”);

**ტანსაცმელის, თავსაბურავის, ფეხსაცმელის დასახელებები**

„тулуп” („Слон на воеводстве”);

„шуба”; „треух” („Госпожа и две Служанки”);

„лапти” („Булат”);

აქვე გვხვდება **რუსულ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებზე მითითებები:**

„Базарный день” („Гуси”);

„сговорить” („Разборчивая Невеста”);

ი. კრილოვის იგავ-არაკებში ყველაზე უფრო ხშირად გავრცელებული სახელებია: Васька („Кот и Повар”, „Волк и Кот”), Полкан, Барбос („Собачья дружба”, „Две Собаки”, „Крестьянин и Собака”).

რიგი ფრაზეოლოგიზმი დაკავშირებულია სამეურნეო საქმიანობასთან. მათი მეშვეობით შეიძლება ვიმსჯელოთ პროდუქტების მომზადების პროცესებზე, საყოფაცხოვრებო საგნების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის გამოყენებაზე, სასოფლო სამეურნეო სამუშაოების თავისებურებაზე და ა. შ:

„как в масле сыр кататься” („Крестьянин и Лисица”);

„как липку ободрал” („Крестьянин и Разбойник”);

„что ты посеял – то и жни” („Волк и Кот”).

გარდა ამისა, ი. კრილოვი ფართოდ იყენებს რუსულ ანდაზებსა და ხალხურ გამონათქვამებს, და თვითონაც არის ავტორი ბევრი გამონათქვამისა, რომლებმაც შეავსო რუსული ენის პარემიოლოგიური ფონდი. „ანდაზები და ხალხური გამონათქვამები ი. კრილოვის იგავ-არაკებში მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსი ხალხის ტრადიციებთან“ (მიკოვა, 2011:33)

➤ „хлеб – соль, моя вам надоела” (წესჩვეულება სტუმრის შეხვედრისა პურიითა და მარილით) („Крестьянин и Змея”);

➤ ხალხური დაკვირვებები („из избы не вынесено сору”) («Пустынник и Медведь»);

- შეიცავენ რუსული მართლმადიდებლური მსოფმხედველობის ფუნდამენტურ კონცეპტებს („пополам с грехом” – „Мешок”; „грех сказать” – „Осел и Мужик”)

საუკუნეებთან ერთად იგავ-არაკული ჟანრი იცვლებოდა, იხვეწებოდა და მას უფრო მეტად ემატებოდა მხატვრული ელემენტები, გარკვეულ შემთხვევებში კი, პირიქით. საინტერესოა, დავაკვირდეთ, როგორ იცვლილებოდა იგავ-არაკული ჟანრი მე-19 და მე-20 საუკუნეების პერიოდში. ამ პერიოდის ამერიკელი მეიგავა ჯორჯ ეიდი. მისი იგავები ეხება თანამედროვე საკითხებს, მაგალითად, ცოლ-ქმრის ურთიერთობას, წვეულებების თემას და ა.შ. („The Fable of The Husband Who Showed Up & Did the Best He Knew How “), (“The Fable of The Two Wives Who Talked about Their Husbands). საინტერესოა, როგორ გამოხატავს ის თავის სათქმელს.

*“He gave every one the high up Handshake, and said he was Awfully Glad to see her, and Beamed and Nodded and carried on as Unnatural as possible. It was a Flying Start.”*  
(„The Fable of The Husband Who Showed Up & Did the Best He Knew How “)

ამ პასაჟში, ჩვენ პირველ რიგში, ვხვდებით **ოქსიმორონს**: „Awfully Glad”. რაც ემსახურება ავტორისეულ ინტენციას, რომ გამოხატოს გმირის რეალური დამოკიდებულება სიტუაციასთან. აქვე ის აღნიშნავს: „as Unnatural as possible“, სადაც ისევ სიტყვები შერჩეულია, ისე რომ პერსონაჟის გულგრილი დამოკიდებულება გამოხატოს სიტუაციისადმი. აქ ავტორი იყენებს ფრაზეოლოგიზმს - “It was a Flying Start” და ამით უფრო მკვეთრად ასახავს სიტუაციას.

ამ ავტორის მეტყველება საკმაოდ მდიდარია ფრაზებით, რომლებიც, მართალია, არ გამოირჩევა მხატვრულობით და მაღალფარდოვნებით, მაგრამ შესანიშნავად ასახავს სიტუაციას. მაგალითად:

*“When he spotted the Young Widow with the Coaxing Dimples and the taunting Smile, he said to himself that he could do no better, for she was the Town Talk.”*(„The Fable of The Husband Who Showed Up & Did the Best He Knew How “)

*“It was a Noble Effort at Entertaining, and he did not seem to mind the Work. They were quite Wrapped Up in each other, with the Heads about three-quarters of an inch apart, so they did not realize that all the Women in the Room were accumulating Material for a*



*rich, succulent Piece of Gossip.” („The Fable of The Husband Who Showed Up & Did the BestHe Knew How “)*

*“Instead of telling the Widow that the Weather had been very Changeable of late, he whispered to her that every Single Man in Town was ready to Marry her at the Drop of the Hat. She hit him Twice with her Fan and began to think he was not such a Dummy after all.” („The Fable of The Husband Who Showed Up & Did the BestHe Knew How “*

*“When she talked to her Friends, said that although Will might be Thoughtless now and then, the same as all Men, he had a Heart too Big for his Body and one of the Sweetest Natures that ever came down the Pike.” (“The Fable of The Two Wives Who Talked about Their Husbands”)*

*“She said that Will had a Disposition that it was a Comfort to tie to, and it was a Great Blessing for any Woman with Nerves to be anchored to a Steady Man who never flew off the Handle.” (“The Fable of The Two Wives Who Talked about Their Husbands”)*

*“Her Wings and His Wings were not Mates.” (“The Fable of The Two Wives Who Talked about Their Husbands”)*

*“Although she had tried to grow Pinions on him and encourage him to do her kind of Swoops, he preferred to be of the Earth Earthy. Consequently her Life was as as a Bass Drum. In attempting to get an Affinity she had made a Miscue and was up against it.” (“The Fable of The Two Wives Who Talked about Their Husbands”)*

*“My Wife is stuck on me after all,” said A. “In a Case of this Kind there is only One Thing to be done. Come with me to the Club and I will open a Keg of Nails.” (“The Fable of The Two Wives Who Talked about Their Husbands”)*

ასევე, საინტერესოა ჯ. ედის თანამედროვე მეიგავე ჯ.თერბერის იგავები. რომლებშიც ჭარბობს ცხოველები. მისი ენაც ასევე მდიდარია სხვადასხვა ფრაზეოლოგიზმით და იდიომით.

*“He turned back toward the sea, but a mindless urge deep inside him took on the frail flicker of desire.” (The sea and the shore)*

*"Open most hearts and you will see graven upon them Vanity." / (The Truth About Toads)*

*"Mervyn did not know at the time, and never found out, that the bulldog was a stuffed bulldog, and so he lived in a fool's paradise." / (The Foolhardy Mouse and the Cautious Cat)*

*"She crept toward him in her stocking feet and was astounded when he turned, spit a crumb in her eye, and began insulting her with a series of insults." / (The Foolhardy Mouse and the Cautious Cat)*

*"There is more here than meets the eye." / (The Foolhardy Mouse and the Cautious Cat)*

*"Have comfy chats with the Lord in the little cozy corners of spare time." / (The Bat Who Got the Hell Out)*

*"She went with him to the door of the old Wolf place. "If you go that fast, you won't live to regret it," she warned him, but he grinned again, showing a tongue as long as a necktie." / (The Wolf Who Went Places)*

*"Tarry awhile," said the crow quickly, "and share my lunch with me." Whereupon he tossed the cunning fox the lion's share of the cheese, and began to tell about himself. "/ (The Fox and the Crow)*

აშკარაა, რომ თანამედროვე მეიგავეები ხშირად მიმართავენ ალეგორიას სათქმელის გამოსახატავად, რაც აშკარად ჩანს წინა მაგალითებში.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საკუთარი არსებითი სახელები იგავ-არაკებში იშვიათად ჩნდება. ეს აიხსნება იმით, რომ იგავ-არაკული ჟანრი მიისწრაფვის მაქსიმალური განზოგადებისაკენ, ამიტომაც ნებისმიერი კონკრეტიზატორის არსებობა ნაწარმოებში არ არის დამახასიათებელი. საკუთარი სახელები გამოიყენება გეოგრაფიული დასახელებების, ცხოველთა მეტსახელების, პერსონაჟების დასახელებისთვის. იგავ-არაკების ტექსტებში კულტურული ინფორმაცია გადმოიცემა პერსონაჟების მეტყველებით, სადაც გვხვდება სოციალურად განპირობებული სამეტყველო შეცდომები. როგორც წესი, დრო და ადგილი იგავ-არაკებში იშვიათად არის აღნიშნული და ისიც მნიშვნელობის გარეშე.

გავანალიზეთ რა სხვადასხვა დროის მეიგავეთა იგავები, გამოვლინდა, რომ ავტორთა ლექსიკა ერთმანეთის მსგავსია: ფრაზეოლოგიზმები, იდიომატური გამოთქმები, არქაული სიტყვები, მაღალმხატვრული ლექსიკა. განსხვავება შეინიშნება ავტორთა წერის მანერაში. ზოგიერთი მათგანისთვის დამახასიათებელია ნეიტრალური ლექსიკა, ზოგიც მხატვრულ ხერხებს ანიჭებს უპირატესობას. წერის მანერის განსხვავებულობას განაპირობებს ავტორთა მკვეთრი ინდივიდუალიზმი და განსხვავებული ეპოქა.

*თავი III უახლესი ინტერნეტ იგავ-არაკები და მათი პრაგმატიკულ-  
სემანტიკური ანალიზი*

**3.1 კლასიკურ იგავ-არაკთა თანამედროვე ტრანსფორმაციები**

ჩვენ ვცხოვრობთ მზარდი ტექნოლოგიების ეპოქაში, სადაც ინტერნეტი მართავს და განაპირობებს ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობას, ჩვენს პროფესიულ ზრდას და ხშირ შემთხვევაში, ჩვენს აზროვნებასაც კი. შესაბამისად, გაჩნდა ტერმინი „ინტერნეტფოლკლორი“, მაგრამ სანამ უშუალოდ განვმარტავთ ამ ტერმინს, განვმარტოთ რა არის სიტყვა „ფოლკლორი“.

„ფოლკლორს არანაკლები ღირებულება აქვს, ვიდრე ისტორიისა და მემკვიდრეობის სხვა ნაწილს, ის დოკუმენტირებული და დაცული უნდა იყოს, როგორც ჩვენი მომავლის მემკვიდრეობა. ფოლკლორი არის ის წეს-ჩვეულებები, სარიტუალო თუ საყოფაცხოვრებო მოქმედებები, ზღაპრები, სიმღერები, ცეკვები, ზეპირი გადმოცემები, ხუმრობები და მითები, რომლებიც ამა თუ იმ სოფლის, თემის, მხარის მცხოვრებთა შორის არის დამკვიდრებული და თაობებს ზეპირად გადაეცემა. ამ ჟანრების მეშვეობით გამოიხატება/გაიზიარება ხალხის მიერ შეძენილი გამოცდილება. ხალხური სიტყვიერება ხალხის დამწერლობამდელი შემოქმედების ნაყოფია, იმ დროიდან ზეპირად იქმნება და ისე გადაეცემა თაობებს“ (ქურდოვანიძე, 2001:12). „ზეპირსიტყვიერება მისი შემოქმედი ხალხის მატერიალური და სულიერი ცხოვრების უშუალო ანარეკლია, საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებული და ჩვენამდე მოტანილ ხალხურ შეგონება-მოდღვრებათა, ანუ ეგრეთ წოდებული ეთნოეთიკისა და ეთნოდიდაქტიკის უმდიდრესი და დაუშრეტელი ნაკადია და ფასდაუდებელი როლი ენიჭება თაობათა ზნეობრივი სრულყოფის საქმეში“ (შიოშვილი, 2004:5).

ევროპაში რომანტიზმის ეპოქაში ხალხის მხატვრული შემოქმედებითი დაინტერესების შემდეგ მის აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინს ხმარობდნენ. ესენია: ხალხური სიტყვიერება, ზეპირი პოეტური შემოქმედება. ყველა ეს ტერმინი ხალხის შემოქმედების სხვადასხვა ნიუანსს წამოსწევს წინ, თუმცა, ფაქტობრივად, ერთსა და იმავეს გულისხმობს და აღნიშნავს.

ფოლკლორი ანგლოსაქსური კომპოზიტით გამოიხატება: **ფოლკ-ლორი**. ტერმინი ორი წევრის, ხალხისა და სიბრძნის ურთიერთშერწყმაა. ტერმინით აღნიშნული საგანი თავის ინტერესების სფეროში უნდა აქცევდეს ორ რეალობას: ის უნდა სწავლობდეს, ერთი მხრივ, ხალხის, როგორც გარკვეული ერთობის, ცნობიერებას და მეორე მხრივ, იმ პროდუქტს, რომელიც შექმნილია ან გარდაქმნილია ამ ცნობიერებაში.

„ტერმინ „ფოლკლორს“ folklori ავტორიც ჰყავს და მისი შექმნის დროც ცნობილია. მისი არსებობა იწყება 1846 წლიდან, როცა უილიამ თომსმა (William Thoms) ინგლისურ ჟურნალ „ათენეუმში“ (The Athenaeum) გამოაქვეყნა სტატია, სადაც პირველად გამოჩნდა ტერმინი, რომელიც მან ორი ძველი ინგლისური (საქსონური) სიტყვისაგან folk (ხალხი) და lore (სიბრძნე, ცოდნა) შექმნა. ტერმინი სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ჰუმანიტარულ დისციპლინათა აღმნიშვნელ ტერმინებს შორის. მისი პირველშემქნელი ამ სიტყვაში, როგორც ცნებაში, უფრო ფართო შინაარსს გულისხმობდა, ვიდრე ჩვენ დღეს. უ. თომსი სიტყვით **ლორე** აღნიშნავდა ყველაფერს, რაც კი ადამიანს, ადამიანთა საზოგადოებს, შეუქმნია თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე. დროთა ვითარებაში ეს ტერმინი თანდათან ვიწროვდება და ჩვენთან ის მხოლოდ ზეპირსიტყვიერებას გულისხმობს“ (კიკნაძე, 2008: 4).

ბენ ბოტკინი (Ben Botkin) ფოლკლორს შემდეგნაირად განმარტავს: „Every group bound together or by common interests and purposes, whether educated or uneducated, rural or urban, possesses a body of traditions which may be called its folklore. Into these traditions enter many elements, and even „literari“, but all are absorbed and assimilated through repetition and variation into a pattern which has value and continuity for the group as a whole“– საერთო მიზნებისა და ინტერესების მქონე ჯგუფები, რომელიც შედგება განათლებული თუ გაუნათლებელი, სოფლელი თუ ქალაქელი ადამიანებისაგან, ფლობენ ტრადიციებს, რომლებსაც შეგვიძლია ფოლკლორი ვუწოდოთ. ამ ტრადიციებში ბევრი ისეთი ელემენტია, რომლებშიც კარგად ჩანს ინდივიდის ხელი. სწორედ ინდივიდთა მიერ ხშირი გამეორების და ვარიანტების

საფუძველზე ფოლკლორული ნიმუშები ნელ-ნელა იკიდებს ფეხს საზოგადოებაში და ხდება მისი განუყოფელი ნაწილი - თარგმანი ჩვენეულია (თ. დ.).

ბარი თოლქენის (Barre Toelken) აზრით, ფოლკლორი იგივეა, რაც კულტურა. იგი ადამიანური ცხოვრების სხვადასხვა სპექტრს წარმოაჩენს, რომლის შესწავლაც შეიძლება სხვადასხვა რაკურსით და სხვადასხვა მიზნისთვის - თარგმანი ჩვენეულია)

მ. ჩიქოვანის ნაშრომში „კლასიკური ფოლკლორის იდეურ-ესთეტიკური და ზნეობრივი მნიშვნელობა“ წარმოჩენილია ფოლკლორული საუნჯის საზოგადოებრივი მნიშვნელობა, მისი აღმზრდელობით-მოქალაქეობრივი ფუნქცია და ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „მწყობრი პოეტიკითა და ესთეტიკით, მაღალმხატვრული თვისებებითა და მარადიული იდეებით საუკუნეების განმავლობაში იგი ხელს უწყობდა ეროვნული კულტურების ფორმირებას, განვითარებასა და დემოკრატიზაციას“ (შიოშვილი, 2004:9-12).

კიკნაძის აზრით, ტრადიციული ნიმუშები ხალხური შემოქმედებისა შეიძლება დავიყვანოთ განსაზღვრულ რაოდენობამდე. ესენია: **ანონიმურობა, გავრცელების ზეპირი ფორმა, ვარიანტულობა, კოლექტიურობა, ტრადიციულობა, ყოფითობა და სინკრეტიზმი.**

**გავრცელების ზეპირი ფორმა** ყველაზე თვალსაჩინო ნიშანია ფოლკლორული შემოქმედებისა, რაც მის ერთ-ერთ სახელწოდებაშიც არის ასახული „ზეპირსიტყვიერება“. ხალხური შემოქმედება ზეპირსიტყვიერია, როგორც წარმოშობით, ასევე გავრცელების ფორმით: ის იქმნება და ვრცელდება ზეპირად.

**ანონიმურობა** არ ნიშნავს იმას, რომ ფოლკლორულ ნაწარმოებს საერთოდ არ ჰყოლია ავტორი. ფოლკლორული ტექსტის ანონიმურობის ძირითადი პირობაა ავტორების უფლების პრინციპული არარსებობა ტრადიციულ საზოგადოებაში. ვასილ ბარნოვი ამბობდა: „ერის გულისნადებს პირველად წარმოთქვამს რომელიმე ნიჭიერი შვილი ერისა, ნათქვამი აღიბეჭდება მსმენელთა მეხსიერებაში და გავრცელდება ზეპირსიტყვიერებით ერთ ადგილიდან მეორე ადგილას, ერთი თაობიდან მეორე თაობაზე“ ეს „ნიჭიერი შვილი“, ცხადია, არსებობს რეალური, მაგრამ თავის შემოქმედებაში იგი არასდროს ცდილობდა თავისი პიროვნულის,

ინდივიდუალურის წამოწევას, მისი „ნათქვამი“ ნამდვილად „ერის გულისნადებს“ შეიცავს“ .(ბარნოვი, 1919:35)

**ვარიანტულობა.** სიტყვა ზეპირი გავრცელებისას დროსა და სივრცეში იცვლება, აჩენს ვარიანტებს. ხალხური ტექსტი მხოლოდ და მხოლოდ მისი რომელიმე ვარიანტის სახით არსებობს, ამაოა მისი ინვარიანტული ანუ არქეტიპული, თუ „კანონიკური“ ტექსტის ძიება. მსმენელი ავტორ-მთქმელია, რომელსაც შეუძლია „საკუთარი“ ვარიანტის სახით მიიტანოს მოსმენილი ტექსტი კვლავ მსმენელთან და ა. შ. თითოეულ ვარიანტს ამა თუ იმ კონკრეტულ საზოგადოებაში, კონკრეტულ ტრადიციაში, თავისთავადი მნიშვნელობა აქვს. ყველა ვარიანტი დამოუკიდებელი მთლიანობაა და თვითმყოფადია. ზეპირსიტყვიერი ნაწარმოების წარმოთქმა მისი ხელახალი ქმნაა. იგი იცვლება იმის მიხედვით, თუ სად წარმოიქმნა, ვინ ისმენს მას. მსმენელი განაპირობებს ტექსტის ცვლილებას.

**კოლექტიურობა-** ხალხური ნაწარმოები ყველას ეკუთვნის, რადგან მის შექმნაში მონაწილეობდა არა მხოლოდ პირველი მთქმელი, არამედ გარდამთქმელი და მსმენელიც (სხვადასხვა ადგილას და დროს). ის გამოხატავს არა კერძო პიროვნების, არამედ ხალხის სულისკვეთებას.

**ტრადიციულობა** - ტრადიციულ ყოფაში ძლიერია ტრადიციის გავლენა ინდივიდის ცნობიერებაზე. ტრადიცია არის გადაცემა, ხოლო რაც გადასაცემია, ყოველ ჯერზე იცვლილება. მთქმელის მეხსიერებაში დაცული ტრადიციული ტექსტი რაღაც ახალს იძენს აქტუალიზაციის პროცესში. წარმოთქმული ტექსტი არ არის იდენტური მეხსიერებაში პოტენციურად არსებული დაცული ტექსტისა. შემოსული სიახლე, რომელიც ქმნის განსხვავებას, მთქმელისეულია. სიახლის შემოტანა ტექსტში მხოლოდ მაშინ დასრულდება, როცა ის აღარ წარმოითქმის, როცა ის წყვეტს არსებობას, როგორც ფოლკლორული ტექსტი.

**ყოფითობა** - ყოფითობა მნიშვნელოვანი ნიშანია, შესაძლოა, ყველა ნიშანზე არსებითიც. ხალხის ყოფა გამოიხატება სხვადასხვა ფოლკლორულ ჟანრში. ფოლკლორის ჟანრული სისტემა ზემოქმედებს ყოფაზე, სტრუქტურა და საზრისი შეაქვს ყოფაში. ამასთანავე, ყოფის გარეშე ფოლკლორული შემოქმედება კარგავს

თავის ჟანრობრივ ფუნქციას. ფოლკლორული შემოქმედების ღირებულება მხოლოდ ყოფაშია და მისი ძალით თავად ყოფა იძენს ღირებულებას.

**სინკრეტიზმი** - გულისხმობს შემოქმედებისა თუ გადმოცემის ერთიან აქტში ხელოვნების რამდენიმე დარგის მონაწილეობას. ჰანგი თან ახლავს სიტყვიერი ტექსტის შექმნის პროცესს. იგი არა თუ აწესრიგებს სიტყვას, არამედ ჩართულია სიტყვიერი შემოქმედების პროცესში, მისი ორგანული მონაწილეა” (კიკნაძე, 2008)

ფოლკლორში შედის მითები, ლეგენდები, ზღაპრები, ანეკდოტები, ანდაზები, გამოცანები, სიმღერები, დალოცვა, წყევლა, ლანძღვა, მოსწრებული სიტყვა-პასუხი, დაცინვა, გამოსაჯავრებელი, სადღეგრძელო, ენის გასატეხი, მისალმება-დამშვიდობების ფორმულები.

ფოლკლორი მოიცავს ხალხურ შემოქმედებას: წეს-ჩვეულებებს, ცეკვებს, დრამასა და მიმიკას, გრაფიკას, რწმენა-წარმოდგენებს, მედიცინას, ინსტრუმენტულ მუსიკას, სიმღერებს, მეტყველებას (სლენგი), ხალხურ გამოთქმებს, მეტაფორებს და მეტსახელებს. ფოლკლორის ფორმათა ჩამონათვალში შედის თამაშები, ჟესტები, სიმბოლოები, ოხუნჯობები, ხალხური ეტიმოლოგია, სამზარეულო რეცეპტები, გობელენისა და ნაქარგის დიზაინი, ნაგებობათა ტიპები, ქუჩის გამყიდველთა შეძახილები, კონფიდენციალური ბგერები ცხოველთა მოსახმობად და ბრძანების მისაცემად. არსებობს მცირე ფორმებიც: აბრევიატურები და ტრადიციული კომენტარები სხეულის მდგომარეობასა და მოძრაობებზე (მაგალითად, დაცემინების შემდეგ). არის მასობრივი ფორმებიც – ფესტივალები და განსაკუთრებული დღეების წეს-ჩვეულებები“ (შობა, დაბადების დღე და ა.შ.) (დანდესი 1965:2)

როგორც ვხედავთ, ზეპირსიტყვიერების ნიმუშები გადაეცემოდა თაობიდან თაობას სიტყვიერი ფორმით და ინფორმაციული ტექნოლოგიების საუკუნეში ეს გაცილებით იოლი გახდა მსოფლიო ქსელის მეშვეობით. ინტერნეტი გვაძლევს შესაძლებლობების ფართო არეალს ჩვენთვის სასურველი, საინტერესო ინფორმაციის შესახებ მსოფლიოს ნებისმიერ ეტაპზე და ტრადიციებისა და კულტურის შენარჩუნების საშუალებას და ამის ნათელი მაგალითია ინტერნეტ- ფოლკლორი. ეს საკითხი საკამათო და ნაკლებად შესწავლილია, მაგრამ იწვევს მეცნიერთა დიდ



ინტერესს. საჭიროა აღინიშნოს, რომ ფოლკლორი ვირტუალურ რეალობაში საშუალებას აძლევს ადამიანს სახლიდან გაუსვლელად იყოს ფოლკლორული შემოქმედების ნიმუშების შექმნის მონაწილე.

განვიხილოთ ინტერნეტფოლკლორის ტექსტების მსგავსება ორიგინალის ტექსტებთან.

ინტერნეტტექსტებისთვისაც დამახასიათებელია უავტორობა, აქედან გამომდინარეობს შემდეგი კრიტერიუმიც- კოლექტიურობა, ინტერნეტფოლკლორის ძირითადი მახასიათებელი, რადგანაც ის, ისევე როგორც კლასიკური ფოლკლორი, პირველ რიგში, იქმნება ადამიანების გაერთიანების მიზნით. ასე მაგალითად, ფოლკლორის საშუალებით ერთი ეპოქის ადამიანს შეეძლო გაეგო ბევრად უფრო მეტი იმის შესახებ, ვინც ცხოვრობდა მანამდე. იმავე საშუალებით შეეძლო მას დაეტოვებინა საკუთარ თავზე სამახსოვრო მომავალი თაობებისთვის. ინტერნეტ ფოლკლორი ასრულებს იმავე ფუნქციას, ეხმარება ადამიანებს, განახორციელონ კომუნიკაცია გლობალურ მასშტაბში, რადგანაც ინტერნეტსივრცე წარმოადგენს ბევრად უფრო დიდი შესაძლებლობების წრეს(ნაზაროვსკაია, 2012:173-175)

როგორც ტრადიციულ კულტურაში ვერბალური ყოველთვის მტკიცდება ვიზუალურით; ჟესტით, ტანსაცმლით, ასევე ინტერნეტფოლკლორში არის ინტონაციის, ემოციის, გამოთქმის ტემპის, გადმოცემის საშუალებები, რომლებიც წერილობით ტექსტს სიცოცხლით ავსებს.

ქართულ, რუსულ და ინგლისურ კულტურაში ფოლკლორის მრავალრიცხოვანი ჟანრია. ეს არის ზღაპრები, სიმღერები, შაირები, ანდაზები, ხალხური გამონათქვამები, ლეგენდები, მაგრამ მაინც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარი ჟანრი ინტერნეტსივრცეში ლეგენდებთან ერთად, არის იგავ-არაკი. როგორც რუსული, ისევე ინგლისური იგავ-არაკები მორალისტურია, დამრიგებლური ხასიათისაა. ფოლკლორის კომუნიკაციური ფუნქციაა, იგავ-არაკის მაგალითზე ადამიანებმა გადასცენ ერთმანეთს არამარტო თავიანთი ისტორია, არამედ მორალი, თავიანთი ეპოქის ზნეობაც. შეიძლება გაჩნდეს კითხვა: რატომ იგავ-არაკი და არა ზღაპარი? ზღაპარიც, გარდა იმისა, რომ მას აქვს დამრიგებლური ხასიათი, ფოლკლორის

ჟანრია, იგავ-არაკი ტრადიციულად არაა ფოლკლორული ჟანრისა, რადგანაც საავტორო ნაწარმოებია. საქმე ისაა, რომ ტექსტები რომლებიც გვხვდება ინტერნეტსივრცეში, ექვემდებარება გარკვეულ ცვლილებებს და კარგავენ ავტორებს. ორიგინალური ნაწარმოების იდეა იცვლის აზრს თანამედროვე ფორმით და იგავ-არაკი მოგვევლინება ინტერნეტფოლკლორის ჟანრად, რადგანაც მის შექმნაში შეიძლება მონაწილეობდეს ადამიანების განუსაზღვრელი რაოდენობა, ამავე დროს იგავ-არაკი ინტერნეტსივრცეში საკმაოდ მიმზიდველია თავისი კომპაქტურობის გამო (ნაზაროვსკაია, 2014:173-175).

ხშირად ინტერნეტფოლკლორი ტრადიციული ტექსტების ტრანსფორმაციაა, არსებობს საიტები, სადაც შეიძლება იპოვოთ გადაკეთებული იგავ-არაკები, რომლებიც მოგვითხრობენ ნაცნობ გმირებზე თანამედროვე სახით.

იმისათვის რომ მოვიყვანოთ მაგალითი ინტერნეტსივრცეში იგავ-არაკების ტრანსფორმაციისა, დავაკვირდეთ ეზოპეს იგავ-არაკს „The Quack Frog“.

ორიგინალი:

*“A FROG once upon a time came forth from his home in the marsh and proclaimed to all the beasts that he was a learned physician, skilled in the use of drugs and able to heal all diseases. A Fox asked him, "How can you pretend to prescribe for others, when you are unable to heal your own lame gait and wrinkled skin?"*

იგავ-არაკის ორიგინალში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ პატარა ბაყაყი მივიდა სხვა ცხოველებთან და თავი კარგად განსწავლულ ექიმად გამოაცხადა, რომ მან იცის სხვადასხვა წამლის სამკურნალო თვისებები და შეუძლია განკურნოს ნებისმიერი ავადმყოფობა. მელიამ ჰკითხა: როგორ შეგიძლია თავი მოაჩვენო სხვას ექიმად, როცა ვერ განგიკურნავს შენი კოჭლობა და ავადმყოფური კანიო. ამ იგავ-არაკის მორალია - „ექიმო, განიკურნე საკუთარი თავი!“.

ტექსტი ტრანსფორმირებულია

*“A FROG once upon a time came forth from his home in the marsh and proclaimed to all the beasts that he was a learned site designer, skilled in the use of scripting, markup*

*languages and Flash and able to create beautiful pages for any type of client. A Fox asked him, "How can you pretend to design for others, when on your site you have no animated gifs?"*

ტრანსფორმირებულ ტექსტში ბაყაყი აცხადებს, რომ ის არის საიტების სახელგანთქმული დიზაინერი და იცის მათზე მუშაობის ყველა საიდუმლო. მელია ეკითხება, როგორ შეუძლია მას თავი მოგვაჩვენოს წარმატებულ დიზაინერად, როცა საკუთარ საიტზე აქამდე არ დაუდვია ანიმაციური სურათები (გიფები).

აშკარაა, რომ ამ იგავ-არაკმა განიცადა თემატური ტრანსფორმაცია: თუ კლასიკურ იგავ-არაკში ბაყაყი ექიმად გვევლინება, მის ინტერნეტტრანსფორმაციაში ის ინტერნეტგვერდის დიზაინერია. ორიგინალ ტექსტში გამოყენებულია სამედიცინო ლექსიკა, ტერმინები (წამალი, წამლის გამოწერა). მოცემული იგავ-არაკის თანამედროვე ვარიანტში დასტურდება ცვლილებები კომპიუტერული ლექსიკიდან:

physician —> site designer

use of drugs —> scripting

to heal all diseases —> markup languages; able to create beautiful pages

lame gait and wrinkled skin —> no animated gifs

როგორც ვხედავთ, მოცემულ იგავ-არაკში მკაფიოდ იგრძნობა ტექნოლოგიების კვალი. ტექსტის ორივე ვარიანტში ბაყაყი ხდება დასაცინი, თუმცა კლასიკურ იგავში მას გარეგნობის გამო დასცინიან, ხოლო თანამედროვე ვარიანტში ობიექტად იქცა მისი წარუმატებელი საქმიანობა, რაც შედეგია უახლესი ტენდენციებისა, სადაც პროფესიული განვითარება ითვლება უმნიშვნელოვანეს მიზნად.

მეორე იგავ-არაკის "A Hare and a Tortoise" მაგალითზე ჩვენ შეგვიძლია დავაკვირდეთ მსგავს ცვლილებებს.

ორიგინალი:

*“A HARE one day ridiculed the short feet and slow pace of the Tortoise, who replied, laughing: “Though you be swift as the wind, I will beat you in a race.” The Hare, believing her assertion to be simply impossible, assented to the proposal; and they agreed that the Fox should choose the course and fix the goal. On the day appointed for the race the two started together. The Tortoise never for a moment stopped, but went on with a slow but steady pace straight to the end of the course. The Hare, lying down by the wayside, fell fast asleep. At last waking up, and moving as fast as he could, he saw the Tortoise had reached the goal, and was comfortably dozing after her fatigue”.*

ტექსტი ტრანსფორმირდა

*“A HARE one day ridiculed the slow pace at which the Tortoise’s band’s MySpace fan base was growing. The Tortoise replied, laughing: “Though you have courted controversy to gain fame swiftly as the wind, I wager I will beat you in long-term career sustainability.” The Hare, believing her assertion to be simply impossible, assented to the proposal; and they agreed that the Fox should choose the terms and the timeframe. On the day appointed the two started building popularity together. The Tortoise never for a moment stopped practicing and writing songs, but went on with a slow but steady pace straight to a single-record contract but a lucrative career as a jingle writer. The Hare had one of those tapes stolen and released following token legal resistance, got into fistfights with paparazzi and got a multi-record deal, though none of the records sold well, nor were any singles downloaded. At last, he bounced from one celebrity reality show to another, while Tortoise earned massive royalties for writing the shows’ theme tunes”.*

მორალი: “Slow but steady wins the race”

იგავ-არაკის ორიგინალში კურდღელი დასცინის კუს იმის გამო, რომ ნელია და მიუთითებს თავის უპირატესობაზე, თუმცა, ზედმეტი თავდაჯერებულობა დალუპავს მას იგავის ორივე ვარიანტში. მორალიც ამასვე ქადაგებს: „ნელი, მაგრამ სტაბილური იმარჯვებს რბოლაში.“

იგავ-არაკის თანამედროვე ვარიანტი კურდღელი დასცინის კუს იმაზე, თუ რა ნელა იზრდება მისი მუსიკალური ჯგუფის პოპულარულობა სოციალურ ქსელში MY

SPACE, კუ ისევ სთავაზობს შეჯიბრებას. მას შრომა არ ეთაკილება, წერს მელოდიებს რეკლამისათვის და მუშაობს მუხლჩაუხრელად. კურდღელი კი თანდათან კარგავს პოპულარულობას. კუ გამოიმუშავებს სოლიდურ ჰონორარს სხვადასხვა ტელეგადაცემის თემეტიური მელოდიების ჩაწერით, კურდღელი კი რჩება ხელმოცარული. აშკარაა, რომ ორივე შემთხვევაში კუ ნელი, მაგრამ გონიერი ადამიანის პროტოტიპია, ხოლო კურდღელი წინდაუხედავი და სწრაფი ადამიანის ალეგორიული სახეა, რომელიც ზედმეტი თავდაჯერებულობით რჩება ხელმოცარული.

ამ იგავ-არაკში ვხვდებით ლექსიკურ ტრანსფორმაციებს, რომლებშიც ასევე იგრძნობა თანამედროვე სამყაროში გავრცელებული ტენდენციების კვალი.

1. fan-ფანი, გულშემატკივარი;
2. wager- სანაძლეოს დადება;
3. single-record contract-ერთი მელოდიის ჩაწერის კონტრაქტი;
4. jingle-სარეკლამო სიმღერები;
5. paparazzi- პაპარაცი;
6. a multi-record deal- ალბომის ჩაწერის კონტრაქტი;
7. single- სინგლი, სოლო სიმღერა;
8. download-გადმოქაჩვა;
9. bounce-გაგდება;
10. reality show-რეალითი შოუ;
11. royalties....(საავტორო ჰონორარი);
12. the shows' theme tunes-გადაცემებისათვის თემატური მელოდიები.

როგორც ვხედავთ, კლასიკური იგავისთვის დამახასიათებელი მაღალ-აკადემიური და დახვეწილი წერის სტილი შეცვალა სრულიად ყოვედლიურმა, ცოტათი უფრო „ჟარგონულმა“ ლექსიკამ.

საინტერესოა, რომ ინტერნეტში ასევე ვხვდებით ეზოპეს იგავების ჯონ ფექის მიერ გაკეთებულ ტრანსფორაციებს, რომელიც გამოსულია სახელწოდებით „AESOP'S LESSER FABLES“. ამ იგავის ფექისეული იგავური ტრანსფორმაციაც საყურადღებოა. პირველ რიგში, ყურადღებას იმსახურებს სათაური: “The Tortoise, the Hare, and the Ninth-Grade Goth Chick“. თუ კლასიკურ იგავში მხოლოდ „კუ და კურდღელი“ იყო ამ იგავის სათაური და მოქმედ პირებადაც ისინი გვევლინებოდა, ფექისეულ იგავში გაჩნდა „მეცხრეკლასელი თანამედროვე ტენდენციების“ გოგონა. “Goth Chick” სრულიად ახალი ტერმინია, რომელიც აღნიშნავს გოგონას, რომელსაც აცვია სრულიად განსხვავებულად, ატარებს სხვებისგან განსხვავებულ ვარცხნილობას და იქცევა სრულიად სხვანაირად. ეს იმ ტიპის გოგონაა, რომელსაც 21-ე საუკუნეში არც თუ იშვიათად შევხვდებით. ავტორი ისევ ხაზს უსვამს კურდღლის და კუს პაექრობას, მაგრამ მნიშვნელოვანია ის ლექსიკა, რომელსაც ეს გოგონა იყენებს:

*“My mom sucks,” said the Ninth-Grade Goth Chick to no one in particular, as she sat on the nearby bleachers and lit a cigarette. “She tries to be all, ‘I totally get your music,’ but all she knows is that one Siouxsie song from that movie.”*

სიტყვა „suck“ განიმარტება, როგორც “Be very bad or unpleasant”(იყო ძალიან ცუდი ან არასასიამოვნო). საყურადღებოა, რომ იგავში, რომლის მთავარი ფუნქცია დიდაქტიკაა, ჩნდება მსგავსი ტერმინი, მაგრამ ასევე საყურადღებოა გოგონას მანერები- *“lit a cigarette”-სიგარეტს მოუკიდა*. უჩვეულოა, რომ იგავ-არაკში ჩნდება ეს ფრაზა. ის ასევე დასცინის დედას მაშინ, როცა ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ ცდილობს დედა მიიღოს ის მუსიკა, რასაც თვითონ უსმენს, თუმცა გოგონას მიაჩნია, რომ დედა სრულებითაც ვერ ერკვევა მუსიკაში.

დიალოგში უწმაწური სიტყვებიც გამოიყენება. ამ იგავის მორალიც მკვეთრად განსხვავდება კლასიკურისგან: როკმუსიკას უნდა მივანიჭოთ უპირატესობა.

*“Try something a lot darker, like Skinny Puppy, Christian Death, Throbbing Gristle, or maybe In the Flat Field -era Bauhaus.”* აქვე არის ჩამონათვალი *მუსიკალური ჯგუფებისა*: “Skinny Puppy”; “Christian Death” და ა. შ.

ინტერნეტში გავრცელებული იგავია ასევე “The Silkworm and Spider”

ორიგინალი:

*'Having received an order for twenty yards of silk from Princess Lioness, the Silkworm sat down at her loom and worked away with zeal. A Spider soon came around and asked to hire a web-room near by. The Silkworm acceded, and the Spider commenced her task and worked so rapidly that in a short time the web was finished. "Just look at it," she said, "and see how grand and delicate it is. You cannot but acknowledge that I'm a much better worker than you. See how quickly I perform my labors." "Yes," answered the Silkworm, "but hush up, for you bother me. Your labors are designed only as base traps, and are destroyed whenever they are seen, and brushed away as useless dirt; while mine are stored away, as ornaments of Royalty."*

*"True art is thoughtful, delights and endures."*

ტრანსფორმირებული ვარიანტი:

*'Having received an order for twenty websites from Princess Lioness, the Silkworm sat down at her computer and worked away with zeal. A Spider soon came around and asked to hire a room near by. The Silkworm acceded, and the Spider commenced her task and worked so rapidly that in a short time she created a hundred scraper websites. "Just look at them," she said, "and see how grand and filled with links they are. You cannot but acknowledge that I'm a much better worker than you. See how quickly I perform my labors." "Yes," answered the Silkworm, "but hush up, for you bother me. Your labors are designed only as base traps, and are destroyed whenever they are noticed by Google, and brushed away as useless dirt; while mine are ranked highly and viewed daily, as they are the sites of Internet Superstars."*

*True art is thoughtful, delights and endures.*

ამ შემთხვევაშიც გმირების საქმიანობის სფერო შეიცვალა. ორივე ინტერნეტგვერდის დიზაინერია. თუ კლასიკური იგავი ხაზს უსვამს ნამდვილი, აბრეშუმის ჭიის დახვეწილი ხელოვნების მარადიულობას და შესაბამის დაფასებას, თანამედროვე იგავში, ხელოვნების მარადიულობა ჩაანაცვლა ინტერნეტგვერდების მონახულების სტატისტიკამ.

ამ იგავის ლექსიკური ტრანსფორმაციებია:

an order for twenty yards of silk from → an order for twenty websites

sat down at her loom → sat down at her computer

the web was finished → she created a hundred scraper websites

are destroyed whenever they are seen, and brushed away as useless dirt → are destroyed whenever they are noticed by Google, and brushed away *as useless dirt*

while mine are stored away, as ornaments of Royalty → while mine are ranked highly and viewed daily, as they are the sites of Internet Superstars."

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია „ჭრიჭინის და ჭიანჭველას“ თემა. ეს თემატიკა გამოყენებული აქვს ეზოპეს, //ლაფონტენს და ი. კრილოვს, მაგრამ ინტერნეტში შეგვიძლია მხოლოდ ვიპოვოთ ეზოპეს იგავების ტრანსფორმაციები.

#### *The Ants and the Grasshopper*

*THE ANTS were spending a fine winter's day drying grain collected in the summertime. A Grasshopper, perishing with famine, passed by and earnestly begged for a little food. The Ants inquired of him, "why did you not treasure up food during the summer?" He replied, "I had not leisure enough. I passed the days in singing." They then said in derision: "If you were foolish enough to sing all the summer, you must dance supperless to bed in the winter."*

*"It is thrifty to prepare today for the wants of tomorrow."*

თანამედროვე ვარიანტში ვხვდებით შემდეგნაირ ცვლილებებს:

*THE ANTS were spending a fine winter's day bringing their code up to the HTML 4.01 standard, fixing bugs on the site and implementing SEO strategies based on the analytics data they collected in the summertime. A Grasshopper, whose site was perishing with a lack of users, passed by and earnestly begged for a little cross-promotion to drive traffic to his site. The Ants inquired of him, "Why did you not update during the summer?" He replied, "I had*



*not leisure enough. I passed the days in singing." They then said in derision: "If you were foolish enough to sing all the summer, you must dance user-less to bed in the winter.*

*"Prepare today for the wants of tomorrow.*

ეზოპესეულ იგავში ჭიანჭველები მარცვლეულს აშრობენ ზამთრისთვის, ხოლო თანამედროვე ვარიანტში ისინი HTML 4.01 სტანდარტის კოდს ტვირთავენ ინტერნეტში, აგვარებენ სხვადასხვა გაუმართაობებს და სხვადასხვა სამძებრო სისტემას სტრატეგიულად ასწორებენ იმ მასალების საფუძველზე, რაც მათ მოაგროვეს ზაფხულის განმავლობაში. თუ ეზოპეს ჭრიჭინობელა შიმშილით კვდებოდა და ითხოვდა საჭმელს, ამ შემთხვევაში ჭრიჭინობელას საიტი ფუჭდებოდა ნაკლები მომხმარებლის გამო და ჭიანჭველას სთხოვდა, რომ შეეწყო მისთვის ხელი და მიეზიდა მომხმარებლები მისი საიტისკენ. თუ ეზოპეს ჭრიჭინობელას ეკითხებიან, რატომ არ მოაგროვა საჭმელი ზამთრისთვის, მათ თანამედროვე ვარიანტში, ეკითხებიან, რატომ არ გაანახლა საიტი ზაფხულში. ამ იგავებში მოხდა შემდეგი ლექსიკური ცვლილებები:

drying grain → bringing their code up to the HTML 4.01 standard, fixing bugs on the site and implementing SEO strategies based on the analytics data they collected in the summertime

perishing with famine → site was perishing with a lack of users,

begged for a little food → begged for a little cross-promotion to drive traffic to his site.

you must dance supperless to bed in the winter → you must dance user-less to bed in the winter.

ამ თემატიკასთან დაკავშირებით ვაწყდებით ფექსიულ იგავსაც. აქ პირველი ცვლილება ეხება სათაურს. ჭრიჭინობელას ადგილს ამ იგავში ვაჭარი იკავებს. იგავის სათაურია "The Ant and the Merchan „სანამ იგავს არ ჩაიკითხავ, ერთი შეხედვით ვერც კი იაზრებ, რომ ეზოპეს იგავის ტრანსფორმაციაა.

*“At a large metropolitan airport one summer’s day a Merchant **was conducting business on his cell phone**. An Ant passed by, bearing a great ear of corn, which he was taking to the nest.”*

ეზოპესეულ იგავ-არაკში არაა ადგილის ნომინაცია, მაგრამ ფექისეულ იგავში მოქმედება ხდება მეტროპოლიტენ აეროპორტში. ვაჭარი თანამედროვე გმირია, რომელიც საუბრობს მობილურ ტელეფონზე და აგვარებს საქმეს. ჭიანჭველა ისევ ბუდისკენ მიისწრაფვის თავისი მონაპოვრით, მაშინ, როცა ჭიანჭველა ურჩევს ვაჭარს იმავეს გაკეთებას და ზამთრისთვის საკვების შეგროვებას, მაგრამ ვაჭარი მას ზედაც არ უყურებს.

*„I am collecting food for the winter,” said the Ant, “and recommend you do the same.”*

*The Merchant, who was on his phone, ignored the Ant, saying: “If it was my work email, I didn’t see it this morning, but I can probably check again here in a few minutes. No, I think it’ll be fine. I do sort of wish we’d circled back to them on this, but we should be good for now. Hold on a minute, I’m going through security.”*

*The Ant waited patiently.*

*“Okay, you there?” said the Merchant. “So, the last thing is, we’ll just have to check in with Corporate to make sure they’re set on the server upgrade, and we should be good to go.”*

*The Ant grew tired of this and went on his way.”*

საინტერესოა იგავ-არაკის შემდეგი განვითარება. როცა ზამთარი მოდის, ჭიანჭველას საკვები უხვად აქვს, ხოლო ვაჭარს, თავისი წარმატებული ბიზნესის წყალობით აქვს საკვები, ორი მანქანა, დიდი სახლი და ასე შემდეგ.

*“As a result of his successful business practices, the Merchant also had plenty of food, as well as a large house, two cars, and five vintage Stratocasters. He spent his winter evenings eating takeout and watching Law and Order, taking occasional breaks to dick around on his guitars and google girls he knew in high school.”*

საინტერესოა ავტორისეული პრაგმატიკული ინტენცია და სემანტიკური არჩევანიც. ინტენცია იმიტომ, რომ ფექის ჩანაფიქრი და დიდაქტიკაც სრულიად განსხვავდება ეზოპესეული დიდაქტიკისგან. ეზოპეს თუ მხოლოდ ყურადღებას იმაზე აქვს მიპყრობილი, რომ უნდა იშრომოს და დააგროვოს შავი დღისთვის, თანამედროვე ვარიანტში, ჭიანჭველა ისევ ისე შრომობს, ხოლო ვაჭარი, რომელმაც ჩაანაცვლა ჭრიჭინობელა, საერთოდ არ შრომობს, სამაგიეროდ, უფრო მეტად მდიდრდება. თუ ჭიანჭველას მხოლოდ საკვები ჰქონდა ზამთრისთვის, ვაჭარს სხვა სხვაც ბევრი რამ ჰქონდა ბლომად. მორალში კი აშკარად ჩანს ავტორისეული სატირული ჩანაფიქრი.

*Moral: Always make sure Corporate knows about the server upgrade.*

ის ცხოვრებისეულ უსამართლობაზე საუბრობს, მაგრამ ხაზს უსვამს იმასაც, რომ მშრომელი ჭიანჭველა არ დარჩა მშვიერი და თანამედროვე ეპოქაში ზოგი „ჭრიჭინით“ და ზოგი შრომით შოულობს პურის ფულს.

ფექის შემდეგი ტრანსფორმირებული იგავ-არაკია „The Fox and the Stork Fable“.

სიუჟეტი ზუსტად ისევე ვითარდება, როგორც ეზოპესეულ იგავში, აქ იგავი სხვადასხვა ელემენტითაა შევსებული. მაშინ, როცა მელია ვერ შეძლებს წვნიანის შეჭმას, იგავის თანამედროვე ვარიანტში, ის ითხოვს საწრუპავს.

*“Very funny,” said the Fox. “Now can you get me a straw or something?”*

ეზოპესეულ ვარიანტში გაბრაზებული ყარყატი ნეიტრალურად, ზედმეტი გაბრაზების გარეშე, დაპატიჟებს მელიას სადილად:

*“Pray do not apologise,” said the Stork. “I hope you will return this visit, and come and dine with me soon.”*

ხოლო, თანამედროვე იგავში ყარყატი თავის ბრაზს გამოხატავს და წამოჭრის თანამედროვე ადამიანის პრობლემებს: *“You know what?” said the Stork. “I don’t need this. Things are crazy at work, and I don’t have time to babysit you and your fragile psyche.”*

არეულობა სამსახურში, ბავშვის მეთვალყურეობა და მერყევი ფსიქიკა, აშკარად თანამედროვე გამოხატულებებია, რომლებიც ყოველდღიური ლექსიკიდან გამომდინარეობს. ყველაზე საინტერესო კი იგავ-არაკის კულმინაციაა. ეზოპეს იგავი სრულდება ქადაგებით, რომ ერთ ცუდს საქციელს მოჰყვება მეორე.

*"I will not apologise for the dinner," said the Stork: "One bad turn deserves another."*

თუმცა, სრულიად განსხვავებულ სიტუაციას ვხვდებით ფექის ვარიანტში:

*"The Fox left angrily, and the Stork immediately went to her computer and blocked him on Facebook".*

თანამედროვე მორალიც სრულიად განსხვავებულია და სრულიადაც არ შეესაბამება მაშინდელი იგავის მორალს: *Moral: "Remaining friends with your exes can be tricky."*

ჯ. ფექის მოეპოვება არაერთი ტრანსფორმაცია, სადაც ჩნდება ნარკოთემატიკაც. ამ შემთხვევაში, გავანალიზოთ ეზოპეს „The Fox and the Goat“. ამ იგავში ეზოპე აქილიკებს თხის ჭკუასუსტობას და მელიის ცბიერებას:

*"You foolish old fellow! If you had as many brains in your head as you have hairs in your beard, you would never have gone down before you had inspected the way up, nor have exposed yourself to dangers from which you had no means of escape."*

ეს იგავი სრულდება ეზოპესთვის დამახასიათებელი შეგონებით -“Look before you leap“ ( *შეხედე, სანამ გადახტები*)

ფექიც დასცინის იმავე თვისებებს, მაგრამ საინტერესოა მელიის ლექსიკა ამ შემთხვევაში:

*"Holy fucking shit," said the Hiker, who had stumbled upon this scene after ingesting a large number of hallucinogenic mushrooms."*

მიმართვა: *"Holy fucking shit"* იმდენად უწყალოა და დამამცირებელი, რომ ის იგავს სრულებით უკარგავს ფუნქციას. ამ იგავში მელია ნარკომომხმარებლად გვევლინება, რომელსაც მიღებული აქვს დიდი რაოდენობით ეს სოკო Hallucinogenic

mushrooms” Hallucinogenic mushrooms” (სოკოს სახეობაა, რომელიც გამოიყენება ერთგვარ ნარკოტიკად) იგავში ისევ ეს თემატიკა გვხვდება:

*“When ‘shrooms first start kicking in, you may really feel like going outside, but it might be better to stay home and listen to music for the first few hours.’*

მორალი „ქადაგებს,“ რომ როცა პირველად მოგეკიდება სოკოს ეს ეფექტი, უკეთესია, სახლში დარჩე და მოუსმინო მუსიკას. აშკარად ჩანს, რომ მელიის ჭაში ჩავარდნის მიზეზი ეს უნდა იყოს, ჭა კი გადატანითი მნიშვნელობით პოლიციას უნდა აღნიშნავდეს.

ამ იგავში თხა სრულიადაც არ გვევლინება ჭკუასუსტ არსებად და არც მელიის მახეში გაებმება.

როგორც განხილული იგავ-არაკებიდან ჩანს, ტექნოლოგიების განვითარებამ და იმ ფაქტმა, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ინტერნეტის და ინფორმაციის საუკუნეში, გავლენა მოახდინა იგავ-არაკებზე: შეიცვალა თემატიკა, პროფესიები და მოღვაწეობის სფეროები. შეიცვალა იგავ-არაკების ლექსიკური შემადგენლობაც, რაც გამოწვეულია პირველ რიგში თემის ცვლილებით, გარემოს, ეპოქის და ღირებულებების ცვლილებით, რაზეც დაფუძნებულია იდეა ზოგადად.

ვფიქრობთ, ამ ტიპის იგავებს „ანტიიგავები“ კი შეიძლება ვუწოდოთ „ანტიანდაზის“ მსგავსად, სწორედ იმ ცვლილებების გამო, რომლებიც მათში მოხდა. სწორედ ეს „ანტიიგავები“ გადაკეთებული, თანამედროვე სტანდარტებზე მორგებული იგავ-არაკებია. თუ ანტიკური დროიდან ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის ბოლომდე იგავი დიდაქტიკასთან და მორალთან ასოცირდება, 21-ე საუკუნის თავისუფალი სივრცე -ინტერნეტი - ასეთ მსგავსებას გვთავაზობს და თანამედროვე რეალობას ასახავს! და თუ აქამდე ვსაუბრობდით იგავებსა და იგავ-არაკებზე, ახლა შეიძლება ლაპარაკი ანტიიგავებზეც და ეს ფორმა აქამდე ვერ იქნებოდა შესწავლილი, რადგან ისინი ახლადგაჩენილია. რადგან ისინი გაჩნდა, კიდევაც მოითხოვს ერთგვარ ანალიზსა და კვლევას თუნდაც იმიტომ, რომ იგავ-არაკები, ისევე როგორც ზოგადად პარემიოლოგია და იდიომები თუ ფრთიანი ფრაზები, როგორც არაერთხელ აღინიშნა, ყველაზე კარგად გვაჩვენებს სხვადასხვა კულტურისა და ერის სულიერ

მდგომარეობას, ეთნოკულტურას და ფსიქოლოგიას. თუ იგავები მორალისტურია, ღირებულებათა გადაფასებამ გააჩინა მისი საპირისპირო, სრულიად განსხვავებული დამოკიდებულება ყველაფრისადმი. ღირებულებები, რომლებიც საუკუნეებს უძლებს, კაცობრიობის პროგრესის მკვებავია და ასეთ სულიერ საკვებად მიგვაჩნია ტრადიციული იგავები. ადამიანები იგავების მორალს უფრო უნდა ჩაუღრმავდნენ, მათ საუკუნეების განმავლობაში უნდა ჰყავდეთ მკითხველი.

### **3.2 უახლესი დროის იგავ-არაკები და მათი სემანტიკურ-პრაგმატიკული თავისებურებები**

მიუხედავად იმისა, რომ ეზოპეს, სულხან-საბას და ა.შ. იგავ-არაკები ისევ ინარჩუნებს აქტუალურობას და ძალიან ინტენსიურად გამოიყენება სწავლებაშიც, ბავშვთა აღზრდის პროცესშიც და ამა თუ იმ სიტუაციაში არგუმენტადაც, ინტერნეტში ასევე ჩნდება თანამედროვე იგავ-არაკების სხვადასხვა სახელწოდებით. ასე მაგალითად: „5 თანამედროვე იგავი“, „6 თანამედროვე იგავი, რომლებიც ცხოვრებაზე დაგაფიქრებთ“ და ა.შ. ეს იგავ-არაკებიც ინტერნეტფოლკლორის შემადგენელი ნაწილებია, იმიტომ, რომ ხასიათდებიან იმ ნიშნებით, რომლებიც განხილულია წინა ქვეთავში.

ინგლისურისგან განსხვავებით, ქართულ ენაში ვერ ვხვდებით ტრანსფორმირებულ იგავ-არაკებს. ასევე, თანამედროვე ქართული იგავების უმეტესი ნაწილი, არ არის დაფუძნებული სულხანსაბასეულ ან რომელიმე სხვა ავტორის იგავ-არაკებზე. ისინი ერთგვარად იესოსეულ იგავებს ჰგვანან, როგორც პერსონაჟების არჩევანით და ხშირ შემთხვევაში თემატიკით, ასევე რეალური გმირების და სიტუაციების მოშველიებით.

განვიხილოთ ინტერნეტში მოცემული „5 თანამედროვე იგავის“ იგავ-არაკები. ამ იგავ-არაკებს სათაურები არ აქვს. ასევე საინტერესოა ის, რომ ამ შემთხვევაში, ცხოველები სრულიად არ გვევლინებიან მთავარ გმირებად. პირველი იგავი მასწავლებლის და მოსწავლეების დიალოგს აღწერს და დიალოგის თემა კი ზოგადსაკაცობრიოა - სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ. ასევე ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ მოსწავლეები ინტერესდებიან ამ საკითხით:

*„ერთ დღეს, როდესაც ბავშვები მთელი დღის მანძილზე მასწავლებელს უსვამდნენ მთავარ კითხვას: „რა იქნება სიკვდილის შემდეგ“?, მასწავლებელი დუმილით პასუხობდა.“*

ადრეულ იგავებში, ნაკლებად თუ მოიპოვება ბავშვი მოქმედ პირად. თანამედროვე იგავში კი ბავშვი უკვე მოქმედი, ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანია.

ასევე საინტერესოა, მასწავლებლის დამოკიდებულება ამ საკითხთან. ის ერთხანს დუმს, შემდეგ კი ამბობს:

*„შეამჩნიეთ, რომ სიკვდილის შემდეგ სიცოცხლით ინტერესდებიან მხოლოდ ისინი, რომლებმაც არ იციან, თუ რა მოუხერხონ ამ ცხოვრებას და რა გააკეთონ დღეს? მათ სჭირდებათ კიდევ ერთი სიცოცხლე, რომელიც გაგრძელდება სამუდამოდ - უპასუხა მასწავლებელმა.“*

*„არსებობს თუ არა სიცოცხლე სიკვდილამდე, აი, რა არის საკითხავი?“*

მასწავლებლის პასუხი ცოტა ორაზროვანი და ბუნდოვანია, ასევე შეუფერებელია და გაუგებარია სკოლის ასაკის ბავშვისთვის, თუმცა ეს გამოწვეული უნდა იყოს თანამედროვე დამოკიდებულებით ბავშვის აღზრდის პრინციპებისადმი, რომ ბავშვებს უნდა ვესაუბროთ ისე, როგორც უფროსებს. ამ იგავს მორალი არ აქვს. შესაძლებელია, მასწავლებლის ბოლო ფრაზა მივიჩნიოთ კვანძის გახსნად და ჩავთვალოთ, რომ ეს იგავ-არაკი გვასწავლის სიცოცხლით დატკობას სიკვდილამდე, ის არ გვაჩვენებს რომელიმე გმირის სახეს ან თვისებას, მასში ვერც ალეგორიულობის მკაფიო მაგალითს ვერ ვხედავთ.

შემდეგი იგავი კედრის ხის ეხება:

*„ერთ ბაღში იზრდებოდა კედრის ხე. ყოველ წელს ის უფრო და უფრო იზრდებოდა სიმაღლეშიც და სიგანეშიც. მისი ფართო და ლამაზი ფოთლები გვირგვინვით ეფარებოდა სხვა ხეებს და ჩრდილავდა მათ.“*

ამ შეთხვევაში ყურადღება გამახვილებულია მის ფიზიკურ სილამაზეზე, რის გამოც ის ზედმეტად გათამამდება:

*„ზრდასთან ერთად, მას ქედმაღლობაც ემატებოდა, ყველას სიამაყით ზემოდან დასცქეროდა და ერთ დღეს დაიყვირა:*

*- მომწყდით თავიდან თქვე საცოდავებო!*

*- მომაშორეთ ყველაფერი თავიდან, ისინი ჩემს სილამაზეს ფარავენ, - ბრძანა ჭირვეულმა კედრმა ერთ დღეს.*



*თავისი თავის კმაყოფილი, ამაყი კედარი ჭირვეულობას არ ეშვებოდა და ერთ დღესაც ბრძანა:- მოამოშერთ ეს ვაშლის და მსხლის ხეები!”*

ამ შემთხვევაში, ხაზგასმულია მისი თვისებები: ქედმაღლობა, ჭირვეულობა, და ეგოისტობა, სწორედაც რომ დალუპავს მას:

*„თუმცა ერთ დღეს, ძლიერი ქარი ამოვარდა. კედარი მთელი ძალებით ებრძოდა ქარიშხალს და ფესვებით რაც შეიძლებოდა მაგრად ეჭიდებოდა მიწას, თუმცა, ძალაგამოცლილი კედარი, ადრე თუ გვიან დანებდა, მიწას ფესვებიანად მოსწყდა და ძირს დაეცა, ხოლო მოპირდაპირე ბაღში მდგომი ხეების ერთობრიობა ამაყად და მედიდურად, გაუტოკებლად იდგა ერთ ადგილზე.“*

**კედარი** ქართულ კულტურაში ალეგორიულად ლამაზ ქალს უნდა აღნიშნავდეს, რომელიც 21-ე საუკუნის საქართველოში სტერეოტიპადაა ქცეული და ეს უკანასკნელი ამ იგავის ინსპირაციის მიზეზია. საინტერესოა, თუ როგორ ასრულებს კედარი თავის არსებობას: ის მარტო რჩება და სწორედ ეს მარტოობა ღუპავს მას. „ქარი“ კი აქ სიკვდილის სიმბოლოს უნდა წარმოადგენდეს, რომელიც ლამაზს და უშნოს, ქედმაღალს და თავმდაბალს ერთნაირად ერევა და ათანაბრებს.

ამ სერიის იგავებში ასევე ჩნდება ინტერნეტთან დაკავშირებული იგავ-არაკიც. ეს არის იგავი ადამიანზე, რომელიც ეცადა მუშაობას დამლაგებლად თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთ ყველაზე დიდ კომპანია “MICROSOFT”-ში, თუმცა შემდეგ დიალოგში, პარადოქსულად ვხედავთ, თანამედროვე ეპოქის ღრმა დამოკიდებულებას ტექნოლოგიებთან.

*„- თქვენ მიღებული ხართ. დაგვიტოვეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი, რათა შეგატყობინოთ, თუ როდიდან შეძლებთ შეუდგეთ სამსახურს.*

*- ხო, მაგრამ მე არც კომპიუტერი მაქვს და არც ელექტრონული ფოსტა- უპასუხა დაღვრემილმა კაცმა.*

*- სამწუხაროა, ამ შემთხვევაში ჩვენ ვერ აგიყვანთ სამსახურში, რადგან, თქვენ არ არსებობთ ვირტუალურად.“*

რაღაც პერიოდის შემდეგ ეს ადამიანი გამდიდრდება ყოველგვარი ტექნოლოგიის გამოყენების გარეშე და როცა, მასთან მისულ აგენტს ეტყვის, რომ მას არც კომპიუტერი და არც ტელეფონი არ აქვს, მის გაცემას არ აქვს საზღვარი.

*„გაკვირვებულმა აგენტმა შეიცხადა: „თქვენ ამხელა ბიზნესის პატრონი ხართ და კომპიუტერი არ გაქვთ?! ხომ წარმოგიდგენიათ რამდენს მიაღწევდით და ვინ იქნებოდით, კომპიუტერი, რომ გქონოდათ!*

*- კომპანია „მაკროსოფტის“ დამლაგებელი! - მიუგო კაცმა.“*

ამ შემთხვევაში აშკარაა, იგავ-არაკში ავტორი იმისთვის იყენებს სატირას, რომ დასცინოს თანამედროვეობის ბრმა დამოკიდებულებას ტექნოლოგიებზე. იგავი გვასწავლის, რომ ამ ტექნოლოგიების გარეშე შესაძლებელია წარმატების მიღწევა და ხშირად ისინი ხელსაც კი უშლის ადამიანებს განვითარებაში.

შემდეგი იგავი სიტყვის და ადამიანის მოქნილობის ძალაზე მიუთითებს. საუბარია, ერთი მელას გაქნილობაზე, რომელიც სრულიად უმტკივნეულოდ მოიცილებს თავიდან ისეთ ადამიანს, რომელიც თვითონაც კი ვერ მოიაზრებს რა სურს:

*„მოლამ სამღებრო გახსნა. ერთმა კაცმა ნაჭერი მიუტანა და უთხრა:*

*— მოლა შემიღებე, ოღონდ ისეთ ფერად, რომელიც ქვეყანაზე არ არსებობსო.*

*— ეგ რომელია? - შეეკითხა მოლა.*

*— არც წითელი, არც შავი, არც ლურჯი, არც მწვანე, არც ყვითელი და არც თეთრი, - უპასუხა კაცმა.“*

ვფიქრობთ, ზუსტად თანამედროვე სამყაროს რეალობიდან არის აღებული ამ იგავის თემატიკა. სიტყვის ძალით და გაქნილობით ადამიანს შეუძლია ნებისმიერი სიტუაციიდან გამოსავლის პოვნა.

ამავე სერიის იგავებში, ვხვდებით იგავს, სადაც შვილის და მშობლის ურთიერთდამოკიდებულების მნიშვნელობაზეა ყურადღება გამახვილებული. ეს იგავი ასევე ხაზს უსვას სწორად ცხოვრების მნიშვნელობას. საჭიროდ მიგვაჩნია

მთლიანი დიალოგის ჩვენება, რის საშუალებითაც იგავი გვაჩვენებს კარგისთვის კარგის გამოძახილს და ცუდისთვის - ცუდს.

„-ჰეი!

უცბად ბავშვს გამოქვაბულიდან დაუძახეს:

-ჰეი!

გაკვირვებულმა ბავშვმა გამოქვაბულს დაუყვირა:

- ვინ ხარ?

ბავშვს გამოქვაბულმა აქეთ ჰკითხა:

- ვინ ხარ?

ბავშვი გაბრაზდა და გამოქვაბულს დაუყვირა:

- შენ მშიშარა ხარ!

თუმცა გამოქვაბულმა ბავშვს პასუხად იგივე სიტყვები დაუბრუნა:

- შენ მშიშარა ხარ!

გაოცებული შვილი მამას შეეკითხა:

- რა ხდება?

მამამ გაიღიმა და შვილს უთხრა:

- მომისმინე ყურადღებით, - შემდეგ გამოქვაბულს დაუყვირა: - მე შენ მიყვარხარ!

გამოქვაბულმა მამას პასუხი დაუბრუნა:

- მე შენ მიყვარხარ!

შემდეგ მამამ გამოქვაბულს შესძახა:

- შენ საუკეთესო ხარ!

და მამამ მიიღო პასუხი გამოქვაბულიდან:

- შენ საუკეთესო ხარ!”

მორალი იგავის ბოლოშია მოთავსებული, როცა მამა თავის შვილს ეუბნება: „- შვილო, ეს ექოა, თუმცა თუ უფრო ჩავდრმავდებით, ეს უფრო ცხოვრებაა - ის გიბრუნებს იმას, რასაც შენ ამბობ და აკეთებ!“

ეს იგავი ნამდვილად ატარებს იმ დიად იდეებს და ფუნქციას, რომლებიც მოიაზრება იგავ-არაკში. ამ იგავში გაცოცხლებულია მარადსაკაცობრიო თემა სიკეთისა და ბოროტებისა.

ასევე ძალიან საინტერესო თემატიკისაა იგავი ორ ფიფქზე. აქ ალეგორიულად წარმოდგენილია ორი ტიპის ადამიანი, ერთი სამყაროს აღიქვამს ფერადი ფერებით, ოპტიმისტურად და მეორე პესიმისტურად უყურებს. ეს სხვაობა მათ დიალოგში იგრძნობა:

*...ორმა პატარა ფიფქმა, რომლებიც გვერდი-გვერდ მიფრინავდნენ, ერთმანეთში საუბარი გააბა. ჰაერის ნაკადებს ისინი რომ არ დაეშორებინა, ერთმანეთს ხელი ჩასჭიდეს და ერთმა ფიფქმა მხიარულად თქვა:*

- როგორი ენით აღუწერელი შეგრძნებაა ფრენის განცდა!*
- ჩვენ არ მივფრინავთ, ჩვენ ვვარდებით! – უთხრა, მოწყენილი ხმით, მეორე ფიფქმა.*
- ჩვენ მალე დედამიწაზე დავეშვებით და თეთრ, ფუნფულა საფარად გადავიქცევით.*
- არა, ჩვენ დალუპვისთვის ვართ განწირული. მიწაზე ჩვენ უბრალოდ ფეხით გაგვსრესენ.*
- ჩვენ ნაკადულებად გადავიქცევით და ზღვისკენ გავემშურებით, ჩვენ მუდმივად ვიცოცხლებთ! – თქვა პირველმა.*
- არა, ჩვენ დავდნებით და სამუდამოდ გავქრებით! – წინააღმდეგობა გაუწია მას მეორემ.“*

ამ იგავში ძალიან უბრალო ენით დახატულია სრული ჭეშმარიტება. იგავი კი სრულდება საინტერესოდ: „ბოლოს მათ მოსწყინდათ კამათი. გაუშვეს ერთმანეთს ხელი და ორივე გაფრინდა იმ ბედის შესახვედრად, რომელიც თავად აირჩია“.

იგავი გვასწავლის, რომ ადამიანი თვითონ ირჩევს საკუთარი ცხოვრების გზას და შემდეგ თავისი არჩევანის მიხედვით უწევს ცხოვრება.

როგორც ვხედავთ, ქართულ რეალობასა და ინტერნეტსივრცეში იგავ-არაკი ისევ ინარჩუნებს თავის თვისებებს და თავის ფუნქციას. კლასიკური იგავების

მსგავსად, ისინი დიადი იდეების მატარებლებია და მეტ-ნაკლებად ცხოვრებისეულ ჭეშმარიტებაზე მიუთითებენ. ასევე შესაძლებელია სწავლების დროს მათი გამოყენება, რადგან ძალიან ზომიერად და მოკრძალებულად გამოხატავენ მორალს.

ინგლისურ ენაშიც ჩნდება უახლესი იგავ-არაკები, რომლებიც არ წარმოადგენს ტრანსფორმაციებს და საკმაოდ ღრმა დიდაქტური იდეების მატარებელიცაა, თუმცა უნდა აღინიშნოს ის, რომ თემატიკა თანამედროვე ქართული და ინგლისური იგავ-არაკებისა ჰგავს ერთმანეთს. ასევე ჰგავს სათაურებიც.

ინგლისურ ენაში ჩნდება იგავები სახელწოდებით: *“SOME LITTLE FABLES TO HELP YOU IN YOUR LIFE”*. მათი ავტორი კი Francis Heaney-ია. მათ, როგორც თანამედროვე ქართულ იგავებს არ გააჩნიათ სათაურები.

დავაკვირდეთ ამ იგავების თავისებურებებს. ავტორი შემდეგი იგავით ცდილობს, დაგვანახვოს მეოცნებე და ოპტიმისტი ადამიანი: ‘

*“What if a man, seeing his reflection in the still water of an autumn lake, took it for another man? What if he waved to that man, and seeing the man wave back, got a little excited, as we all do when our social forays are repaid in kind, instead of ending in embarrassment and shame as they usually do? And what if that man, the first man, that is, the one looking in the pool, not the reflection, now, took a step into the lake so he could shake that man’s hand, the hand of a fellow human being?”*

ავტორის თხრობის სტილი მიგვითითებს თავის დამოკიდებულებაზე ამ კონკრეტული სიტუაციის მიმართ, მაგრამ იგავ-არაკის ბოლოს ავტორი ცდილობს ხაზი გაუსვას თანამედროვეობის დამოკიდებულებას მსგავს სიტუაციებისადმი და გვიჩვენებს, თუ როგორ აღიქვამს თანამედროვე ადამიანი მსგავს რეალობას:

*“Would we not call that man an optimist? No, we would not. We would call him something else. But I’ll be polite and not repeat it here.”*

ამ სერიის იგავებშიც ვხვდებით იგავს „კუს“ და „კურდღლის“ შესახებ, სადაც საინტერესოდ ვითარდება მოქმედება:

*“A hare challenges a tortoise to a race. The tortoise accepts. The hare chuckles to himself, knowing that all the bookmakers will have read that fable about the tortoise and the hare and give him long odds. What the hare does not realize is that the tortoise drives a Testarossa”.*

ამ შემთხვევაში კურდღელი უკვე განათლებულ არსებად გვევლინება, რომელიც იცნობს იგავარაკულ ჟანრს და როგორც იგავის პერსონაჟი, ცდილობს თავი მოიწონოს (*The hare chuckles to himself, knowing that all the bookmakers will have read that fable about the tortoise and the hare and give him long odds*). კუ კი, უკვე თანამედროვე გმირია, რომელიც არა ნელი ნაბიჯებით, არამედ, ძვირადღირებული მანქანით აპირებს, შეეჯიბროს კურდღელს (*Testarossa*).

მაგალითების ანალიზმა დაგვანახვა, რომ დღეს ინტერნეტსაშუალებებით იგავ-არაკების გავრცელება საკმაოდ პოპულარული გახდა. ზოგჯერ ადამიანთა ჯგუფი ან კონკრეტული ადამიანი ცვლის ცნობილ იგავებს, რომლებიც ესადაგება თანამედროვე რეალობას. ეს გახლავთ ე.წ. ანტიიგავები, რომლებიც, ერთი მხრივ, გვახსენებენ ტრადიციულ, კლასიკურ იგავებს და მათ პერსონაჟებს თუ მორალს აშარჟებენ. ეს იმით დასტურდება, რომ დღითიდღე იცვლება ცხოვრება და ადამიანთა შეხედულებები სამყაროზე.

იგავარაკული ჟანრი განაგრძობს არსებობას ტრანსფორმაციების გარეშე: იქმნება ახალი პერსონაჟები, ახალი სიტუაციები და ახალი მორალური ღირებულებები. ქართული საზოგადოება იგავებს უფრო ფაქიზად ეპყრობა და თანამედროვე იგავები, მართალია, ლექსიკურად და თემატურად გათანამედროვდა, ლაკონიზმი და მოწინავე იდეები მათში ისევ აქტუალურია. ინგლისურ ენაში კი ლექსიკა იმდენად გათანამედროვდა და ხშირ შემთხვევაში წაიბილწა, რომ ინგლისური იგავი თანდათან კარგავს საერთოს კლასიკურ იგავებთან.

## ზოგადი დასკვნები:

შესწავლილი მასალის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ:

- იგავ-არაკმა, როგორც მცირე ლიტერატურულმა ჟანრმა, განვითარების მრავალფეროვანი გზა განვლო. მის საწყისებს ვხვდებით იმ პრეისტორიულ პერიოდში, მაშინ, როცა ადამიანს გაუჩნდა ცოდნის გადაცემის აუცილებლობა. არაკი გაჩნდა სწორედ იმ პერიოდში, როდესაც სრულიად არ არსებობდა დამწერლობა და სწორედ მათმა მცირე ზომამ და დიდაქტიკურმა ფუნქციამ უზრუნველყო ის, რომ ამ ჟანრმა გაუძლო საუკუნეებს, გადარჩა დღემდე და ტექნოლოგიების საუკუნეშიც კი შეინარჩუნა აქტუალურობა.
- იგავ-არაკის კვლევის დროს აუცილებელია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ტერმინები: „იგავი“ და „არაკი“. იგავი, ეს მცირე ზომის სიმბოლური ნაწარმოებია, რომელსაც ძირითადად ვხვდებით ბიბლიაში და რომელსაც იესო იყენებდა საუბრის დროს. იგავი სტრუქტურით და ფუნქციით არაკს ჰგავს, მაგრამ მისი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი არის ის, რომ იგავში ძირითადად ადამიანები გვევლინებიან მთავარ გმირებად და მათში მორალი ხშირად იმპილიციტურად, ტექსტშივეა მოცემული. ამ ტიპის იგავებში ყოველთვის საუბარია რეალურ სამყაროზე, რეალური პრობლემებსა და შედეგებზე. ისინი ხშირად სულიერ ასპექტებს მოიცავენ. არაკი ალეგორიული ნაწარმოებია, რომელშიც ცხოველები, მცენარეები და ა.შ. თამაშობენ მთავარ როლს. იგავ-არაკები ძირითადად მორალით სრულდება. ინგლისური და რუსული ენები მათ სხვადასხვა ტერმინით გამოხატავს. ქართული ენა მათ აერთიანებს და წარმოგვიდგენს ერთ ტერმინად- „იგავ-არაკი.“
- იგავ-არაკები მცირე ლიტერატურული ჟანრის ნაწარმოებებია, მაგრამ მცირე მოცულობაში იდეალურად თავსდება დიდი კულტურული ინფორმაცია. ჟანრის აუცილებელი მახასიათებლებია **ალეგორიულობა (ქარაგმულობა) და დიდაქტიკური ფუნქცია**. მათი შინაარსის და გადმოცემული მორალის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგავ-არაკები გამოიყენება ვინმეს დასარწმუნებლად ან საკუთარ შეცდომებზე დასაფიქრებლად. ისინი აკრიტიკებენ ადამიანის ამა თუ იმ ნაკლოვან

მხარეს, ზოგჯერ აჩვენებენ ადამიანის დადებით მხარეებსაც და კარგ მაგალითს იძლევიან.

- იგავ-არაკების ორმაგი ბუნება, მათში დამალული დიდი ცხოვრებისეული სიბრძნე, ლაკონიური და მრავლისმთქმელი ბუნება ძალიან დიდ როლს შეასრულებს კრეატიულად მოაზროვნე ინტელექტუალის და მაღალი მორალური ღირებულებების ადამიანის ჩამოყალიბებაში. ისინი ასევე ხელს უწყობენ ეთიკური და მორალური ღირებულებების განვითარებას. იგავ-არაკები ასევე ხელს უწყობენ მეტაფორული აზროვნების განვითარებას. იგავ-არაკების სწავლება საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, ასოციაციური კავშირებით ახსნან და გაიგონ რთული კონცეფციები. ამ ტიპის აზროვნება ასევე ეხმარება მათ პრობლემების შემოქმედებითად გადაჭრასა და ახალი იდეების გენერირებაში.

- როგორც ცნობილია, იესო სასაუბროდ იგავებს იყენებდა. ის იგავების საშუალებით ცდილობდა გადმოეცა ინფორმაცია „ცათა სასუფევლის“ შესახებ, რომელიც სხვადასხვაგვარია: ზოგან წააგავს „ვაჭარს“, ზოგან „მეფეკაცს“, ზოგან - „ათ ქალწულს“ და ა.შ. მის იგავებს ახასიათებს შემდეგი თავისებურებები: ლაკონიურობა, პერსონაჟთა სიმცირე და თხრობის მიმზიდველი სტილი.

- იგავ-არაკი იწერება პროზაული ფორმით, ლექსად ან შერეული ფორმით. იგავ-არაკის სტრუქტურა ჰგავს მოთხრობისას. მის სტრუქტურას იკვლევს არაერთი მეცნიერი, თუმცა ზუსტი საზღვრების დადგენა შეუძლებელია. სტრუქტურული ელემენტები იცვლება სხვადასხვა ავტორთან, სხვადასხვა ეპოქაში. თუ რომელიმე სტრუქტურა ერგება ეზოპეს იგავს, ის არაა იდეალური თერბერისეული იგავისთვის. ოპტიმალურ ვერსიად მიგვაჩნია ო. ქვონგის მიერ შემოთავაზებული სტრუქტურა, რომელიც შეიცავს შემდეგ ელემენტებს: **იგავ-არაკის გარემო; ეპიზოდი; შიდა მოქმედება; შიდა მდგომარეობა; მოვლენა; მდგომარეობა; მეტყველება, საუბარი; მორალი.**

- იგავ-არაკის სტრუქტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია **ლაპიდარულობა** - თხრობა ერთხაზოვნად, ზედმეტი განშტოებების გარეშე, სადაც დრო და ადგილ აბსტაჰირებულია და შეზღუდულია ანტაგონისტთა რაოდენობა.



- ძალიან რთულია იგავ-არაკის სიმბოლიკის კონკრეტულ ჩარჩოებში მოქცევა. სხვადასხვა ავტორის იგავ-არაკების განხილვამ და სხვადასხვა სიმბოლოზე დაკვირვებამ საშუალება მოგვცა დავასკვნათ, რომ გარკვეული სიმბოლოები სხვადასხვანაირად აღიქმება სხვადასხვა კულტურასა და ერში. თუ სულხან-საბასთან გველი ხან კეთილი და ხანაც უმადური არსებაა, ეზოპესთან ის მხოლოდ უმადურია, ხოლო ზ. გამსახურდიასთან გველთევზა ცბიერ არსებად გვევლინება.

სულხან-საბა კატას ბრძენ არსებად აღიქვამს, ეზოპე მის ხარბ ბუნებაზე ამახვილებს ყურადღებას, რ. დოდსლი მიჰყვება ეზოპეს ლიტერატურულ ტრადიციას და კატა ისევ ხარბ არსებად მოიხსენიება, თერბერი კი დასცინის კატის მეოცნებე და თავმომწონე ბუნებას.

ლომი ეზოპესთან წინდახედული არსებაა, სულხან-საბასთან ის უმადურ არსებად გვევლინება, ლობელთან ამპარტავანი ცხოველია, ჯ. თერბერთან კი - საცოდავი. ზვიად გამსახურდიასთვის ლომს ორი ბუნება აქვს: ერთგან, ის სამაგალითოდ გაწვრთნილი არსებაა, რომელიც თავისუფლებას კარგ საცხოვრებელზე გაყიდის და მეორე თვით ავტორის პროტოტიპია, რომლისთვისაც თავისუფლება ყველაფერზე ძვირფასია.

მრავალფეროვანია ვირის კონცეპტიც. ეზოპესთან ვირი ბრიყვი, ზედმეტად თავდაჯერებული არსებაა. სულხან-საბა არაერთგვაროვნად აღწერს ვირის ბუნებას: ერთგან მას ბრიყვად მოიხსენიებს, მეორეგან კი იგი გამჭრიახობით ხასიათდება.

ძაღლის სიმბოლო მეტნაკლებად ერთგვაროვანი და უნივერსალურია. ეზოპე ძაღლის სახით ხარბ და ბრიყვ ადამიანს განასახიერებს, სულხან-საბასთვის ძაღლი ხარბი არსებაა, რომელიც ბრძოლის დროს თანამომძმებთან ერთად იცილებს მტერს თავიდან, მაგრამ ცალკე ებრძვის თითოეულ მათგანს. ი. კრილოვს ძაღლი ასევე ხარბ არსებად გამოჰყავს, ხოლო თერბერთან ორგვარი ძაღლი გვხვდება, „ინსტინქტებზე მორგებული“ და „გამოცდილებით დაბრძენებული“.

ბაყაყის სიმბოლო საუკუნეებთან ერთად იცვლის დატვირთვას. თუ ეზოპესთან ბაყაყი ზოგან სულელი, ზოგან ზედმეტად თავდაჯერებული და ქედმაღალი არსებაა, რ. დოდსლი ჭაობში მცხოვრები ბაყაყისადმი ერთგვარ თანაგრძნობას გამოხატავს და მას გონიერ არსებად გვიჩვენებს. ზ. გამსახურდიასთან ბაყაყი მშიშარა და მხდალი

არსებაა, რომელსაც არწივის აფრენის ეშინია, წყალში იმალება და ამტკიცებს, რომ არწივს ფრენა სრულებით ან არ შეუძლია.

- სხვადასხვა დროის მეიგავეთა იგავებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ იდენტურია ფრაზეოლოგიზმები, იდიომატური გამოთქმები, არქაული სიტყვები, მაღალმხატვრული ლექსიკა. განსხვავება შეინიშნება ავტორთა წერის მანერაში. ზოგიერთი მათგანისთვის დამახასიათებელია ნეიტრალური ლექსიკის გამოყენება, ზოგიც კი მაღალმხატვრულ, პოეტურ სტილს ანიჭებს უპირატესობას. წერის მანერის განსხვავებულობას განაპირობებს ავტორთა მკვეთრი ინდივიდუალიზმი და განსხვავებული ეპოქა. თუ ეზოპე თავის სათქმელს ზედმეტი კონოტაციების გარეშე გამოხატავდა და ცდილობდა მკითხველის ყურადღების მორალზე მიპყრობას. სულხან-საბა ცდილობს სხვადასხვა იგავისთვის განსხვავებული ლექსიკა გამოიყენოს, ამიტომაც მის სალაპარაკო ენაში სამი ენობრივი სტილი გვხვდება: სალიტერატურო, სალაპარაკო და არქაულ-სტილიზებული. მის იგავებში ასევე ხშირად გამოიყენება ზედსართავი სახელების აღმატებითი ხარისხი. თანამედროვე მწერლების იგავ-არაკებში ფრაზეოლოგიზმების გამოყენება ხშირად ემსახურება ირონიულ ან სატირულ ჩანაფიქრს.

- იგავ-არაკების ლექსიკურ-სემანტიკური თავისებურებების გაანალიზების დროს მათ მცირე ტექსტებში, ვხვდებით სხვადასხვა კულტურისთვის დამახასიათებელ რეალიებს, სიტყვებს და ასე შემდეგ. ეს კულტურული რეალიები ძალიან მკაფიოდ აჩვენებს ამა თუ იმ ჩვეულებას თუ მოსაზრებებს.

- თანამედროვე ეპოქამ და ტექნოლოგიურმა წინსვლამ გავლენა მოახდინა იგავ-არაკულ ჟანრზე, შეიცვალა ამა თუ იმ სიმბოლოს თვისებები, პერსონაჟების პროფესიები, გარემო და დიალოგები; შეიცვალა ავტორთა ლექსიკური არჩევანიც. ინტერნეტსამყაროში ვრცელდება კლასიკური იგავების თანამედროვე ტრანსფორმაციები, რომელთაც საკმაოდ ბევრი მკითხველი ჰყავს. ვფიქრობთ, ამ ტიპის იგავებს „ანტიიგავებიც“ კი შეიძლება ვუწოდოთ სწორედ იმ ცვლილებების გამო, რომლებიც მათში მოხდა. სწორედ ამ „ანტიიგავებში“ ძველი იგავ-არაკებია გადაკეთებული და თანამედროვე სტანდარტებზე მორგებული. თუ ანტიკური დროიდან ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის ჩათვლით იგავი დიდაქტიკასა და მორალთან

ასოცირდება, 21-ე საუკუნეში ინტერნეტი გვთავაზობს ანტიიგავებს. ეს ფორმა სრულიად ახალია და შეუსწავლელია. მისი ანალიზი და კვლევა აქტუალურია თუნდაც იმიტომ, რომ იგავ-არაკი ძალიან კარგად გვიჩვენებს სხვადასხვა კულტურისა და ერის სულიერ მდგომარეობას, ეთნოკულტურას და ფსიქოლოგიას. აქამდე იყო მხოლოდ მორალისტური იგავები. ღირებულებათა გადაფასება, სამყაროს მიმართ შეცვლილი დამოკიდებულება აისახა ანტიიგავებში.

- იგავარაკული ჟანრი არსებობას განაგრძობს ტრანსფორმაციების გარეშე: იქმნება ახალი პერსონაჟები, ახალი სიტუაციები და ახალი მორალური ღირებულებები. ქართული საზოგადოება იგავებს უფრო ფაქიზად ეპყრობა და თანამედროვე იგავები, მართალია, ლექსიკურად და თემატურად გათანამედროვდა, მაგრამ იგავ-არაკული ზომიერება და იდეები მათში ისევ არსებობს. ინგლისურ ენაში კი ლექსიკა იმდენად გათანამედროვდა, თავი იჩინა ვულგარიზაციის ტენდენციამ, რომ ინგლისური იგავი თანდათან კარგავს საერთოს კლასიკურ იგავებთან.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ამირეჯიბი, 2003: ამირეჯიბი რუსუდან: „შიშის“ სემანტიკის შემცველი ფრაზეოლოგიზმები ქართულში“ ენათმეცნიერების საკითხები, №2
2. ამირხანაშვილი 2012: ამირხანაშვილი ი. "სიბრძნე სიცრუისა, ტექსტი და კონტექსტი"; XVI-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა, თბილისი
3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები (მათ, 10,11). 1991 წ.
4. აქუბარდია, 2015: აქუბარდია ეკატერინე „მხატვრულ ტექსტებზე მუშაობის მეთოდოლოგია გერმანული ენის სწავლების პროცესში უმაღლეს სასწავლებლებში“ თბილისი, 2015
5. ბარამიძე, 1940: ბარამიძე ა. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. II, XV-XVIII ს. თბ.:
6. ბერიკაშვილი, 2010: „ ეროვნული ენა, ეროვნული კულტურა, ეროვნული სული“
7. გელაძე, 2012: გელაძე ს., მედიადისკურსის თავისებურება, ჟურნალი „ინტელექტუალი № “. თბილისი
8. დოიაშვილი, 2009: დოიაშვილი თ. სულხან-საბას დიალოგები //სულხან-საბა ორბელიანი - 350, საიუბილეო კრებული, ლიტერატურის ინსტიტუტი; თბ.;
9. დოიაშვილი, 2010: დოიაშვილი თ. „სიბრძნე სიცრუისა და სიბრძნე სიცრუისა“ სჯანი №11. თბ.;
10. დობტურიშვილი, 2005: დობტურიშვილი მ., „არგუმენტაცია, როგორც ფენომენი და კონცეპტი ძველ და ახალ რიტორიკაში“. ენა და კულტურა. II. თბილისი
11. თავიდაშვილი 2014-თავიდაშვილი ნ. „კვაზირეალიები როგორც უნივერსალური ენობრივ-კულტურული ფენომენი და მათი ვერბალიზაცია სხვადასხვა სისტემის ენებში“; ქუთაისი
12. კიკნაძე, 2006: კიკნაძე ზ., „ქართული ფოლკლორი“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

13. **ლებანიძე, 2004:** ლებანიძე გ., კომუნიკაციური ლინგვისტიკა. ენა და კულტურა, თბილისი
14. **მშვენიერაძე, 2014:** მშვენიერაძე. „დიალოგიზმი, პოლიფონია და ინტერტექსტუალურობა პოლიტიკურ დისკურსში“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი;
15. **ომიაძე, 2001:** სალომე ომიაძე, “ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა, სემანტიკა და ფუნქციონირება”, სადოქტორო დისერტაცია, არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინტიტუტი, თბილისი;
16. **ომიაძე, 2006:** ომიაძე ს., ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა, სემანტიკა და ფუნქციონირება. თბილისი;
17. **ომიაძე, 2009:** ომიაძე ს., „დისკურსის დეფინიციათა ანალიზი.“ წახნაგი. მემკვიდრეობა, თბილისი;
18. **ორბელიანი, 1957:** ორბელიანი ს.ს. „სიბრძნე სიცრუისა“, გამომცემლობა თბილისი;
19. **სოსიური 2002** – სოსიური ფ. ზოგადი ენათმეცნიერების კურსი. დიოგენე, თბილისი;
20. **ფარჯანაძე, 2010:** ფარჯანაძე ნ., „პრაგმატიკული მნიშვნელობის წარმოშობის სპეციფიკა (ინგლისური და ქართული ენების მასალაზე)“, სადოქტორო დისერტაცია, აკაკი წერეთელის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი;
21. **ცანავა, 2012:** ცანავა რ., „ქარაგმის ჰერმენევტიკა“ სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, თბილისი;
22. **უზნაძე, 1947:** უზნაძე დ. „ენის შინაფორმა“. ფსიქოლოგია, IV, თბილისი;
23. **ქურდაძე, 2011:** ქურდაძე შ., „იგავის სწავლების დიდაქტიკურ-მხატვრულ-ესთეტიკური მახასიათებლების გაგებისათვის,“ გამომცემლობა „უნივერსალი“;
24. **ქურდოვანიძე, 2001:** ქურდოვანიძე თ., „ქართული ფოლკლორი“, გამომცემლობა „მერანი“;

25. შიოშვილი, 2004: შიოშვილი თ., „ქართული ფოლკლორის ზნეობრივი სამყარო“, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი;
26. ჩიქობავა 1967: ჩიქობავა არნ., „ენათმეცნიერება, როგორც ინტეგრალური მეცნიერება ენის შესახებ; თბილისი;
27. ჭავჭავაძე, 2007: ჭავჭავაძე ი. „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“. ლიტერატურის ინსტიტუტი „ილიას ფონდი“, თბილისი;
28. ხარბედია 2009: ხარბედია მ. „20 მოკლე მოგონება“. სულხან-საბა ორბელიანი ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი;
29. ჯაში 2010: ჯაში მ. „საგაზეთო კომუნიკაცია - სულიერი კულტურის ძირითადი ელემენტი“, სამეცნიერო ჟურნალი [ „Scripta manent] 4(8) თბილისი;
30. ავერენცევი, 1977- ავერნიძე 1977- ავერნიძე С.С. „Феномен Крылова в компаративистском аспекте : попытка подступа к парадоксу” Budapest;
31. ანენკოვა, 2001-ანენკოვა 2001- ანენკოვა Е.И. „Жанровое новаторство басен И.А. Крылова”, Смоленск;
32. ბენვენისტი,1979-Бенвенист 1979-Бенвенист Э. „Общая лингвистика”. Москва;
33. ბოგდანოვი, 2014Богданов 2014: Богданов Д. „Развитие структуры басни: от античности до наших дней“, Москва;
34. ვინოგრადოვი, 1945-Виноградов 1945- Виноградов В.В. „Язык и стиль басен Крылова” СССР;
35. გასპაროვი, 1971-Гаспаров, 1971: Гаспаров М. Л. „Античная литературная басня, (Федр и Бабрий)“ «Наука», СССР;
36. გასპაროვი 1971- Гаспаров 1971-. Гаспаров М.Л. „Античная басня”, «Наука», СССР;
37. ჰუმბოლტი, 1984-Гумбольдт 1984- Гумбольдт Вильгельм фон. „Избранные труды по языкознанию. Москва;
38. დეიკი, 1989-Дейк, 1989: Дейк Ван, „Язык, познание, коммуникация.”Москва;

39. ეიხენბაუმი, 1986-Эйхенбаум, 1986- Эйхенбаум Б. О прозе. О поэзии, „Художественная литература”. Москва
40. ილია, 1984-Ильина 1984- Ильина М. Е. „Структурно-семантические и композиционные особенности текста притчи“ (на материале американской литературы XVIII-XX веков) Львов;
41. კრიცკაია, 2009-Крицкая, 2009- Крицкая Н. В, „Басни И.А. Крылова в англоязычных переводах ” Томск;
42. კრილოვი, 1998-Крылов 1998- Крылов И.А. Басни. Комедии. Москва;
43. კომენსკი, 1875-Коменский, 1875: Коменский Я. А. „Великая дидактика” Чехия;
44. მასლოვა, 2001-Маслова, 2001: Маслова В. А., „Лингвокультурология”. Москва;
45. მიკოვა, 2011-Микова, 2011: - Микова С. С. „Языковые средства передачи культурной информации в тексте русской басни”, Москва;
46. ნაზაროვსკაია, 2014-Назаровская, 2014: Назаровская М. С. „Лексическая трансформация жанра басни в современном англоязычном интернет-фольклоре”, Вестник Кемеровского государственного университета
47. პოლუიანოვა, 2001-Полуянова, 2001: Полуянова Л. Н. „Лингвостилистические особенности текста басни: На материале англоязычной литературной басни“; Москва;
48. პოტებნია, 1930-Потебня,1930: Потебня А.А., Басня. Пословица. Поговорка Текст.” Харьков.
49. პროხოროვი, 2004-Прохоров 2004: Прохоров Ю. Е., „ Действительность. Текст. Дискурс”. Москва;
50. სტრემოვი, 2015-Стремек, 2015: Стремек И.М. „Литературное чтение”; Минск;
51. სრეზნევსკი, 1912- Срезневский, 1912: Срезневский И.И. „Чтение о языке Крылова ”, Москва;
52. ტიხომიროვა,2007-Тихомирова,2007:ТихомироваВ.А.,„Национально-специфическая характеристика интерпретаций традиционных басенных сюжетов”; Ярославль,

53. ფიშმანი, 2005- **Фишман 2005** – Фишман Дж. „Сегодняшние споры между примордиалистами и конструктивистами: связь между языком и этничностью с точки зрения ученых и повседневной жизни.” Логос, №4, Москва
54. ფრეიდენბერგი, 1997-**Фрейденберг, 1997**: Фрейденберг О. М. „Поэтика сюжета и жанра” Москва "Лабиринт" 1997
55. ჭავჭავაძე, 1984-**Чавчавадзе, 1984**- Чавчавадзе Н. З. „Культура и ценности”, Тб.;
56. ბერმანი, 2012-**Berman, 2012**: Berman Michael “Teaching with Parables”. A resource Book for Teachers; London
57. ბრაუნი, 1983-**Brown, 1983**: Brown, Yule Gillian Brown, George Yule, “Discourse Analysis”, Cambridge Textbooks in Linguistics, Cambridge University Press;
58. დოდი, 1961-**Dodd, 1961**: Dodd CH.H. “The Parables of the Kingdom”; The USA;
59. დოდსლი, 1781-**Dodsley, 1781**: Dodsley R. “Select Fables of Aesop and Other Fabulists”; The USA;
60. დანდესი, 1965-**Dundes 1965**: Dundes Alan „The Study of Folklore”Prentice-Hall, Inc., Englewood Cliffs, N.J;
61. ჯი, 1990-**Gee 1990**: Gee, James Paul. Social Linguistics and Literacies: Ideology in Discourses, Critical Perspectives on Literacy and Education;. London [England];
62. ჯი, 1992-**Gee 1992**: Gee J. The Social Mind: language, ideology and social practice.New York;
63. გაულერი, 2000-**Gowler 2000**- Gowler D.B. “The Parables? “, New York, 2000
64. ჰასანი, 1996-**Hasan 1996**- Hasan R. “*Ways of Saying: Ways of Meaning*, London;
65. ჰეგელი, 1993-**Hegel 1993**-Hegel G. W. F. Vorlesungen über die Geschichte der Philosophie; Frankfurt;
66. **The Holy Bible 2001**- English Standard Version Copyright
67. ჯულიჩერი, 1969-**Julicher 1969**- Julicher A. “Die Gleichnisreden”;Freiburg;
68. კვონგი, 2001-**Kwong 2001**-Kwong Oi Yee “Annotating the Structure and Semantics of Fables” China;



69. ლაბოვი, 1967-Labov ,Waletsky 1967- Labov W. Waletsky J. “Narrative Analyses: The Oral Versions of Personal Experience”; New York;
70. მენდლერი, 1982-Mandler 1982- Mandler J.M. “Another story of grammars: Comments on Beaugrande’s “The story of grammars and the grammar of stories”.” *Journal of Pragmatics*;
71. მიულერი, 2875-Mueller 1875- Mueller L. De P. „et Aviani fabulis libellus”;
72. ფინქნი, 2000-Pinkney 2000- Pinkney J. “*Aesop's Fables. Timeless lessons for your children and your money*”, Chronicle Books LLC;
73. რემი, 1956-Ramm 1956-Ramm B.R. “Protestant Biblical Interpretation” Michigan;
74. რუმელჰარტი, 1975-Rumelhart 1975 –Rumelhart D.”Notes on a schema for stories”;
75. რუმელჰარტი, 1980-Rumelhart 1980-Rumelhart D.E..” On Evaluating Story Grammars” *Cognitive Science*;
76. სკოტი, 1990-Scott 1990- Scott B. B “*Hear then the parable: A commentary on the parables of Jesus.*” Minneapolis;
77. სნოდგრესი, 2011-Snodgrass 2011- Snodgrass K. “The Parable of the Wicked Tenants: An Inquiry into Parable Interpretation “; Oregon;
78. თერბერი, 1990-Thurber 1990- .Thurber J. “Fables for Our Time and Famous Poems”. New York;
79. თერბერი,1957-Thurber 1957- Thurber J. “Further Fables for Our Time”. New York;
80. იული, 1996-Yule 1996 —Yule G. “The Study of Language”; Cambridge;

გამოყენებული ინტერნეტრესურსები:

[http://barnabasblogi.blogspot.com/2013/08/blog-post\\_119.html](http://barnabasblogi.blogspot.com/2013/08/blog-post_119.html) ~~~<http://literatura.mcvane.ge/main/literatura/biografia/2569-bbbbbbb-bbbb-bbbbbbbbbb-sulxan-saba-orbeliani.html>)  
(<http://www.rodneyohebsion.com/mullah-nasruddin.htm>)  
([http://mastsavlebeli.ge/index1.php%3Faction=page%26p\\_id=12%26blgr=15?action=page&p\\_id=19&id=466](http://mastsavlebeli.ge/index1.php%3Faction=page%26p_id=12%26blgr=15?action=page&p_id=19&id=466))  
<http://jandelafonten.ru/>  
<http://www.aesopfables.com/>  
<http://www.wildfables.com/the-difference-between-a-fable-and-a-parable>  
<http://www.spekali.tsu.ge/>  
<http://studenchik.ru/1-68334.html>  
<http://cheloveknauka.com/natsionalno-spetsificheskaya-harakteristika-interpretatsiy-traditsionnyh-basennyh-syuzhetov>  
<http://studhelps.blogspot.com/2013/07/18lafonten.html>  
[http://www.natoliu1.ru/blog/aleksej\\_malin\\_medved\\_i\\_anketa/2016-04-25-966](http://www.natoliu1.ru/blog/aleksej_malin_medved_i_anketa/2016-04-25-966)  
<https://www.britannica.com/topic/fable-parable-and-allegory-1457283/Historical-development-in-Western-culture>  
<http://fpaparazzi.com/news/4556-5-tanamedrove-igavi.html>  
<http://intermedia.ge/სტატია/60212-6-თანამედროვე-იგავი-რომელიც-ცხოვრებაზე-დაგაფიქრებთ/96/>  
<https://www.mcsweeneys.net/articles/aesops-lesser-fables>  
<https://www.mcsweeneys.net/articles/some-little-fables-to-help-you-in-your-life>  
<https://www.oxforddictionaries.com/>  
<http://www.ena.ge/explanatory-online>  
<http://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>